# დილა

№ 6 ივნისი 1968

619
1968

ეროვნული ბიბლიოთეკა




ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემს სოფელზე წერდა ლენინი, — მოგვითხრობს 104 წლის მოხუცი კარპეზ კიკნაველიძე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 6 (379) ივნისი, 1968 წ

გამოცემის წელი 46-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტი-კური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# ჩემს სოფელზე წერდა ლენინი

**მოგვითხრობს სოფელ საკრაულას მცხოვრები კარპეზ კიკნაველიძე**

საკრაულა პატარა სოფელია დასავლეთ საქართველოში; იგი გაშენებულია მთის კალთებზე, ოცდახუთი კილომეტრის დაშორებით მაიაკოვსკიდან, ჩვენი რაიონის ცენტრიდან. ადრე ჩვენს სოფელს კიკნაველეთს ეძახდნენ. მე აქ დავიბადე, გავიზარდე, აქვე გავჭაღარავდი. ამიტომ კარგად მახსოვს ამ სოფლის წარსულიც, ვხედავ მის აწმყოსაც და ვგრძნობ იმასაც, თუ როგორი იქნება მისი მომავალი.

მოხუცი კაცი ვარ. ასოთხი წლისა შევსრულდი. ბევრი რამ გამომიცდია, ბევრი რამ მინახავს. კარგად მახსოვს ძველი დროება, როცა მეც და ჩემი მსგავსებიც, უბრალო ხალხი, წელში ვწყდებოდით, დღე და ღამე გასწორებული გვქონდა და მაინც დუხჭირ დღეში ვიყავით. სად უნდა გეძებნა სიმართლე, როცა სამართალი არ იყო ქვეყანაზე. მეფის ხეპრე მოხელეც ჩვენ გვჩაგრავდა, მემამულეც ჩვენი ოფლით ცხოვრობდა და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი პარაზიტი და მუქთახორა გვეჯდა კისერზე.

სათქმელად თითქო ადვილია, მაგრამ ვაი იმ დროის გახსენებას. მაგონდება პირველი მსოფლიო ომის წინა წლები. იმ ხანებში ნიკოლოზ მეორის მინისტრებმა ვითომ გამოსავალი მოძებნეს და მიწის საკითხის გადაჭრა სცადეს. ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, ვინ იყო სტოლიპინი. ისიც წაკითხული გექნებათ, რომ მან დაიქადნა — რომანოვების დინასტია მე უნდა გადავარჩინოო, ნიკოლოზის ტახტს ისეთ საბიჯგებს შევუყენებ, რომ ვერაფერმა შეარყიოსო. ჰოდა, ამის გულისათვის მოგვდგნენ და უარესად აგვაწიოკეს, დაიწყეს გლეხების გადასახლება და გასახლება, უარესად აირია ყველაფერი, უფრო დიდი განსაცდელი მოგვადგა კარს. აღარ ვიცოდით რა წყალში გადავვარდნილიყავით!

1912 წლის ზაფხული იყო. იმ ხანებში თბილისიდან სოფლად ყარამან კიკნაველიძე ჩამოვიდა. ვიცოდით, ყარამანი რევოლუციონერი იყო. ამიტომ არ გაგვკვირვებია, როცა მან ჩუმათ შეგვატყობინა, ამაღამ სოფლის ბოლოს, ტყეში უნდა თავი მოვიყაროთო. შევიკრიბენით, ყარამანმა უბიდან რაღაც გაზეთი ამოიღო და გვითხრა: აქ ლენინის წერილია დაბეჭდილი, ლენინს ჩვენი გაჭირვება შეუტყვია და ჩვენს სოფელზე წერილი დაუწერიაო. ეს იყო გაზეთი „ნევსკაია ზვეზდა“, 1912 წლის 3 ივნისის ნომერი, რომელშიც დაბეჭდილი იყო ლენინის წერილი „გადასახლების საკითხი“. ყარამანმა გაშალა გაზეთი და ჭრაქის შუქზე დაიწყო კითხვა. სულგანაბული ვუსმენდით. ბრძენი მასწავლებელი დაწვრილებით აღწერდა, თუ რა ჯოჯოხეთურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება გლეხკაცობას.

„დეპუტატმა ჩხეიძემ, — წერდა ლენინი ამ წერილში, — მოიყვანა აგრეთვე ოფიციალური წყაროებიდან ამოღებული მთელი რიგი მონაცემები, თუ როგორ ერეკებოდნენ ადგილობრივ მკვიდრთა მთელ სოფლებს თავიანთი მამაპაპეული ადგილებიდან მიწის საკოლონიზაციო ფონდის შექმნის ინტერესებისათვის, როგორ აჭახრაკებდნენ მთელ რიგ სასამართლო პროცესებს, რათა გაემართლებინათ მთიელების მიწის ექსპროპრიაცია (თავადაზნაურობის წინამძღოლის თავ. წერეთლის მოხ-



სოფელი საკრაულა. ლენინის ძეგლთან.



სოფელი საკრაულა.

ფოტო თ. არჩვაძისა.

10.706

სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

სენება შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ქუთაისის მაზრის მთიანი სოფლის კიკნაველეთის შესახებ) და ა. შ. და ყოველივე ეს ერთდროული და გამონაკლისი ფაქტები კი არ არის, არამედ „ტიპიური შემთხვევები“...

ლენინის ამ წერილმა ყველას თვალი აგვიხილა. დიდი ბელადი ამ წერილში ხსნიდა, თუ რისთვის წამოსჭრა თვითმპყრობელობამ გადასახლების საკითხი. სტოლიპინს სურს მიწამცირე და უმიწაწყლო გლეხები მდიდართა უხვი და ვეება მამულების ცქერის ცდუნებას მოაშოროსო. გლეხთა ეს გადასახლება ხელსაყრელი იყო მარტო მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, რომლებიც ამ გზით ძალზე მუქთ მუშახელს შოულობდნენ, ვინაიდან გადასახლებულებს არავინ არ უწევდა დახმარებას, ისინი უმალ ღატაკდებოდნენ, ბევრნი გზაში იღუპებოდნენ, ხოლო გადარჩენილნი ავსებდნენ პროლეტარიატის რიგებს. სტოლიპინს სურდა მოჭანყე უმიწაწყლო გლეხობა მოეცილებინა თავიდან, მაგრამ იქ, სადაც გადასახლებულებს გზავნიდნენ, ადგილობრივ მკვიდრთაც არ ჰყოფნიდათ მიწა.

აქ საქართველოს მაგალითიც მოჰყავდა ლენინს — სად იყო აქ თავისუფალი მიწები? ლენინის წერილში მოყვანილი იყო ცნობა, რომ საგლეხო რეფორმის შემდეგ თბილისის გუბერნიაში სრულიად უმიწოდ დატოვებულ იქნა 1.444 კომლი და 886 კომლს საკარმიდამო მიწაც კი არ მიუღია. ქუთაისის გუბერნიაში უმიწაწყლო გლეხთა რიცხვი რეფორმის დროს კიდევ უფრო დიდი იყო. კიდევაც რომ მიგვეღო ყმა გლეხთა საერთო რაოდენობის თბილისის გუბერნიის პროპორცია, მაშინაც მათი რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში გამოდიოდა 5.590 კომლი, ანუ 25.000 სული, რომლებსაც ერთი ნაჭერი მიწაც არ მიუღიათ გლეხთა განთავისუფლების დროს.

ამის მერე ლენინის წერილში მოყვანილი იყო მონაცემები იმაზე, თუ როგორ იყვნენ უზრუნველყოფილნი მიწით დროებით ვალდებული გლეხები, რომლებსაც თავიანთი ნადელები არ გამოუსყიდიათ, მაგრამ ერთგვარი მეურნეობა ჰქონდათ. თბილისის გუბერნიაში სულზე მოდიოდა 0,9 დესეტინა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 0,6 დესეტინა. იმათგან, ვინც გამოისყიდა, სულზე მოდიოდა თბილისის გუბერნიაში 1,7 დესეტინა, ქუთაისის გუბერნიაში კი — 0,7 დესეტინა. ასეთი იყო მიწით უზრუნველყოფა იმ გლეხებისა, რომლებსაც რაღაც მეურნეობა ჰქონდათ. შემდეგ აღნიშნული იყო, რომ იმ გლეხების რაოდენობა, რომლებიც მწვავე გაჭირვებას განიცდიან, ქუთაისის გუბერნიაში 70 პროცენტს აღწევდა. შემდეგ აღნიშნული იყო, რომ მწვავე გაჭირვებას ქუთაისის გუბერნიაში განიცდის აზნაურთა 25 პროცენტიც; აქ, რა თქმა უნდა, ის შემოდგომის აზნაურები იგულისხმებიან, რომელთა ცხოვრება აგვიწერა ჩვენმა დიდმა მწერალმა დავით კლდიაშვილმა; ამ აზნაურებს ისევე უჭირდათ, როგორც მათს მეზობელ გლეხებს.

მოჰყავდა რა ეს ცნობები, ლენინი აყენებდა კითხვას.

„თუ მცირე მიწიანობის მხრივ კავკასიელ გლეხთა მდგომარეობა ბევრი არაფრით განსხვავდება რუსეთის გლეხთა მდგომარეობისაგან, მაშინ საკითხავია, საიდანღა იქმნება მიწის საკოლონიზაციო ფონდი კავკასიაში და რისთვის ხდება იქ გადასახლება, ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი გლეხების განსახლება მოახდინონ?“

და აი პასუხიც ამ კითხვაზე.

„გადასახლების ფონდი იქმნება ადგილობრივ მკვიდრთა საადგილმამულო უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის გზით, ხოლო რუსეთიდან გადასახლება ხდება „განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის“ კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპისათვის“.

მაშასადამე, თავისუფალი მიწა არსად იყო; ასეთ ვითარებაში საკოლონიზაციო ფონდის შექმნა მოასწავებდა ხალხის დარბევას, მის აყრას მამაპაპათა მიწაწყლიდან; მეფის მოხელენი არც ახლად ჩამოსახლებულთა ინტერესს უწევდნენ ანგარიშს, არც ძველ მკვიდრთა უფლებებს. მათ მხოლოდ ერთი რამ სწადდათ — ჩამოეგდოთ შუღლი ხალხებს შორის, წაეკიდებინათ ერთი-მეორისათვის გადასახლებულნი და მკვიდრნი; ისინი ვარაუდობდნენ, რომ ხალხები ერთი-მეორეს რომ დაერეოდნენ, ამით მემამულენი დიდად ისარგებლებდნენ, ხალხის რისხვა სხვა გზით წარიმართებოდა; ხალხთა შორის ამ შუღლს რომ ამზადებდნენ, ამაზეც მიუთითა ლენინმა. იმავე წერილში აღნიშნული იყო, რომ მუღანზე ადგილობრივი მკვიდრნი ისე აყარეს თავიანთი ადგილებიდან, რომ მიწით აღარ უზრუნველყვეს, ბედის ანაბარად მიატოვეს, ხოლო ახლად ჩასახლებულები სახელმწიფოს ხარჯზე შეაიარაღეს — ყოველ ას კომლზე ათ-ათი ცალი ბერდანის თოფი დაარიგეს.

დიდხანს ვისაუბრეთ ტყეში იმ ღამეს, ჩვენ კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ხალხისათვის, მშრომელი გლეხკაცისათვის მარტო ბოლშევიკებს, მარტო ლენინს შესტკივათ გული; კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მარტო ისინი არიან ჩვენი მეგობრები, ხალხის ინტერესების დამცველნი. ლენინის ეს წერილი იყო ის ნათელი ჩირაღდანი, რომელმაც სწორი გზა გვაჩვენა, მოგვცა გამარჯვების რწმენა, მოგვცა ძალა, რათა წინ აღვდგომოდით თვითმპყრობელობის მესვეურთა თარეშს და გვებრძოლა ნათელი მომავლისათვის.

ეს მომავალიც, — დღევანდელი დღე ჩვენ თვითონ დავამკვიდრეთ.

ახლა საკრაულას ველარ იცნობთ; ამ ახალზე მინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ჩვენი უპირველესი

„რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი, — აღნიშნული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის აქტივის 1968 წლის 23 აპრილის კრების რეზოლუციაში, — უფრო მჭიდროდ შეაკავშირებენ თავიანთ რიგებს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო და ყოველ ღონეს იხმარენ ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ყოველმხრივი განვითარებისა და სრულყოფისათვის, მოიპოვებენ ახალ წარმატებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ყველა ფრონტზე.

ამ სიტყვებში გამოთქმულია ჩვენი ხალხის, ჩვენი ადამიანების ყველაზე უგულითადესი მისწრაფება; ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი — მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღების ცენტრში დგას. ამ პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის“ და ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშიც მთლიანად და სავსებით მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა საერთაშორისო პოლიტიკის დარგში და მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში.

პლენუმმა აღნიშნა, რომ სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში პარტიის მიერ შემუშავებული კურსის თანმიმდევრულად განხორციელების მეოხებით კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პოზიციები; საბჭოთა სახელმწიფოს მზარდი ძლიერება და ავტორიტეტი სულ უფრო აქტიურად ემსახურება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს, ბრძოლას იმპერიალიზმის აგრესული პოლიტიკის წინააღმდეგ; მოძმე პარტიებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიღწეულია დიდმნიშვნელოვანი შედეგები საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის ბრძოლაში.

ამ წარმატებებს ჩვენმა ლენინურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა მიაღწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის ნაცადი ხელმძღვანელობით, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირებისათვის ბრძოლის ჩვენს გენერალურ ხაზს.

პლენუმმა აღნიშნა, რომ ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავება. იყო დრო, როცა იმპერიალიზმს უმთავრესად იმისი იმედი ჰქონდა, რომ სოციალიზმს დაამარცხებდა ბრძოლის ველზე. ახლა სხვა მდგომარეობაა. იმპერიალისტები ველარ ბედავენ პირდაპირი იერიში მიიტანონ სოციალიზმის ძირითად ძალებზე. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა სოციალისტური თანამეგობრობის და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ურყევი თავდაცვითი ძლიერების მეოხებით. ანტიკომუნისტური პროპაგანდის მთელი უზარმაზარი აპარატი ამჟამად მიმართულია იქითკენ, რომ შეასუსტოს სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, გათიშოს თანამედროვეობის მოწინავე ძალები, სცადოს შიგნიდან გამოუთხაროს ძირი სოციალისტურ საზოგადოებას. სერიოზულ შერყევებს რომ განიცდის და საშინაო და საგარეო პოლიტიკაში დიდ ჩავარდნებს რომ აწყდება, იმპერიალიზმი, და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, სამხედრო-პოლიტიკურ დარგში ავანტურებთან ერთად სულ უფრო აძლიერებს ძირგამომთხრელ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლას სოცია-

# ადამიანი, მეცნიერი, მოქალაქე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — 18 მარტს, 39 წლის ასაკში, გულის მძიმე ავადმყოფობისაგან მოულოდნელად გარდაიცვალა გიორგი ევგენის-ძე ჩიქოვანი, გარდაიცვალა შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის დროს, ახალი ჩანაფიქრებით ალსავსე, მდგომი ახალ უდიდეს გამარჯვებათა კარიბჭესთან.

იგი იყო მაღალი ენერგიების საბჭოთა ფიზიკის სიამაყე და იმედი, მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი, დაბადებული და აღზრდილი ქართულ მიწაზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

გოგი ჩიქოვანი (მე მას სიყრმის წლებიდან ვიცნობდი და მუდამ ასე ვეძახდი) დაიბადა 1928 წლის 30 ივნისს, ქ. თბილისში, ნიჭიერი ინჟინერ-ნოვატორის ოჯახში; მალე უმამოდ დარჩა; მას და მის უმცროს ძმას ალიკას ზრდიდა დედა — ჭკვიანი და ვაჟკაცური ხასიათის ქალი თამარ დავითის ასული ჩიქოვანი. გოგი კარგად სწავლობდა სკოლაში, თუმცა უყვარდა ხოლმე მოყოლა იმაზე, თუ რა ონავარი იყო მოწაფეობის დროს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველა კარგად ვიცნობდით გოგის, ონავარი ბიჭის როლში იგი პირადად მე ვერ წარმომედგინა. სკოლა მან ოქროს მედლით დაამთავრა და 1945 წელს, სულ პატარა ბიჭი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე; იგი სწავლობდა იმ ახალგაზრდებთან ერთად, რომელთა დიდი ნაწილი დღეს მუშაობს ფიზიკის ინსტიტუტსა და თბილისის უნივერსიტეტში. მისი ამხანაგებიდან ბევრის სახელი ცნობილია როგორც ქართველი, ისე მსოფლიოს მეცნიერული საზოგადოებრიობისათვის. იმიტომ ხომ არ გაითქვა ასე სწრაფად სახელი ამ ჯგუფმა, რომ მასში იყო სიყრმიდანვე დიდი ნიჭით მომადლებული, ყოველივეს ელვის სისწრაფით შემთვისებელი, შრომისმოყვარე გოგი ჩიქოვანი, რომელიც იმ თავითვე აღიარებული ლიდერი იყო თავისი თანაკურსელებისათვის.

მე-4 კურსის სტუდენტი რომ იყო, გოგი პრაქტიკას გადიოდა მაღალმთიან ექსპედიციაში, რომელიც სომხეთში არაგოცის მთაზე კოსმოსურ სხივებს სწავლობდა. ამ ექსპედიციაში მისი მუშაობის შედეგი იყო სრულიად დამოუკიდებელი მეცნიერული გამოკვლევა.

1949 წელს, მე-5 კურსიდან იგი ჩარიცხულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური სხივების განყოფილებაში მეცნიერ მუშაკად და მას შემდეგ აღარ მოსცილებია ამ განყოფილებას.

გოგი მაშინვე მეტად უჩვეულო პირობებში მოხვდა. ზღვის დონიდან 4.000 მეტრ სიმაღლეზე, ე. წ. „ყინულოვან ბაზაზე“ იალბუზის მარადიულ ყინვარებში, ჩვენ მასთან, რუსიკო ძიძიგურთან, რომელიც შემდგომ მისი მეუღლე და ცხოვრების თანამგზავრი გახდა, მის განუყრელ მეგობარ ზურაბ მანჯავიძესთან და სხვა ნიჭიერ ახალგაზრდებთან ერთად, თითქმის შიშველი ხელებით მოგვიხდა მაღალმთიანი ლაბორატორიის აშენება. არ გვქონდა არაფერი, გარდა საკუთარი ენთუზიაზმისა. ჩვენ ვასრულებდით ყველა სამუშაოს, მტვირთავისაც კი. ჩვენ ვთხრიდით მიწას, დურგლებიც ჩვენ ვიყავით, ვმუშაობდით წერაქვით, ნიჩბით, ნაჯახით, ჩაქუჩით. გოგი ჩიქოვანი სულ ჩვენთან იყო. ჩვენ ავაგეთ თითქმის სათამაშო ლაბორატორია, რომელშიც ჩამოყალიბება დაიწყო ქართველი ექსპერიმენტატორების მეცნიერულმა აზრმა და რომელშიც იწრთობოდა მათი ხასიათი, მტკიცდებოდა მათი დამოუკიდებლობა; თუ რა პირობებში მიმდინარეობდა მუშაობა, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ყინულოვან ბაზაში ასვლას ღრმა თოვლსა და ქარბუქში ზოგჯერ მთელი დღე სჭირდებოდა, ზოგჯერ კი ეს საერთოდ შეუძლებელიც იყო.

პირველმავე გამოზამთრებამ იალბუზზე გოგის ხელმძღვანელობით, რომელმაც მაშინ 23 წელს გადააბიჯა, დაადასტურა ახალი ელემენტარული ნაწილაკის არსებობა, რომლის შესახებაც უცხოურ პრესაში ერთი წლით ადრე გამოჩნდნენ ეჭვნარევი ხასიათის ცნობები. ამ ნაწილაკმა მაშინ მიიღო $V^{\circ}_2$ ნაწილაკის სახელწოდება, შემდგომში კი გადაიქცა სახელგანთქმულ $K^{\circ}$—მეზონად, რომელიც მთელი მსოფლიო ფიზიკოსების მრავალრიცხოვანი გამოკვლევების ობიექტი გახდა. $K^{\circ}$—მეზონების გამოკვლევებში დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ ფიზიკოსთა მიერ ჩატარებულ სამუშაოებსაც. ეს სამუშაოები ჩვენ განვაგრძეთ იალბუზის უკეთესად აღჭურვილ სადგურში. შემდეგ კი ამ გამოუცნობ ნაწილაკს მიეძღვნა ქართველ ექსპერიმენტატორთა და თეორეტიკოსთა დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევების მთელი სერია, რომელიც ჩატარდა ელემენტარული ნაწილაკების მძლავრ დამჩქარებელზე ქალაქ დუბნოში.

$K^{\circ}$ — მეზონი მიეკუთვნება იმ ნაწილაკების ჯგუფს, რომლებმაც მიიღეს სახელწოდება „უცნაური“, რადგან მათი ქცევის ასაწერად არა კმაროდა ის დახასიათებანი, ყველა ადრე ცნობილ ნაწილაკების ასაწერად რომ გამოდგებოდა. შემდგომში „უცნაურობა“ ელემენტარული ნაწილაკების ერთ დამახასიათებელ ნიშნად იქცა და მას, როგორც აღმოჩნდა, შეძლებია გათანაბრებოდა 0, $\pm 1$, $\pm 2$ და ა. შ.

უცნაური ნაწილაკების ახალი თვისებების აღწერა, თვისებებისა, რომელიც გოგიმ იალბუზზე აღმოაჩინა, საფუძვლად დაედო მის მიერ 1960 წელს დაცულ საკანდიდატო დისერტაციას.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ

## მოვალეობა

ლისტური ქვეყნების, კომუნისტური და მთელი დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ.

ამ პირობებში შეურიგებელ ბრძოლას მტრულ იდეოლოგიასთან, იმპერიალიზმის ხრიკების გადამწყვეტ მხილებას, სკკპ წევრებისა და ყველა მშრომელის კომუნისტურ აღზრდას, პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ეს ყველა პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა. მათი ვალი ის არის, რომ აწარმოონ შეტევითი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, აქტიურად გაილაშქრონ ლიტერატურის, ხელოვნების ცალკეულ ნაწარმოებებში და სხვა დარგის ნაშრომებში საბჭოთა საზოგადოების სოციალისტური იდეოლოგიისათვის უცხო შეხედულებათა გატარების ცდების წინააღმდეგ. პარტიულმა ორგანიზაციებმა იდეური აღზრდის ყველა არსებული საშუალება უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ თვითეულ კომუნისტსა და საბჭოთა ადამიანს განუმტკიცონ კომუნისტური რწმენა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობები, იდეური შეუდრეკლობა და იმის უნარი, რომ წინააღუდგნენ ბურჟუაზიული გავლენის ყველა ფორმას.

პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია განუხრელად განამტკიცებდეს კავშირს მასებთან, ფართო ინფორმაციას აწვდიდეს მათ ჩვენს პოლიტიკაზე, ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ მომხდარ მოვლენებზე. ამ მხრივ სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი პრესის, ტელევიზიის, რადიოს მუშაობის, მთელი ჩვენი პროპაგანდის გაუმჯობესებას, პარტიულ აქტივებზე, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივების წინაშე ხელმძღვანელ მუშაკთა გამოსვლების პრაქტიკას. პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური საქმიანობა უფრო მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ყველა მშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის გაძლიერების ამოცანებს, საწარმოო დავალებათა შესრულებაში, ხუთწლედის წარმატებით დამთავრებაში თვითეული საბჭოთა ადამიანის პრაქტიკულ წვლილს.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია, თვითეული კომუნისტი მტკიცედ მუშაობდეს იდეოლოგიურ ფრონტზე, რომ პარტიის ძალებს მიზანდასახულად წარვმართავდეთ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების ორგანიზაციული და პოლიტიკური უზრუნველყოფისათვის. ჩვენი პროპაგანდის დევიზია მაღალი იდეურობა, ქმედითობა, შეტევითი ხასიათი, ოპერატიულობა, ის, რომ მისაწვდომი იყოს ასეული მილიონობით ადამიანისათვის როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ. ჩვენი თეორეტიკოსები, რომლებიც ეყრდნობიან მარქსისა და ლენინის იდეებს, მოწოდებულნი არიან პროპაგანდა გაუწიონ მათ, განაზოგადონ ყოველივე ახალი კომუნიზმისათვის ბრძოლაში, განავითარონ რევოლუციური თეორია.

პლენუმმა აღნიშნა, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარება დაბეჯითებით მოითხოვს სოციალიზმის, დემოკრატიისა და ეროვნული განთავისუფლების მთელი ძალების აქტიურ და ერთიან მოქმედებას. თავის მხრივ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც განახორციელებს იმპერიალიზმისადმი მტკიცე წინააღმდეგობისა და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების პოლიტიკას, სოციალიზმის ქვეყნების თანამეგობრობის განმტკიცებას, კომუნისტური მოძრაობის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირების პოლიტიკას.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ერთსულოვნად უჭერს მხარს პარტიის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ჩვენი ხალხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს უპასუხებს ახალი შემოქმედებითი საქმიანობით კაცობრიობის სანუკვარი მომავლის — კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე.



გიორგი ჩიქოვანი და მისი ვაჟიშვილი.

ჩვენ ცოტა შრომა როდი დაგვჭირდა, რათა გვეიძულებინა გოგი დისერტაცია დაეცვა. მას არ სურდა და არც ძალუძდა მოსწყვეტოდა შემოქმედებით. მუშაობას, რომელიც წინსვლისაკენ უხმობდა. მას მოკლე დროითაც კი არ შეეძლო შეჩერება. თვითონ იგი მთლად მოძრაობა იყო ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

შემდეგ ჩვენი ილბუზური სადგურები ახალგაზრდებს არასაკმარისად მძლავრი და პერსპექტიული ეჩვენათ. და მე კარგად მახსოვს, როგორ მოვიდა ჩემთან გოგი, ამხანაგებთან ერთად, 1953 წელს (მაშინ იგი 25 წლის იყო). „მოდით ავაშენოთ მსოფლიოში ყველაზე დიდი სადგური“, — მითხრეს მათ. ეს თითქმის განუხორციელებელი ოცნება იყო: მაგრამ ჩვენ მაინც დავიწყეთ ახლის აგება იმ ქოხის ნაცვლად, რომელიც საკუთარი ხელებით შევქმენით, ახალი სადგურისა, თითქმის მთელი მაღალმთიანი ინსტიტუტისა კოსმოსური სხივების, ელემენტარული ნაწილაკებისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის შესასწავლად. და ახლა ასეთი სადგური ნამდვილად არსებობს. იგი აღმართულია ცხრაწყაროს უღელტეხილზე, 2.500 მეტრ სიმაღლეზე, აღჭურვილია 1000 ტონიანი მძლავრი ელექტრომაგნიტით და ჩიქოვანის, მანჯავიძისა და მათი თანამშრომლების ხელით შექმნილი უნიკალური ხელსაწყოებით. გოგის სიკვდილის შემდეგ ეს სადგური დაობლდა.

თავისი არსებობის მანძილზე კოსმოსური სხივებისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის განყოფილება საკმაოდ მომაგრდა, მასში აღიზარდა მეცნიერების 14 კანდიდატი და ერთი დოქტორი. ამ განყოფილების კოლექტივმა, რომლის ხელმძღვანელობაც 1964 წელს გოგი ჩიქოვანს გადავეცი, მაღალი ავტორიტეტი მოიხვეჭა საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების ფიზიკოსთა კოლექტივებს შორის.

თანატოლებში გოგი ჩიქოვანი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სულიერი თვისებებით, იგი გაბედული იყო, მაგრამ მორცხვიც, იგი ერუდირებული და შემოქმედებითად აქტიური იყო; იგი ყველაზე თანამედროვე ტიპის ბრწყინვალე ექსპერიმენტატორი, მაგრამ ამასთან ურთულესი თეორიის დიდი მცოდნეც გახლდათ.

ბოლოს ახალი მეთოდიც შეიქმნა. გიორგი ჩიქოვანი და მისი თანამშრომლები 1963 წელს წარდგენილ იქნენ ლენინურ პრემიაზე „სატრეკო ნაპერწკლოვანი კამერის“ შექმნისათვის ელემენტარული ნაწილაკების სარეგისტრაციოდ. ეს კამერა ამჟამად გამოიყენება მსოფლიოს რამდენიმე მოწინავე ლაბორატორიაში. ჩიქოვანის კამერა მეტოქეობას უწევს ბირთვული ფიზიკის ყველაზე უფრო აღიარებულ მეთოდებს. გოგის მუშაობის წყალობით საბჭოთა მეცნიერებას მიეკუთვნა პრიორიტეტი ამ ხელსაწყოს შექმნაში, რომელთანაც დაკავშირებულია დამაჩქარებელი ექსპერიმენტის ყველაზე რადიკალური სრულყოფა.

და მაშინ წყნარ ყურედან ჩიქოვანი გაიჭრა ბობოქარი მდინარის კალაპოტში, რომელიც ხან მორევებში ატრიალებდა მას და ხან ზედაპირზე ამოსტყორცნიდა, იგი მიჰქროდა ამ მდინარეში, რომელსაც სახელად „მეცნიერება“ ჰქვია, და ეს ქროლვა სულ უფრო სწრაფი და გაბედული ხდებოდა.

1960 წელს იგი შვეიცარიაშია, 1961 წელს — იაპონიაში, სადაც მოხსენებით გამოდის. 1963 წელს მისმა სატრეკო კამერამ საყოველთაო აღიარება მოუტანა მას ინდოეთში გამართულ კონფერენციაზე. საბჭოთა კავშირში მისი შრომები აინტერესებს ყველას. როცა 1965 წელს იგი მიიწვია ბირთვული გამოკვლევების ევროპულმა ცენტრმა — ცერნმა, დასავლეთ ევროპის ამ ყველაზე ცნობილმა სამეცნიერო დაწესებულებამ, მას აკლდა სულ რაღაც სამი თვე სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე, გოგიმ დროებით უარი განაცხადა დისერტაციის დაცვაზე და ცერნ-ში გაემგზავრა.

რატომ არის ესოდენ მნიშვნელოვანი ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა, რომლისთვისაც ასე არ იშურებდა მთელ თავის ძალასა და უნარს გოგი ჩიქოვანი? ყველა ფიზიკოსს, ერთობ ნიჭიერსაც კი, როდი შესწევს უნარი თავისი წვლილის შეტანისა მეცნიერების ამ დარგში. ექსპერიმენტის მასშტაბი აქ გიგანტურია. ამოცანები, რომლებიც ამ მეცნიერების წინაშე დგას, დაუჯერებლად მნიშვნელოვანია. ჩვენს წლებში მაღალი ენერგიების ფიზიკას აინტერესებს არა მარტო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ არიან მოწყობილნი ელემენტარული ნაწილაკები, რომლებსაც ჩვენ ელემენტებს ვეძახით მხოლოდ ჩვეულების გამო. სინამდვილეში კი სულ ცოტა, ათი წელია ცნობილია, რომ მათ აქვთ შინაგანი სტრუქტურა და სრულიადაც არ წარმოადგენენ ელემენტარულებს. მაგრამ, სწავლობენ რა ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთმოქმედებას ისეთ პირობებში, როცა ისინი მოძრაობენ ზღვრული სისწრაფით, რომელიც სინათლის სისწრაფეს უახლოვდება, ყველა ქვეყნის ფიზიკოსი იმედოვნებს შეისწავლოს არა მარტო მათი სტრუქტურა, არამედ სივრცისა და დროის სტრუქტურაც.

სივრცის სტრუქტურა! რა უნდა იყოს ეს? იქნებ არსებობს ისეთი ელემენტარული სიგრძე, რომელზეც უფრო მცირე აღარ შეიძლება იყოს! დიახ, ალბათ არსებობს და მაშინ მოძრაობა ბუნებაში წარმოიქმნება არა ნარნარად, არამედ პატარა ნახტომებით სანტიმეტრის განუზომლად მცირე ნაწილზე. იქნებ დროც მიმდინარეობს არა ნარნარად? იქნებ იგი იცვლება ნახტომებით და ყოველი ასეთი ელემენტარული ნახტომი არ შეიძლება იყოს განსაზღვრულ სიდიდეზე უფრო მცირე? დიახ, ალბათ ეს ასეა და მაშინ, რომელიც განდა მოვლენა არ შეიძლება გრძელდებოდეს უფრო მცირე ხნით, ვიდრე წამის განუზომლად მცირე ნაწილია. მაგრამ, თვითონ გამსაჯეთ, რა განსაცვიფრებელი თვისებები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომელიც ექსპერიმენტებს აწყობს მეცნიერების ამ სფეროში, და აზროვნებისა და წარმოსახვის რა განსაცვიფრებელ ძალას უნდა ფლობდეს იმისათვის, რომ ფიქრობდეს ამგვარი კატეგორიებით, წარმოიდგენდეს წარმოუდგენელს.

როცა შესანიშნავმა გერმანელმა ფიზიკოსმა ჰეიზენბერგმა წამოაყენა „შემადგენელი“ ელემენტარული ნაწილაკების თეორია, გენიალურმა ნილს ბორმა თქვა: „არა მგონია, ეს თეორია სწორი იყოს. მე იგი არ მეჩვენება საკმაოდ გიჟური“. და იგი, როგორც ყოველთვის, მართალი გამოდგა: ჰეიზენბერგის თეორია შეიცავდა აზროვნების ჩვეულებრივ კატეგორიებს, მან ვერ შეძლო განემარტა ის, რაც ჩვეულებრივი წარმოდგენების ჩარჩოებში არ შეიძლება განმარტებულ იქნას. ფიზიკის სწორედ ამ სფეროში მოინდომა მუშაობა გიორგი ჩიქოვანმა.

და აი, გიორგი ჩიქოვანი ჩვენი ფიზიკის ინსტიტუტის სახელით აწარმოებს გამოკვლევებს ცერნ-თან ერთად. აქ, შვეიცარიაში, ხელმძღვანელობდა რა ევროპელი ფიზიკოსების ინტერნაციონალურ ჯგუფს, მან გამოიყენა მის მიერ თბილისში განვითარებული ექსპერიმენტული მეთოდი და მოახდინა მთელი რიგი დიდი აღმოჩენები. მისი სამუშაოებით დაინტერესდნენ მსოფლიოს წამყვანი ფიზიკოსები. მან წელიწადნახევარი იმუშავა ცერნ-ში, იქიდან საფრანგეთსა და ამერიკას ეწვია და საბოლოოდ განამტკიცა თავისი ავტორიტეტი. ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო კონფერენციაზე იგი იყო სექციის თავმჯდომარე. მას დაევალა წაეკითხა რეპორტიორული მოხსენება, ანუ მოხსენება ყველა სამუშაოებზე, რაც კი მის დარგში ჩატარებულა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამის შემდეგ ჩიქოვანი საქართველოში ბრუნდება. ახლა იგი უკვე ავტორია მძიმე მეზონების ოთხი ახალი ელემენტარული ნაწილაკისა; ეს მეზონები, რომლებსაც „ბოზონური რეზონანსები“ ეწოდა, გოგიმ და მისმა თანამშრომლებმა აღმოაჩინეს; და ეს მაშინ, როცა თვითეული ფიზიკოსისათვის ოცნების ზღვარია თუნდაც ერთი ასეთი ელემენტარული ნაწილაკის აღმოჩენა. გოგის 36 შრომას მიემატა კიდევ ექვსი.

1967 წლის მარტში, თბილისში დაბრუნებისთანავე, გოგი კვლავ წარმართავს თავისი თანამშრომლების მუშაობას ცხრაწყაროს მაღალმთიან სადგურში. იგი წერს სადოქტორო დისერტაციას და კვლავ იღებს მიწვევას ჟენევაში — ცერნ-ში, მის მ-

ერ ჩაფიქრებული გამოკვლევების ჩასატარებლად. ვერავითარმა თხოვნამ გადაედო გამგზავრება მანამდე, სანამ დისერტაციას არ დაიცავდა, ვერც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში არჩევის პერსპექტივამ ვერ შეძლო მისი შეჩერება. იგი ისწრაფვოდა ახალ მეცნიერულ გამოკვლევებისაკენ და კვლავ დაჰყო შვეიცარიაში 4 თვე 1967 წლის ოქტომბრიდან 1968 წლის თებერვლის ბოლომდე. ამ არაჩვეულებრივად მოკლე დროში მან მოასწრო ახალი აღმოჩენის გაკეთება ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში. იგი თუმცა კმაყოფილი დაბრუნდა, მაგრამ ეს კი თქვა: „დავქანცე მთელი ჯგუფი, მაგრამ, მგონი, მეც გავთავდი."

მიმდინარე წლის 9 აპრილს დანიშნული იყო მისი სადოქტორო დისერტაციის დაცვა. მისი ოპონენტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ გოგი ორ დისერტაციას იცავდა, ერთს, რომელიც თბილისში იქნა მომზადებული ცერნ-ში გამგზავრებამდე და ეძღვნებოდა ნაწილაკების რეგისტრაციის ახალ მეთოდს და ამ მეთოდის თეორიას, და მეორეს — მომზადებულს ცერნ-ის მასალებზე. აი რას წერს თავის რეცენზიაში აკადემიკოსი პონტეკორვო: „ჩიქოვანი არის კარგად ცნობილი ფიზიკოსი როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთ. იგი სავსებით იმსახურებს იმას, რომ არჩეულ იქნას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში".

გოგის სიკვდილმა ულრმესი გულისტკივილი გამოიწვია როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ლაბორატორიებში, ისე ცერნ-ში. მომყავს რამდენიმე ამონაწერი. აკადემიკოსი ბოგომოლოვი ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის სახელით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი საბჭოთა ფიზიკოსის გარდაცვალების გამო, ფიზიკოსის, რომლის შესანიშნავი შრომები ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის დარგში ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანასა და მთელი მსოფლიოს ლაბორატორიებში. ჩიქოვანის სიკვდილი საბჭოთა მეცნიერების მძიმე დანაკლისია, დასძენს იგი.

აკადემიკოსი, სკობელცინი ჩვენს ინსტიტუტს სამძიმარს უცხადებს ნიჭიერი ფიზიკოსის გიორგი ჩიქოვანის უდროოდ გარდაცვალების გამო.

გაერთიანებული ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორი ბლოხინცევი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილ საბჭოთა ფიზიკოსის გარდაცვალების გამო, ფიზიკოსის, რომლის ფუნდამენტურმა შრომებმა, მიძღვნილმა ელემენტარული ნაწილაკების თვისებებისადმი, მოუპოვა მას სახელი და მთელი მსოფლიოს მეცნიერთა აღიარება. დეპეშები მოვიდა უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ყაზახეთიდან.

ცერნ-ის გენერალური დირექტორი პროფ. გრეგორი გამოთქვამს მწუხარებას და გულწრფელ თანაგრძნობას; ყველა, ვინც კი ხვდებოდა ჩიქოვანს მისი ცერნ-ში ყოფნის დროს, წერს იგი, დიდად აფასებდა მის მეცნიერულ ღირსებას და შესანიშნავ ადამიანურ თვისებებს. ჩვენ მის სიკვდილს ისე განვიცდით, როგორც პირად დანაკლისს.

ეს ძალიან მართალი სიტყვებია: როგორც მეცნიერი და როგორც ადამიანი, გოგი იყო მეტად პრინციპული, პატიოსანი, გულუხვი, გულისხმიერი. იგი იყო ძალიან სპეტაკი ადამიანი, დიდი და დახვეწილი ინტელექტუალური და სულიერი კულტურის მქონე კაცი. იგი იყო ერთგული, კეთილშობილი ადამიანი, და სწორედ ამ ადამიანურ თვისებებში უნდა ვეძებოთ მისი მეცნიერული წარმატებების საწინდარი, რადგან მეცნიერება მოითხოვს სწორედ დიდ კეთილშობილებას და სულიერ სიწმინდეს.

მაგრამ დავუბრუნდეთ დეპეშებს და მოვიყვანოთ კიდევ ერთი მათგანი: საბჭოთა ფიზიკის ხელმძღვანელებმა, აკადემიკოსებმა არციმოვიჩმა, ალიხანოვმა, კაპიცამ, მარკოვმა, ბუდკერმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ვერნოვმა, ალიხანიანმა გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" გამოაქვეყნეს ჩიქოვანის შემოქმედების შეფასება. მათი სიტყვით, ის იყო „ექსპერიმენტატორთა ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფიზიკოსი, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე განახორციელა მთელი რიგი შესანიშნავი სამუშაოები ელემენტარული ნაწილაკების დარგში და უდიდესი როლი ითამაშა სატრეკო ნაპერწკლოვანი კამერების მეთოდის შექმნაში. ჩიქოვანი სამართლიანად იყო აღიარებული ფიზიკოსთა უფროსი თაობის მიერ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე უცხოეთშიც მაღალი ენერგიების საბჭოთა ფიზიკის იმედად".

გოგის ბედნიერება იყო მისი განსაცვიფრებელი კონტაქტურობა. მას უნარი ჰქონდა დაეინტერესებინა სხვები თავისით და დაინტერესებული იყო თვითონ სხვისით. წრეს, რომელშიაც იგი ტრიალებდა, მუდამ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის. ფიზიკის ინსტიტუტში, სიმართლე რომ ითქვას, მას შესანიშნავი წრე ჰყავდა: შემოქმედებითი და მასაზრდოებელი. ამაშია მისი წარმატებების მეორე მიზეზი.

გოგი არ იყო მარტო ბრწყინვალე ექსპერიმენტატორი და თეორიის ჩინებული მცოდნე: იგი იყო ექსპერიმენტის შედეგების მანქანური დამუშავების თანამედროვე მეთოდების იშვიათი სპეციალისტიც. ამასთან შესანიშნავი ორგანიზატორიც გახლდათ: 1951 წლიდან 1959 წლამდე იგი იყო ჩვენი ინსტიტუტის ალბუზის ექსპედიციის უფროსის მოადგილე და ამ ექსპედიციის ყველა გამოზამთრების უფროსი. 1959 წლიდან 1963 წლამდე იგი იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ხოლო 1963 წლიდან უკანასკნელ დღეებამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური სხივებისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის განყოფილებას. 1954 წელს იგი შევიდა სკკპ რიგებში და აქტიურად იღებდა მონაწილეობას ინსტიტუტის პარტიული ბიუროს მუშაობაში.

ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობა და მასთან მეგობრობა ცხრამეტი წლის მანძილზე, დაწყებული მეცნიერებაში მისი პირველი ნაბიჯებით და დამთავრებული მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეებით, ჩემთვის იყო დიდი და განუწყვეტელი სულიერი კმაყოფილების წყარო. ვფიქრობ, ასეთი იყო სხვებისთვისაც, ვინც მას იცნობდა.

გოგი ჩიქოვანი ცხოვრობდა მეცნიერებით, მეცნიერებისათვის, მისი სახელით სჩადიოდა იგი გმირობას. იგი მოკვდა თავისი ძალების გაფურჩქვნის დროს, განაგრძობდა რა ფიქრს მეცნიერებაზე, განაგრძობდა რა მის სიყვარულს, განაგრძობდა რა მის რჩეულად ყოფნას. განა შეიძლება უფრო ამაღლებული, უფრო კეთილშობილური მაგალითის მოძებნა? მან დატოვა შვიდი წლის ვაჟიშვილი ჟენია, ზედგამოჭრილი პატარა გოგი, ცოცხალი და ნიჭიერი ბიჭი. იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს მიწაზე მალე გაიზრდება ახალგაზრდა მეცნიერი — ევგენი ჩიქოვანი. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ იგი ღირსი გახდეს თავისი მამისა.

აკად. ელეფთერ ანდრონიკაშვილი

# სათარა და გონჩა-ბეგუმის ლექსი

ნ. ბარათაშვილის წერილში მაიკო ორბელიანისადმი ვკითხულობთ:

„სათარასთვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებაო!..

ახლა ნახჩევანში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვიან; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანი; ბევრში წარმოგიდგენთ ორლოვის ცოლს, საცოდავი დამწვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს რომ გაუშოს; საწყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ. — ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რომანია. — ამ ლექსში თავის თავს სტირის: ერთს ადგილას ამბობს: ჩემო მშვენიერო ბაღჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიბო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო. — ამ ლექსს დავაწერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნით, მგონია სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის! ერთი ხმა არის კიდევ ძალიან სასიამოვნო. ჯაფარამაც იცის და სათარამაც, როცა შეხვდეთ, ასე უთხარით, რომ ეი, მუსელმან ნამარი ხანჯალზანი, იმღეროს".

სათარა, რომელსაც ჩვენი დიდი პოეტი ამ წერილში ახსენებს, იყო იმ დროის განთქმული მომღერალი. ჯერ ისევ თბილისში ყოფნის დროს ბარათაშვილმა სათარა თავისი დის ქორწილში წაიყვანა სტუმრების გასართობად და გასამხიარულებლად.

ბარათაშვილს ისე მოსწონდა სათარას ხმა, ნახჭევანშიც არ ივიწყებდა მას; უფრო მეტიც, პოეტი გონჩა-ბეგუმის ლექსის გაგზავნას აპირებს თბილისში („დავაწერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნით"), რათა სათარამ ხმა შეუწყოს და შეასრულოს. ათარგმნინა თუ არა გონჩა-ბეგუმის ლექსი ბარათაშვილმა, ცნობილი არ არის.

სათარა, ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგაც იქცევდა პოეტების ყურადღებას. ცნობილმა პოეტმა იაკობ პოლონსკიმ, რომელიც 50-იან წლებში თბილისში ცხოვრობდა, ამ მომღერალს ერთი თავისი საუკეთესო ლექსი უძღვნა, რომელშიაც ვკითხულობთ: „შენმა ტირილმა გული დამითუთქა და სულში ჩამწვდა". ამ ლექსისადმი დართულ შენიშვნაში პოლონსკი წერდა: „სათარას მოისმენთ ქართველებისა და სომხების ქორწილებზე, სადაც ის მოდის ხოლმე დამკვრელებთან ერთად. მის სიმღერის თანმხლები საკრავებია ჩონგური, დაირა, დიპლიპიტო და ჭიანური ანუ აზიური ვიოლინო. მისი გოდება აოცებს სიახლით ევროპელის სმენას და ბადებს უცნაურ და მშფოთვარე გრძნობას".

სათარას თავის ჩანაწერებში ქებით იხსენიებს მ. ოლშევსკიც („რუსსკაია სტარინა", 1894, № 6).

რაც შეეხება ბარათაშვილის მიერ მოხსენებულ მეორე ლექსს — „ეი, მუსელმან, ნამარი ხანჯალზანი" („მუსლიმანო, გულში დამკარ ხანჯალი") ცნობილი არ არის, შეიძლება არც ჩაუწერია თავის დროზე არავის.

აქვე ვბეჭდავთ რუსი მხატვრის გ. გაგარინის სურათს, რომელზეც აღბეჭდილნი არიან სათარა და მისი ორკესტრი.

ი. ენაკოლოფაშვილი





ბრანდენბურგის ჭიშკართან. მირანდა და კონსტანტინე გამსახურდიები, გერმანელი მწერალი კარლ კოკოშკო.

**1967** წლის 14 ნოემბერი. ბრესტში გამაღვიძა მირანდამ. ფანჯრიდან მოღუშული ცა მოჩანდა.

მოსკოვში მე შეუძლოდ ვიყავი. ვისაც დავავალე ჩვენი მეგობრებისათვის ეუწყებინა ჩვენი ბერლინს ჩასვლის დღე და საათი, შეცდომით უცნობებია 16 ნოემბერი.

14 ნოემბერს, ღამის 11 საათზე ჩვენ უკვე ბერლინში ვიყავით, ოსტ-ბანჰოფზე. აქ გაჩერდა ჩვენი მატარებელი მოსკოვი-პარიზი. სადგურზე არც ერთი ნაცნობი არ აღმოჩნდა.

მირანდას მებარგე ჩავაბარე და მე გავეშურე ცნობათა ბიუროს საძებნად.

კონტორის გამგე დაფაცურდა. სულ რამდენიმე წუთში მოგვიძებნა ჩვენი მეგობრის კარლ კოკოშკოს ბინის ტელეფონი.

კოკოშკომ გახარებულმა მითხრა: ხუთმეტ წუთში გეახლებითო აღმოსავლეთის სადგურზე. ზუსტად ხუთმეტ წუთზე კარლ მოგრიალდა საკუთარი მანქანით. შოფერი წამოიყვანა და სადგურიდან გამოვიტანეთ ჩვენი ბარგი. ბერლინში ოდნავ ჟინჟლავდა. სამიოდე სასტუმრო მოვიარეთ და არსად ნომერი არ აღმოჩნდა. ბოლოს, როგორც იქნა, კარლმა გვაუწყა, ერთი საათის შემდეგ ლუქსი მზად იქნებაო სასტუმრო „უნტერ დენ ლინდენში".

მთელი საათი ვისეირნეთ უნტერ დენ ლინდენზე. სადღაა მშვენიერი გოლიათური ცაცხვები. ისინი ამერიკის ავიაციას დაულეწია. მათ ადგილას დაურგავთ შვედეთიდან ჩამოტანილი სამ-მეტრიანი მორჩები, რომელთაც ჭერაც ამაგრებენ ბიჯგები.

ბომბებს შეუმუსრავთ ჩემი საყვარელი ბერმუხა, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე ამშვენებდა ბერლინის უნივერსიტეტის ეზოს. სავსებით შეუმუსრავთ ჰოჰენცოლლერნების საიმპერიო სასახლე. უნივერსიტეტში მიმავალს უნტერ დენ ლინდენზე არაერთხელ შემხვედრია კაიზერ ვილჰელმი და მისი ექვსი ვაჟი. ამ შლეგებმა სამარცხვინოდ დაასრულეს ჰოჰენცოლლერნების დინასტიის მატიანე.

კარლ კოკოშკომ მიგვიწვია ფეშენებლურ რესტორანში „ლინდენ კორზო".

კვლავინდებურად მიამა შესანიშნავი რაინული ღვინო „ლიიბ ფრაუენ მილხ", („საყვარელი ქალების რძე").

ღამის პირველ საათზე შევსახლდით კომფორტაბელურ ლუქსში. სასტუმრო უნტერ დენ ლინდენში იდეალური სისუფთავეა და წესრიგი. დიდხანს არ დამეძინა. ვიგონებ ჩემი ახალგაზრდობის წლებს, ბერლინში გატარებულს. მე ხან ფრიდრიხ შტრასსეზე ვცხოვრობდი, ხანაც შარლოტენბურგში. ეს ნაწილი ქალაქისა ამჟამად ფედერაციულ გერმანიას ეკუთვნის. საზღვარია ბრანდენბურგის ჭიშკარი, ნაწილობრივ მდინარე შპრეე.

ძილვფხიზლობ. ვიგონებ ჩემს ლექსს, სიჭაბუკეში დაწერილს, „პეპელა უნტერ დენ ლინდენზე".

საით მიფრინავ ფრთა მოხატული,
ამ აფიშების უწყალო ომში,
შენ გიმღეროდა, რომში კატული,
ახლა მე გიმღერ მესამე რომში.

მესამე რომი! ჰმ. მაგონდება გოეტეს ბრწყინვალე აფორიზმი:

„Die Weltgeschichte ist ein Mischmasch von Roheit und Gewalt" (მსოფლიო ისტორია არის ბარბაროსობისა და მიმძლავრების დომხალი).

მრავალი საუკუნის მანძილზე სისხლის წვიმები დააყენეს გერმანელმა იმპერატორებმა ჰოჰენშტაუფენებმა და ავსტრიელმა ჰაბსბურგებმა.

რომის იმპერატორის გვირგვინს იდგამდნენ თავზე ისინი მათ მიერვე შემუსვრილ რომში, ეს უნდა მომხდარიყო უთუოდ პაპის ხელითა.

ამოწყდნენ ჰოჰენშტაუფენები და ჰაბსბურგელი იმპერატორები. დეგენერატმა ვილჰელმ მეორემ ვერ დაამკვიდრა მესამე რომის იმპერია. მერმე ის იყო, მოვიდა შიზოფრენიკი ადოლფ ჰიტ-

**კონსტანტინე გამსახურდია**

ლერი და მან დააპირა მესამე რომის იმპერიის აღდგენა, მრავალი მილიონი ადამიანი იმსხვერპლა ამ გიჟურმა ოცნებამ.

რა დიდი ნათელმხილველი იყო გოეტე. მას არ უყვარდა პრუსიელების ბერლინი, გოეთე ამტკიცებდა: გაერთიანებული გერმანია უთუოდ გადაუშ[illegible]ბაო ექსპანსიისათვის ოცნებას.

1928 წელს მე მიუნხენში ვიყავი, როცა გენერალ ლუდენდორფმა და ეფრეიტორმა ჰიტლერმა სახელდახელო პუტში მოაწყვეს. თომას მანნის ოჯახში, სადაც მე ხშირად ვსტუმრობდი, უკვე იცოდნენ, რომ ადოლფ ჰიტლერი უმიჯნურდებოდა ბავარიის მეფის ლუდვიგ მესამის შინაბერა ასულს.

პუტში სამარცხვინოდ დამთავრდა. ჰუმორისტულმა ჟურნალმა „სიმპლიცისიმუს" მოათავსა ასეთი კარიკატურა:

გენერალი ლუდენდორფი ცხენიდან ჩამოვარდნილა. სატირიკოსს დაეწერა: „ჰოპლა!".

ხოლო ჰიტლერი ასე იყო გამოსახული, იგი დაშინებული იჭვრიტებოდა შინაბერა პრინცესას კრინოლინის კაბის ქუბებიდან. ახლა ვნანობ „სიმპლიცისიმუსის" ეს ნომერი რომ არ შემოვინახე.

გერმანულმა მონარქიამ ურთიერთს გადაჰკიდა ევროპის ორი უშესანიშნავესი ერი: საფრანგეთი და გერმანია. გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ პირველის ჯარებმა პარიზი დალაშქრეს. მერმე რისთვის დააყენეს პრუსაკებმა ეს სისხლის წვიმები? ერთი მტკაველი ელზას-ლორენის დასაპყრობად.

ჩვენ თაობათა თვალწინ გამოირკვა, რომ ადოლფ ჰიტლერი გაცილებით უფრო უჭკუო ყოფილა, ვიდრე ვილჰელმ I და ვილჰელმ II. გადარეულმა ჰიტლერმა თავის სვეგამწარებულ ერს მსოფლიოში ჯერ არ ნახული კატასტროფა დაატეხა თავზე. ინკვიზიცია და ის ამბები რომელიც ჩვენთვის ცნობილია „მალეოს მალეფიციარუმიდან", ბალღური იდილიები აღმოჩნდნენ იმ გაუგონარ ვაკხანალიასთან შედარებით, რომლის თავკაცები იყვნენ ჰიტლერი და მისი გაცოფებული სინკლიტი.

კარგად არ მახსოვს, ჩინგისხანმა, თუ რომელიღაც მონღოლთა ხანმა ტყავი გააძრობინა ერთი კაცისათვის; ვინ მოსთვლის რამდენ ათას კაცს გახადეს ტყავი ბუხენვალდსა და ოსვენციმში!

და ეს ყოველივე მოხდა გოეტეს, კანტის, შოპენჰაუერისა და თომას მანნის სამშობლოში.

მანამდის ჩვენ გვეგონა ევროპა და განსაკუთრებით გერმანია კულტურისა და კაცთმოყვარეობის ციტადელები იყვნენ; ფრიდრიხ შილლერი მღეროდა — ყელს მოგეხვევით მილიონებო. ადოლფ ჰიტლერმა ამ მილიონებს სახრჩობელას მარყუჟები გადააცვა კისერზე.

იმპერატორს ნაპოლეონ ბონაპარტეს მუდამ აძაგებდნენ იმის გამოც, რომ მან ალბანეთში ათი ათასი ადამიანი ზარბაზნებით შემუსრა. ეფრეიტორ ყოფილმა ადოლფ ჰიტლერმა ბარე ორმო-



პირველი დღე — სასტუმრო „უნტერ დენ ლინდენის" წინ. ჩვენი მეგობრები — მასპინძლები მწერალი ლეონარდო კოშუტი და ლარისა პაცი.

# ჩემი ბერლინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა განა მარტო ბრძოლის ველზე, ბუხენვალდისა და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკებში.

* * *

15 ნოემბერს, დილის 10 საათზე დაგვირეკა ჩვენმა მეგობარმა ლეონარდ კოშუტმა, გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტის" მთავარმა რედაქტორმა, ბოდიში იხდიდა: წუხელ ჩვენ არ დაგიხვდით სადგურზე, რადგან მოსკოვიდან ასე გვაუწყეს: ნოემბრის 16-ს ჩამობრძანდებიანო.

12 საათზე ბანკეტი მოგვიწყეს გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტის" დირექტორმა ვალტერ შოლეკმა, მთავარმა რედაქტორმა ლეონარდ კოშუტმა და იმავე გამომცემლობის განყოფილებათა გამგეებმა.

პურობას დაესწრო მოსკოველი სტუმარი რუდნაია ლიდა ფეოდოროვნა, ჟურნალ „საბჭოთა ლიტერატურის" მთავარი რედაქტორი, გერმანული ენის სპეციალისტი.

მეტრდოტელს გაუკვირდა, რომ მე სოკოს სუპის მეტი არაფერი შევუკვეთე. რაინული ღვინო ლიიბ ფრაუენ მილხ ბლომად მოგვართვეს, მაგრამ მე მოვერიდე დილიდანვე ღვინის სმას.

საუზმე დამთავრებული არა გვქონდა, როცა გვეწვიენ ჩვენი ძველი მეგობარი, მწერალი, პროფესორი ალფრედ კურელლა და გამომცემლობის პარტკომის მდივანი.

საუზმე მალე დავამთავრეთ და ჩვენმა მასპინძლებმა შემოგვთავაზეს ბერლინი დაგვეთვალიერებინა.

ჯერ ვინახულეთ ბრანდენბურგის ჭიშკარი, რომლის გადაღმა დასავლეთ გერმანიის პიკეტები იდგნენ.

მრავალ ახლად აგებულ სასახლეებსა და სახლებს ჩაუარა ჩვენი მანქანების კორტეჟმა.

„ოცი წელია ვიბრძვით და ეს დანგრეული სახლები ვერ აღვადგინეთ", მეუბნება ამხანაგი შოლეკი.

უნტერ დენ ლინდენსა და ალექსანდერ პლაცს ამშვენებენ მრავალეტაჟიანი სასახლეები და სახლები.

მე, პირადად, არ მომწონს მრავალეტაჟიანი სახლები. ევროპის ყოველ ქალაქს გარს არტყია დაუსახლებელი მინდორი, განა არა სჯობს ორეტაჟიანი სახლები აგონ?

მე მგონია, ეს ამერიკის ზეგავლენაა. ამერიკა მუდამ იყო და იქნება უგემოვნობის მთავარი მოკარნახე.

განა ათინა და რომი სილამაზეს ჰკარგავდნენ იმის გამო, რომ მათ ქუჩებს ამშვენებდნენ ერთსართულიანი სახლები? კაიზერ ვილჰელმის სახახლის გვერდით ბომბების რისხვას გადარჩენია ერთი გოტურ სტილზე აგებული ძველი ეკლესია, მშვენიერი, ლუთერის დროინდელი არქიტექტურა.

მე ძლიერ დამქანცა მუზეუმებისა და სასახლეების დათვალიერებამ, საღამოს 7 საათზე მირანდამ გამაღვიძა და მითხრა: ალფრედ კურელლა და მისი მეუღლე გვიცდიანო ვახშმად.

ბერლინის გარეუბნის ერთ მივარდნილ ქუჩაზე ჭიშკართან დაგვიხვდნენ ალფრედ კურელლა და მისი მშვენიერი მეუღლე.

მასპინძლებმა გაიხარეს ჩვენი სტუმრობით. მირანდამ მათ მიართვა სუვენირები, სვანური ქუდები და სხვა მისთანანი.

ალფრედმა ზეასწია რაინის ღვინით სავსე ჭიქა და გვითხრა:

„ეს რამდენი წელია ჩვენ ვოცნებობდით თქვენი ჩამობრძანებისათვის და როგორ მწყინს, რომ მე ხვალ დილით უნდა გავფრინდე ტფილისს, როგორც გერმანული დეკადის ხელმძღვანელი".

ალფრედის ვილლა შესანიშნავად მოურთავს მის ახალ მეუღლეს სონიას. ნოხები და გობელენები, სურათები და ქანდაკებები. წიგნები, წიგნები და კიდევ წიგნები.

ალფრედი შეყვარებულია სვანეთსა და ხევსურეთზე, ამ პროვინციების პეიზაჟები ამშვენებენ მის სასახლეს, უშბა და თეთნულდი.

როცა სონია რაინული ღვინის მოსატანად გავიდა, ალფრედი ხმადაბლა ეუბნება მირანდას:

„ჩემი გულის ნახევარი ხევსურეთში მაქვსო დამარხული". იგულისხმებოდა მისი მეუღლე, რომელიც ხევსურული ცხენის მსხვერპლი გახდა.

ჩვენ, ქართველებს ამაოდ გვგონია, თითქოს ჩვენს გარდა არავის ესმოდეს მანდილოსნის, მეუღლისადმი განკუთვნილი პატივისცემა და სიყვარული.

ალფრედ კურელლამ მე მომწერა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღსავსე წერილი ჯერ კიდევ ომის დროს. მერმე ტფილისში მეწვია და მას შემდეგ ჩვენ ვმეგობრობთ.

ეს შესანიშნავი კაცი ძლიერ მაგონებს კეთილშობილსა და კარგ ქართველს. რუსთველის იუბილეს დღეებში იგი დაუპატიჟებლად მოდიოდა ჩვენთან. მეტყოდა ხოლმე, მირანდას შეწუხებას რომ არ ვერიდებოდე, მე სულ თქვენთან ვიქნებოდი, ლობიოსა და ერთ ჭიქა ღვინოს ვიკმარებდიო.

რა უბედური იქნებოდა ქვეყანა, კარგი ადამიანები რომ არ ამშვენებდნენ მას.

მე ხშირად ვხუმრობ: პირდაპირ ძაღლის ბედი მაქვს, ყველა ქვეყანაში გამომჩენია ხოლმე უანგარო მეგობრები და თანამდგომები. ეს რომ არა, ჩემი დაუდგრომელი ტემპერამენტის პატრონი, დიდხანს ვერ ვიბოგინებდი ამ ოხერ მიწაზე.

მე მუდამ მამხნევებდა ადამიანებისადმი უანგარო სიყვარული.

კუს თავისი ნახტომი აკვირვებდაო. მეც იმ კუს ვგავარ. ბარე ხუთ წელს ვმჯდარვარ ციხეებსა და კონცლაგერებში, არც თუ კეთილი ადამიანები შემომიტევდნენ, მაგრამ როგორც კი გამიცნობდნენ, შეეცდებოდნენ ჩემი ტანჯული ცხოვრების კირთება შეემსუბუქებინათ ჩემთვის.

გრაცია დიო. მადლობა უფალს.

* * *

იმ ღამეს კვლავ შემიპყრო უძილობამ. მირანდა მეცოდება, სასტუმროს დერეფანში დავდივარ და ვფიქრობ. ხვალ დილას რომ ავდგები, ცნობათა ბიუროს ვთხოვ მომიძებნოს ჩემი ბერლინელი მეგობრების ტელეფონები. ცხადია, ეს არაა ოცნება. მე მინდა ალექსანდერ პლაცზე წავიდე და მოვძებნო ჩემი გარდაცვლილი მეგობრის, იოჰანეს ნოიჰაუზის სახლი. ჩემს რომანში, დიონისოს ღიმილი, მე ავსახე მისი ტრაგიკული თვითმკვლელობის ამბები. ჩემი მეგობრის, ქართველოლოგის, რიჰარდ მეკელაინის თანდასწრებით, მან განმიცხადა:

„კონსტანტინე, მე დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია, ცოლი გამექცა, ჩემი დები და ძმები კოპენჰაგენში დაიხოცნენ. შენ თუმცა აზნაური ხარ და ფილოსოფიის დოქტორი, მაგრამ გატყობ, არც ისეთი მდიდარი, როგორც გერმანელი იუნკრები, ჩვენი მეგობარი რიჰარდ მეკელაინ ნოტარიუსს მოუტანს ჩემს განაცხადს.

ჩემი დიდი ბიბლიოთეკა, ეს ოთხი ოთახი შენი იყოს, ცოლი შეირთე, იბედნიერე და თუ არ დაგავიწყდები, შობის დღესასწაულზე ჩემი შესანდობარი დალიე".

მე მივუგე იოჰანესს:

„ღმერთმა ნუ მომასწროს შენს სიკვდილს. შენ მართალს ბრძანებ, მე არა ვარ ისე მდიდარი, როგორც პრუსსიელი იუნკრები, მაგრამ, თუ არა ვცდები მათზე უფრო სულით მდიდარი ვარ, არა?

მე და რიჰარდ მეკელაინს შენთან გვაკავშირებს დიდი ხნის უანგარო მეგობრობა. აბა, შენ თავათ განსაჯე, ღმერთმა დაგიფაროს და შენ აღარ იყვე ამ ქვეყნად, მე როგორ შევძლებ იმ ბინაზე ვიცხოვრო, სადაც ჩვენ მეგობრული საუბრები ჩაგვიტარებია და რაინული ღვინო გვისვამს".

ზუსტად მეორე დღეს, დანიელმა პროფესორმა იოჰანეს ნოიჰაუზმა გაალო თავის საწოლი ოთახის ფანჯარა და მესამე სართულიდან გადავარდა. მეზობლებმა შეგვატყობინეს. რიჰარდ მეკელაინ და მე მივვარდით მის ბინაზე. იოჰანესს ასფალტირებულ ტროტუარზე დაულევია სული, ჩვენ მისი ცხედარი შინ შემოვიტანეთ. პასტორი მოვიწვიეთ და შემდეგ ამისა დავასაფლავეთ, ვიტირეთ, ვიგლოვეთ, მისი ბინის კარები გამოვკეტეთ და მე წავიყვანე მისი საყვარელი ძაღლი შნუკი.

ამ ძაღლს დიდხანს ვუვლიდი, ბოლოს იგი მანქანამ გაიტანა.

როცა ეს ამბავი მაცნო ჩვენი პანსიონის მეკარემ, გრძელწვერა ფრიდრიხმა, მე ასეთი რამ ვუთხარი ჩემს თავს: ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც არავინ უყვარს ამ ქვეყნად.

მაშინ ჯერაც ჭაბუკი ვიყავი და გაუხედნავი კვიცივით ამ ცხოვრების მიერ დაშენილ მათრახს არ ვიკარებდი, ახლა, როცა დრომ დამათოვა თავზე, მე პირიქით ვფიქრობ:

ბედნიერია იგი, ვინც უანგარო სიყვარულით შესძლო ადამიანთა სიყვარულის მოხვეჭა.

თუ არა ვცდები, მეც ვეკუთვნი ამ ბედნიერთა რიცხვს.

ბერლინის ემბლემა „ნანტი" ცოცხალი დათვია. ეს ის პოზაა, როდესაც ჩვენ გვესალმება.



# თავს სიხარული სჯობდა, ბოლო ჟამს დანანებასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკად. ნ. კეცხოველი

ჩვენს სამშობლოს თეთრი ნახშირის ქვეყანას უწოდებენ. ჩვენ მდიდრები ვართ მთის მარად მჩქეფარე მდინარეებითა და ნაკადულებით, რომელთა დაუშრეტელი ენერგია შეიძლება ელექტროენერგიად გარდავქმნათ. ამ მხრივ ბევრი ქვეყანა ვერ დაგვედრება. აკი სოციალიზმის გარიჟრაჟზევე წყლის ეს დღემდე დაუოკებელი ენერგია ხალხის სამსახურში ჩავაყენეთ. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე საფუძველი ჩაეყარა სოციალისტური ქვეყნის ერთ-ერთი პირველი და იმ დროისათვის დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მტკვარზე, სოფელ ზემო ავჭალასთან. ზაჰესი საქართველოს ელექტროფიკაციის პირმშო იყო, რომელსაც შემდგომ წლებში მხარში ამოუდგნენ რიონჰესი, ტირიფონჰესი, ალაზანჰესი, ჩითახევჰესი, შაორჰესი, ლაჯანურჰესი, ნამახვანჰესი და მრავალი სხვა. ამჟამად კი ენგურზე შენდება ერთ-ერთი უნიკალური ჰიდროელექტროსადგური უმაღლესი კაშხალით — ენგურჰესი. რასაკვირველია, ამაზე არ შევჩერდებით და მომავალში კიდევ ავაშენებთ ელექტროენერგიის მრავალ სხვა წყაროს. გაიმართება მრავალი წყალსაცავი და რაკი ეს არც ისე შორეული მომავლის ამბავია, მინდა, რომ ყოველი ახალი წყალსაცავი აშენდეს უზადოდ, უნაკლოდ.

ასეთი სურვილი იმიტომ დამებადა, რომ აშენებულთა შორის რაღაც ნაკლი შევნიშნე, რაღაცამ დამაფიქრა. რამ დამაფიქრა? რამ და ჩვენი წყალსაცავების შემდგომმა განვითარებამ. ავიღოთ თუნდაც ზაჰესის წყალსაცავი მცხეთასთან, არაგვისა და მტკვრის შესართავთან. პირველად დამპროექტებელნი ფიქრობდნენ, რომ კაშხალთან „ზღვა“ შეიქმნებოდა, პატარა გემებიც კი ჩამოიტანეს, მშრომელები ისეირნებენო, წყლის სადგურიც გაკეთდა, მაგრამ წყალსაცავის დიდი ნაწილი მოისილა, დაჭაობდა და ჭაობი ზოგან ტყედ გადაიქცა. თვით კაშხალთან გაჩნდა შესანიშნავი ტირიფნარი. კარსნის პატარა ხევს კი იმდენი ქვა და ღორღი, ხრეში და სილა ჩამოაქვს ამ ტყეში, რომ ისინი პატარა გორაკებად არის აკოკოლოვებული. საჭირო ხდება ქვა-ღორღის გამოტანა. ჩემთვის ცხადია, პირველმა დამპროექტებლებმა ერთი ვერ გაითვალისწინეს, ან ნაკლებად გაუწიეს ანგარიში „გიჟი“, „არაგვიანი“ არაგვის ბუნებას, იმას, რომ მთიურობას იგი მცხეთამდე არ ჰკარგავს, რომ მოდის და თან მოაქვს ქვა, ქვიშა, შლამი, რომ არაგვის ხეობაში მკაფიოდ არის გამოსახული ეროზიული მოვლენები, რომლებიც ჯერჯერობით წლითიწლობით ძლიერდება. არც მტკვარს აულია ხელი საქართველოს ფარგლებში მთის მდინარეობაზე; იზრდება ზაჰესის ჭაობი, იმიტომ გახდა მცხეთის ნაპირიც ლაქაშიანი და ლერწმიანი.

მოისილა და გაჩნდა ჭაობი, ან ყოველ შემთხვევაში ჭაობის მცენარეულობით იფარება სამგორის არხის სათავის ტბორი სოფ. პალდოსთან, მასშივე ჩნდება კუნძულები. მოისილა ლაჯანურჰესის, ცხენისწყლის და სხვა კაშხლები. ჩემს მიზანს ჩრდილოვანი მხარეების ჩამოთვლა როდი შეადგენს. ჩემი შემდგომი მოსაზრების საილუსტრაციოდ და დასამოწმებლად ესეც კმარა.

ამჟამად არის სოფ. ჟინვალთან არაგვის დაგუბების პროექტი. წყალსატევი დიდი მოცულობის იქნება. დაგუბებული წყალი დაფარავს სოფ. ანანურს და მისწვდება ისტორიული ძეგლის — ციხის ძირს. არაგვს, რომელიც წარმოიქმნება ოთხი ძირითადი ნაკადისაგან (თეთრი არაგვი, შავი არაგვი, ხევსურეთის არაგვი და ფშავის არაგვი), გზა გადაეღობება იმ ვიწროებში, საიდანაც შედარებით უფრო ვაკე ადგილი იწყება. არაგვის მთელი ჩამონატანი (რიყის ქვა და სხვა), უნდა დაგროვდეს ჟინვალ-ანანურის წყალსაცავებში.

ზემო დასახელებული მდინარეები ტიპიური მთის მდინარეები არიან, შმაგნი და მოუსვენარნი. მათი წყალმკრეფი აუზი ბევრგან ნირშეუცვლელია. წარსულში ახოების კეთებით და ტყის უყაირათო გამოყენებით ბევრი ციცაბო ფერდობი მოტიტვლდა და ეროზიის ძლიერ კერად გადაიქცა. ასეთი კერები ამ მდინარეთა ხეობებში მრავალია. ამიტომ არის, რომ არაგვს დიდი რაოდენობით ჩამოაქვს რიყის ქვა და ხრეში, ლამი და ქვიშა. ფშავის არაგვი წყალდიდობისას ჭალაში ხეებს გლეჯავს და ქვემოთკენ მიატივტივებს. ჩვენს მთებში ყოველ უტყეო ერთ ჰექტარ მიწის ფართობიდან წვიმის წყალს 15-60 ტონა მიწა და ლამი მოაქვს, ეროზიის კერებზე ხომ ეს ციფრი გაორმაგებული და გასამმაგებულია. ბევრი ხევისათვის დამახასიათებელია ღვარცოფები. ასეთი ხევები სწორედ ანანურის ზევითაა დიდი რაოდენობით, განსაკუთრებით მლეთამდე. ეს ღვარცოფები წვიმის შემდეგ თბილის-ორჯონიკიძის მთავარ გზას სხვადასხვა დროით კეტავენ. მთელი ეს მასა, ამ მდინარეთა ჩამონატანი, თავს მოიყრის ჟინვალის კაშხალთან და, რა გასაკვირველი იქნება, თუ 5-10 წლის შემდეგ წყალსაცავი ამოივსება და დაკარგავს თავის ფუნქციას.

ამიტომ საჭიროა თუ არა ასეთი წყალსაცავის აგება? და თუ მაინც და მაინც უნდა აიგოს, მაშინ, გარდა წმინდა საინჟინერო პროექტისა, უნდა გაკეთდეს აგრომელიორაციული პროექტი, რომელიც გაითვალისწინებს ეროზიასთან ბრძოლას არაგვის აუზის მთელ სადევარზე (ტყეების გაშენება, ნატყევარის აღდგენა, ოროკოების ანუ ტრასების გაკეთება, მდინარის დინების შენელება, ტყეების ნაკრძალად გამოცხადება); ეს სამუშაონი უნდა შესრულდეს და დამთავრდეს ძირითად საამშენებლო პროექტის შესრულებისთანავე, ამის გარეშე შეუძლებელი იქნება კაშხალის დახურვა.

ამჟამად ევროპაში დიდ წყალსაცავებზე ხელი აიღეს. მაგალითად, საფრანგეთში მდინარე რონაზე ათამდე ჰესი აიგო და არსად დიდი საგუბარი არ გაკეთებულა, ამჯობინებენ ისეთი ჰესების გაკეთებას, რომლებისათვისაც დიდი კაშხალები არ ესაჭიროებათ. იქნებ უკეთესი იყოს ჟინვალთანაც წყლის წამოყვანა იმავე წესით განხორციელდეს, რა წესითაც ბულაჩაურ-ნატახტარიდან მოგვყავს?

მაგრამ ეს ამ წერილის საგანი არ არის.

მე ამჟამად ვაყენებ საკითხს ტყეების უაღრესად ფაქიზად მოვლის შესახებ არა მარტო არაგვის ხეობაში, არამედ ყველა იმ ხეობაში, სადაც დიდი კაშხალი აშენდა. პირველ რიგში ესენია ენგურის, რიონის, არაგვის ხეობები. ცნობილია, რომ რიონი და ენგური იმ მდინარეთაგანნი არიან, რომლებსაც დიდი რაოდენობით გამოაქვთ ხრეში და ღორღი. ეს ღორღი გროვდება შავი ზღვის სანაპიროზე. მაგრამ სხვა უბედურებაც რომ არ დატრიალდეს, ამიტომ მთელს ხეობებში ინტენსიურად უნდა წარვმართოთ გატყევების სამუშაოები. უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ ტყე წვიმის წყალს აკავებს, ქვევით, ხევისაკენ არ უშვებს, იწოვს მას და წყაროებად გადმოდის. ტყეში დადებული თოვლი 15-20 დღით გვიან დნება, ვიდრე ღია ადგილზე. ტყის თოვლი ნელა დნება, ლანქერად არასოდეს არ იქცევა და ნადნობი წყალიც ნიადაგში ჩადის. ამგვარად, ტყე იცავს ეროზიისაგან არა მარტო იმ ადგილს, სადაც თვითონ ხარობს, არამედ თავისაგან დაშორებულ ადგილებსაც. სამწუხაროდ, არაგვის ხეობაში ტყე ბევრგან მოსპობილია, ბევრგან მოითხოვს დიდ ყურადღებას, ბევრგან გაჩენილია ეროზიის დიდი კერები.

ამ ტყეთა აღდგენის ხარჯები შეტანილი უნდა იყოს კაშხალებისა და ჰესების მშენებლობის ხარჯებში და გატყევების სამუშაონი, როგორც აღვნიშნე, სხვა მშენებლობათა პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს ამ საქმეში ჩახედული ორგანოების ზედამხედველობით.

ამ ხეობებში ახლაც მიმდინარეობს სატყეო მელიორაციული სამუშაოები, მაგრამ ეს სამუშაოები იმ ტემპით როდი ხორციელდება, როგორსაც მოითხოვს თუნდაც ჩვენი ჰესების მშენებლობა. ჰესები კი 2-8 წელში უნდა ჩადგნენ მწყობრში და ამ ხნისათვის ეს სამუშაოებიც დამთავრებული უნდა იყოს.

# გვეთქმის სამდურავი? არა

სოფელი, რომელზედაც მე ვაპირებ წერას, თერთმეტი კილომეტრითაა დაშორებული რაიონული ცენტრიდან. მისი სახელი კიცხია; იგი ჩვეულებრივი ქართული სოფელია, ერთი იმათთაგანი, რომლებმაც საქართველოს, მის ქალაქებთან ერთად, შეუნახეს ეროვნული სული, მაღალი ზნეობრივი სახე.

რა აფიქრებს, რა ახარებს, რა აწუხებს ამ სოფლის ახალგაზრდობას? ამ კითხვებმა კომკავშირის რაიკომში მიმიყვანეს.

კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანთან, გულნაზი ვეფხვაძესთან შეხვედრამ დამარწმუნა, რომ ამ რაიონის, კერძოდ სოფელ კიცხის ახალგაზრდობას საქმიანი ხალხი უდგას სათავეში.

მე და გულნაზი ვსაუბრობთ.

ვცდილობ საუბარი მეგობრული იყოს, გულნაზის წამდაუწუმ ურეკავენ, ათას რამეს ეკითხებიან. ისიც დაუზარებლად პასუხობს. მერე ჩემთან ბოდიშს იხდის და ვაგრძელებთ საუბარს.

კარი იღება და სანდომიანი სახის ქალიშვილი შემოდის.

— მობრძანდით ნაზი! — ეპატიჟება რაიკომის მდივანი მეორე საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელს ნაზი გურგენიძეს.

— კარგი საქმე წამოუწყიათ თქვენს მოსწავლეებს. უკვე დააზუსტეს სია? — ეკითხება გულნაზი პიონერხელმძღვანელს.

აქაურ პიონერებს დაუდგენიათ შეისწავლონ ოცდაათიანი წლების პირველი დამკვრელების ცხოვრება, მათი თაოსნობა, დამკვრელთა პირველი ბრიგადების საქმიანობა.

ეს ძალიან კარგია. ეს ნიშნავს დააფიქრო, გადაახედო ბავშვები, ჩვენი მომავალი თაობა ახლო წარსულში, უჩვენო მათ მამათა საქმიანობა, უთხრა მათ: აი ვისი შთამომავალნი ხართ, მაშ ეცადეთ ღირსეულად ატაროთ მამათა ესთაფეტა.

მე და გულნაზი საუბარს მანქანაში ვაგრძელებთ. იგი ჩემთან ერთად მოდის კიცხში ზონალური თათბირის ჩასატარებლად.

გულნაზი ისე კარგად ერკვევა საქმეში, რომ მე მიკვირს, როცა მეუბნება, რომ სულ სამი თვეა რაც მდივნად მუშაობს. იგი თურმე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია.

— რა მეშველება! — შეშფოთება ეტყობა გულნაზის ხმას, მე ვცდილობ მის სახეზე ამოვიკითხო, თუ რა აწუხებს რაიკომის მდივანს.

— მალე დიპლომზე უნდა დავიწყო მუშაობა, — განაგრძობს გულნაზი, — შვებულება უნდა ავიღო, მაგრამ აქ იმდენი საქმეა... როგორ დავტოვო აქაურობა.

მერე ჩვენს ახალგაზრდებზე ვსაუბრობთ.

გულნაზის ვეუბნები, რომ ჩვენს ახალგაზრდობას ბევრი ემდურის — სოფელში არ ჩერდებიან, ქალაქად გარბიანო.

— ამ მხრივ კიცხელებს საყვედური არ ეთქმით, — ამბობს გულნაზი.

ჩვენი მანქანა კოლმეურნეობის კანტორასთან ჩერდება; ვკითხულობთ თავმჯდომარეს. იგი რაიონში ყოფილა წასული.

კანტორაში მარილიანი იმერული საუბარია გაჩაღებული, ზოგი ამინდს უჩივის, ზოგი თავისი ბრიგადის წევრებზე ლაპარაკობს.

— ციდან ვარსკვლავებს ვწყვეტთ, ისე წავიდა ტექნიკა წინ, და რა გახდა, ბატონო, ეს ვაზის სასხლავი მაკრატელი. ვერ გვიშოვნია. ან კიდევ გირდის საფრქვევი აპარატი... — ვერ ფარავს თავის გულისტკივილს ბრიგადირი სოსო ნიქაბაძე.

— როგორ, ნუთუ რაიონში არ იშოვება? — ვეკითხები მე.

— რაიონში დიდი ხანია იციან ჩვენი სატკივარი და თითონაც სწუხან, მაგრამ „სოფლტექნიკას" ვერაფერი მოვუხერხეთ. მათ უნდა იზრუნონ ამ იარაღის ხარისხზე.

— კარგი სამუშაო იარაღი მოგვაწოდონ და მუშაობა ჩვენზე იყოს, თავს არავინ დაზოგავს — დაასკვნის ბრიგადირი.

— ეგ რომ არა, იქნებ თქვენს ბრიგადას უკვე კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება ჰქონოდა მოხვეჭილი, — ეუბნება მას დემურ კვაშილავა, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

— ჰო, ეს ძალიან გვიშლის ხელს, — ამბობს სოსო.

კიცხში 625 ოჯახი ცხოვრობს, თავმჯდომარე დავით წერეთელი ძალიან ენერგიული კაცია. სოფელი ფეხზე წამოაყენა, ხალხი ერთგულად მიჰყვება თავმჯდომარეს, სჯერათ მისი, ვისაც შრომა უყვარს, ცხოვრობს კიდეც, — ამბობენ კოლმეურნეები.

ვათვალიერებ სოფელს. უნებურად მახსენდება ერთი ნაცნობი თბილისელი გოგონა, რომელსაც დღევანდელი სოფელი ისეთივე წარმოუდგენია, როგორც კინოფილმ „ქაჯანაში" უნახავს. „როგორ, განა გაზით სოფელში სარგებლობენ"? — გაოცებით მეკითხებოდა იგი; ნეტა ახლა აქ იყოს, დაინახავდა, რომ ტელევიზორი, გაზი, თანამედროვე ავეჯი სოფლისათვის უკვე კარგა ხანია ჩვეულებრივი ამბავია.

როგორ ატარებენ სოფლელები თავისუფალ დროს, რით ერთობიან?

კლუბის წინ გაკრულია აფიშა, დღეს „ცისკრის ზარებს" უჩვენებენ. მომღერალთა გუნდი, რომელსაც სულიკო ციმაკურიძე ხელმძღვანელობს, სისტემატურად მართავს კონცერტებს; ხშირად გადმოდიან რაიონის კულტურის სახლიდანაც; აქვე, კიცხში ჩამოაყალიბეს დრამატული წრეც, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ რეპერტუარის კრიზისს ვერაფერი მოუხერხეს. აღარ იციან რა დადგან. მობეზრდათ ძველი ერთმოქმედებიანი პიესები და ადამისდროინდელი სკეტჩები. აღარავის აღარც ეცინება და არც ეტირება მათზე. ახალი კი არაფერი ჩანს. კიცხელებმა მკითხეს — რას აკეთებენ ჩვენი მწერლები, ნუთუ მარტო დიდი თეატრებისათვის წერენ, და ჩვენთვის ვეღარ მოიცალეს?

მეც არ ვიცი რა ვუპასუხო. გამახსენდა, რომ არც ქალაქელები არიან დიდად განებივრებულნი ახალი პიესებით, სადაც ჩვენი დროის ადამიანების ცხოვრება იქნება ასახული.

— გაზეთებში ვკითხულობთ, ქართულ სიმღერებს დიდი მოწონება აქვთ იტალიასა და საფრანგეთშიო, რა იქნებოდა ფილარმონიას ერთი კიცხშიც გამოეგზავნა რომელიმე გუნდი, თუნდაც ცალკე მომღერალი.

კიცხელები სიამოვნებით იხსენებენ, რომ გასულ წელს მათთან სტუმრად იყვნენ ქართველი პოეტები — იოსებ ნონეშვილი, ლადო სულაბერიძე და ვახტანგ გორგანელი.

თავმჯდომარე მეორე დღეს ვნახე. ახალგაზრდობაზე ჩამოვუგდე სიტყვა, რჩებიან თუ არა სოფლად საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ?

— ჩვენი სოფლის ახალგაზრდობაზე სამდურავს ვერ ვიტყვი, — ამბობს დავითი, — წელს ჩამოყალიბდა სამი ახალგაზრდული რგოლი — მევენახეთა, მესიმინდეთა და მეაბრეშუმეთა. მათ სათავეში უდგანან ზურაბ გიორგაძე, ამირან ოქრომჭედლიძე და მარგალიტა სხილაძე; ძალიან კარგად მუშაობენ, რაც შეეხება ახალგაზრდობის სწრაფვას ქალაქისაკენ, სწავლა უნდათ, ხელს ხომ ვერ შევუშლით. მთავარი ისაა, რომ ბევრი მათგანი უმაღლესის დამთავრების შემდეგ ისევ სოფელს უბრუნდება.

იგივე გაიმეორეს კიცხის საშუალო სკოლის დირექტორმა ფილიმონ გელაშვილმა და სასწავლო ნაწილის გამგე კაკი ჩხიკვაძემ.

კიცხს ორი ბიბლიოთეკა აქვს, განზრახულია მესამის გახსნაც. მარტო სასოფლო ბიბლიოთეკაში 7.376 წიგნია.

რას კითხულობენ აქაური მკითხველები? ვათვალიერებ ფორმულარებს. აი ერთი მათგანი: ვიქტორ ჰიუგო, დოსტოევსკი, კ. გამსახურდია, ა. ბელიაშვილი, ე. ზოლა, მაინ რიდი...

სოფლის ამბულატორიაში ვარ. „კბილის ექიმის კაბინეტი კარგად მოგიწყვიათ", ვეუბნები თანამშრომლებს.

— ეჰ, კაბინეტი კი გვაქვს, მაგრამ ეგ არ შველის გაჭირვებას. ექიმი არა გვყავს. კაცს კბილი რომ ასტკივდება, რაიონის ცენტრს უნდა მიაშუროს.

სოფლის სიამაყეა კიცხის სკოლა-ინტერნატი, ეს პატარა დამოუკიდებელი ქალაქია, ხუმრობით ამბობს უფროსი აღმზრდელი ეთერ ბუაჩიძე; აქ ყოველგვარი პირობაა შექმნილი, რათა ბავშვებმა კარგად ისწავლონ და სასახელო მოქალაქენი გახდნენ.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ სოფლის მკვიდრის, საბჭოთა კავშირის გმირის დავით ბაქრაძისადმი მიძღვნილმა სტენდმა; კიცხელები ამაყობენ, რომ მათმა სოფელმა სამშობლოს ასეთი სახელოვანი ადამიანი აღუზარდა.

ძალიან მწყდება გული, რომ ამ კარგ სოფელში არც ერთი შრომის გმირი არ არის.

ვუყურებ მოსწავლეებს, თვალხატულა გოგონებსა და ვაჟებს და ვფიქრობ, — სწორედ მათ შორისაა მომავალი შრომის გმირი.

**ლინა ბარათაშვილი**



კონსტანტინე ლორთქიფანიძე

# შეხვედრა ტანის კარზე

შეიძლება ქერჩის ტრაგედიის დავიწყება? იყო მაისი... მაისი თუ არამაისი! განა შეიძლება მაისი დაუძახო იმ თვეს, ნახევარ საქართველოს შავები რომ ჩააცვა?

— ცოტანი გადავრჩით, მაგრამ ვაი ამ გადარჩენას! — მითხრა ლეგიონერმა და თავი დაღუნა.

გერმანელებმა ზღვის პირას, ენიკალეს ციხე-დარბაზის ნანგრევებში მიიმწყვდიეს ქართული პოლკის ნარჩენები. უწყლოდ, უპუროდ დარჩენილი მეომრები მთელი ერთი კვირა იგერიებდნენ გალაღებულ მტერს.

მალე ტყვია-წამალიც შემოაკლდათ. ომის ისტორიაში გაუგონარი ბრძანება გასცა პოლკის მეთაურმა: „თოფი არ ისროლოთ, ხანამ აშკარა არ იქნება, რომ მიზანს მოარტყამთო".

უთანასწორო ბრძოლა ძვირად დაუჯდა ორივე მხარეს, მაგრამ მტერს მეორე დღესვე მაშველი ძალა მოუვიდა, ქვა ქვაზე დაადუღეს, ენიკალეს ციხე-სიმაგრეს ბდღვირი ადინეს... ასორმოცდა სამი კაცი ტყვედ ჩაიგდო მტერმა, რიგითი ჯარისკაცი სანდრო კაკაბაძე ერთი მათგანი იყო.

ხანამ ზაფხული არ მიიწურა, სანდრო და მისი ამხანაგები ჯანყოის ბანაკში აუწრუწუტეს გერმანელებმა, იქიდან კი ქართველი ტყვეები პოლონეთში გადაგზავნეს, ვარშავის მახლობლად, სოფელ ვესელოში.

აქ კი, შორი გზითა და ტყვეობით გაწამებულ ჯარისკაცებს გერმანელი აგენტები შეუჩნდნენ და მათი გულის საპოვნელად რანაირი ფანდი არ იხმარეს.

სანდრო კაკაბაძეს მაგალითად ახეთი ოინი გაუკეთეს: რკინიგზაზე სამუშაოდ რომ მიდიოდნენ, ვითომ გზაზე უცაბედად საქართველოდან გადმოხვეწილი ბიჭი შეახვედრეს — გვარად გავაშელი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი.

ორი თვეა, რაც საქართველოდან გამოვიქეცით, უთხრა სანდროს ყოფილმა სტუდენტმა. ჯერ თურქეთს შევაფარე თავი, მერე ერთმა მეგობარმა პოლონეთში წამომიყვანაო. სამშობლოში რომ დავრჩენილიყავ, ციხე და ციმბირი არამცდებოდაო.

ახეთი რა დააშავეო, ჰკითხა სანდრომ.

— რა დავაშავე და, მამაშენი ტყვედ რატომ ჩავარდაო, ამიტომ მიპირებდნენ გადასახლებას და ამოგდებას.

ეს უთხრა და პორტფელიდან გაზეთი კომუნისტი ამოიღო, სადაც დაბეჭდილი იყო ახალი კანონი: ამიერიდან ტყვედ ჩავარდნილი სამხედრო მოსამსახურე სამშობლოს მოღალატედ ჩაითვლებაო, მისი ოჯახის წევრებს კი შორეულ ალმოსავლეთში გადაასახლებენო.

სანდრომ გაზეთის თარიღს დახედა: თექვსმეტი ივლისი, 1942 წელი.

„ახლა ტყვეების ბანაკებში დავდივარ და მამას დავეძებ. გერმანელებმა დიდი სულგრძელობა გამოიჩინეს და ამის ნება მომცესო", სთქვა გავაშელმა.

რა იცოდა მაშინ სანდრო კაკაბაძემ, რომ ის გაზეთი ბერლინში იყო დაბეჭდილი და თავიდან ბოლომდე ცრუობდა. ის ყმაწვილი კი, თავის თავს თბილისელ სტუდენტად რომ ასაღებდა, თბილისში ერთხელაც არ იყო ნამყოფი, იგი დაბადებული და გაზრდილი იყო პარიზში, ქართველი ემიგრანტის ოჯახში და გერმანელებმა პოლონეთში იმიტომ ჩამოიყვანეს, რომ ქართველი ტყვეები ანკესზე წამოეგოთ.

ბოლოს კი ყველაფერი გაიგო სანდრომ, მაგრამ იმ სალამოს საწყალმა ბიჭმა ძილი და მოსვენება დაჰკარგა.

ის არ იყო ჩაუხედავი კაცი და, რა თქმა უნდა, გაგონილი ჰქონდა, გერმანელებმა ბევრი ხრიკი და ოინი იციანო, მაგრამ ქვეყანაზე თუ ამდენი მაიმუნობა შეიძლებოდა, ეს კი აღარ ეგონა.

ამიტომ იმ კანონის არსებობა ადვილად დაიჯერა და სიცოცხლე გაიმწარა. მოხუცი მამა, ცოლი, გასათხოვარი დები... სად არიან ახლა ისინი? იმ ულვთო კანონმა ნუთუ მართლა მოშალა საქართველოში კაკაბაძეების ფუძე!

თექვსმეტი ივლისის „კომუნისტი" ხელიდან ხელში, ბანაკიდან ბანაკში გადადიოდა.

თავზარდაცემული ტყვეები ახლა უკვე თავიანთ შავბედს კი აღარ დაეძებდნენ, — ოჯახებსა და დედმამიშვილებს მისტიროდნენ. ჯარისკაცს ბრძოლის ველზე ბედმა უმუხთლა — ნუთუ შეიძლება ამის გამო მისი ოჯახის გაუბედურება?!

არ გასულა დიდი ხანი, ვესელოს ბანაკს სამოქალაქო პირები ესტუმრნენ, ორი ქართველი და ერთი თბილისელი სომეხი. სტუმრები კარგახანს ესაუბრნენ ტყვეებს, მერე ჯიბიდან დასტა-დასტა ამოალაგეს საქართველოდან მოსული წერილები, ფოტოსურათები, გაზეთები იმის დასადასტურებლად, რომ თექვსმეტი ივლისის კანონმა საქართველოში გლოვის ზარი დააყენაო.

ტყვეების გულს გახალები მაინც ვერ მოარგეს და როდესაც ფაშისტებმა ქართული ლეგიონის შედგენა განიზრახეს, შიგ მხოლოდ რამდენიმე კაცი ჩაეწერა.

სანდრო და მისი ამხანაგები აგენტებმა ვერ დაიყოლიეს, რისთვისაც ისინი მეზობელ ბანაკში გადაიყვანეს. აქ ცხოვრების პირობები ბევრად უარესი იყო.

შემოდგომა რომ მიიწურა, ქართველმა ტყვეებმა ერთბაშად გუნება შეიცვალეს და „გეორგიშე ლეგიონში" ზედიზედ ჩაირიცხა ოცდათორმეტი კაცი. მალე დანარჩენებიც მიჰყვნენ და თვენახევარში მთელი ლეგიონი შეივსო და შეიჭურვა.

„ჩვენმა სიმართლემ გაიმარჯვაო", ფიქრობდნენ გერმანელები და ეჭვი არავის შეპარვია, თუ აქ რაიმე აბრუნდი იყო მოსალოდნელი. ქართველმა ტყვეებმა კი მოილაპარაკეს და პირი შეჰკრეს: ყველანი ერთსულოვნად „გეორგიშე ლეგიონში" ჩაწერილიყვნენ და თოფ-იარაღს რომ მიიღებდნენ, პირველსავე ბრძოლაში წითელი არმიის მხარეზე გადასულიყვნენ.

მაგრამ ხანამ გერმანელები კავკასიონს არ მიუახლოვდნენ, ქართულ ლეგიონს პოლონეთიდან ფეხი არ მოაცვლევინეს. მერე კი სასწრაფოდ ხელი წამოუსვეს და გუშინწინ სოფელ კურჩანკაში ჩამოიყვანეს. ამბობენ, დღეს-არა-ხვალ ცეცხლის ხაზზე დაგვაყენებენო. გუშინ ლეგიონის მეთაურმა გამოგვიცხადა, საქართველოში არეულობა დაწყებულა და წესრიგის დასამყარებლად ჩვენ მიგვილიანო...

— კიდევ კარგი, მოთმინება გეყო და ძილში საიქიოს არ გამისტუმრე! — სიცილით მითხრა სანდრომ.

— მაგას მერეც მოვასწრებდი, ბიჭო, ჯერ შენი გაცნობა მინდოდა!

— ორი დღეა, თავს ვიმტვრევთ, არ ვიცით, როგორ დავუკავშირდეთ თქვენი დივიზიის სარდლობას! პირდაპირ სულზე მოგვისწარი, სერჟანტო!

— მართლაც, ბედი გქონია! — სთქვა მოხუცმა მებადურმა. ხელისგული ყურზე მიედო და სულგანაბული უსმენდა ლეგიონერს.

შევატყვე, თავიდან ბოლომდე ირწმუნა მისი ნაამბობი. ეს კი ჩემთვის ფრიად საგულისხმო იყო. ამ გარემოებამ ეჭვი საბოლოოდ გამიქარწყლა და როდესაც მოხუცი მებადური თვალებით შემეკითხა, ხელები გავუხსნა თუ არაო, თავი დავუქნიე, გაუხსენი მეთქი.

სანდრომ დაბუჟებული ხელები დაიზილა და შარვლის ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოიღო. კოლოფი რომ გახსნა, თვალი მოვატანე თეთრ ტაბლეტებს.

ხანამ შევაჩერებდი, ერთი ტაბლეტი პირში ჩაიდო და მითხრა:

— ნუ გეშინია, გერმანული სოდაა! მომკლა გულისწვამ, ვერ შევეჩვიე აქაურ არაყს!

— გეტყობა!

— ბევრი არ დამილევია, მაინც წამაქცია!

ფანჯარასთან ფორანმა ჩაიხრიგინა.

— თენდება, — სთქვა მოხუცმა მებადურმა: — ფურნიდან პური წაიღეს.

ლამპა ჩააქრო და ფანჯრებს ქაღალდი ჩამოხსნა. ოთახში ისევ ბინდი იდგა, ღრუბლიანი დილა თენდებოდა.

— ჩაის ავადუღებ, — სთქვა მოხუცმა მებადურმა.

— იქ ცოტა შაშხი და პურიც უნდა იყოს. — უთხრა სანდრომ.

მასპინძელი საუზმის თადარიგს შეუდგა, ჩვენ კი დავსხედით და მოვითათბირეთ.

— ყველაფერს აჯობებს, ან მე, ან ჩვენი კომიტეტის რომელიმე წევრი შენ რომ წაგყვეს და ლესელიძეს პირადად მოელაპარაკოს! — სთქვა სანდრომ.

— მერე რა გვიშლის ხელს?

— ერთი რამ მაფიქრებს. ამ ბოლო დროს გერმანელები ამრეზილი გვიყურებენ. ყოველ დილასაღამოს ამოძახებას ესწრებიან, სოფლიდან არსად გვიშვებენ.... პირდაპირ ნიშანში ამოგვიღეს.

— ვაი თუ რამე იყნოსეს!

— არა მგონია; აქედან საქართველო ახლოა და უთუოდ თვალი ამიტომ დაგვადგეს, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო! ამიტომ ჩვენი წამოსვლა არ ივარგებს! ერთი ალიაქოთი ატყდება, ასე უგზოუკვლოდ ლეგიონერი რომ დაიკარგოს! დაიწყება გამოძიება, დაკითხვა და შეიძლება ამ დავიდარაბაში ნაქსოვს თავი მოერღვეს. მათი ამბავი ხომ იცი! თუ ერთი სუნი დაიკრეს, იმ წუთშივე ლეგიონს აქედან გააქრობენ, ისევ ზურგში გაგვიძახებენ და ყველაფერი ჩაგვეშლება!

სანდროს დავეთანხმე და საბოლოოდ ასე გადავწყვიტეთ: ნაწილში მარტო დავბრუნდები და არალეგალური კომიტეტის თხოვნას უფროსებს მოვახსენებ: თოფი რომ გავარდება, ჩვენმა ჯარმა „გეორგიშე ლეგიონს" კარი უნდა გაუღოს და თავის სამყოფელში უბრძოლველად შეუშვას...

— თუ მდევარი გამოგვიდგა, თქვენმა არტილერიამ გადამალობი ცეცხლი უნდა მოგვაშველოს! — სთქვა სანდრომ.

— გასაგებია. მაზეც დავბრუნდები და ლესელიძის პასუხს ჩამოგიტანთ.

მერე დავჯდექი და იქვე გავიზეპირე რამდენიმე საგულისხმო ცნობა ლეგიონის პირადი შემადგენლობისა და შეიარაღების თაობაზე.

სანდრო ამ მხრივაც საკვირველი კაცი გამოდგა. რამ დაამახსოვრა იმდენი ციფრი და ყალიბი, გვარი და თანამდებობა...

— მორჩით ლაპარაკს? — მოხუცმა მებადურმა ადუღებული ჩაიდანი შემოიტანა და მაგიდაზე დადგა.

— შენ იცოცხლე, ძია კაცო. რა ბედნიერ ფეხზე შემხვდი! ჯერ ეს ჭირი მოვიშოროთ, მტერი დავამარცხოთ, მადლობას მერე გეტყვით, საქართველოში რომ გვესტუმრები! მთელი ქართველი ხალხი ფეხზე ადგება და თავს დაგიკრავს! შენ რომ არა, იცი რა მოხდებოდა?!

— ვიცი. — სთქვა მოხუცმა მებადურმა. ზანდუკზე ჩამოჯდა, ხელები მუხლისთავებზე დაიწყო და ერთხანს ჩუმად დასჩერებოდა იატაკს.

მერე თავი ასწია და სთქვა:

— ერთი ძველი ამბავი გამახსენდა...

„მამაჩემი მეტყევედ მუშაობდა სახაზინო მამულში. არ მახსოვს, ტყიდან ხელცარიელი დაბრუნებულიყოს. მწყერჩიტა, ზღარბი, თრითინა — რას არ გაუვლია ჩემს ხელში. რამდენი ლამაზი სოკო და სალამურის ლერწამი მოუტანია... მამისერთა ვიყავ და ძალიან მანებივრებდა. ერთხელ მგლის ლეკვი მომიყვანა და მითხრა, აბა ერთი ჩვენს მურას მიუგდე, ნახე, რას იზამსო!

მგლის ლეკვს ხელი დავავლე და „დედა-ძაღლს მივუყვანე. სწორედ იმ დღეებში ჩვენმა მურამ ლეკვები დაჰყარა...

მგლის შვილი ორი კვირისა თუ იქნებოდა, ჯერ თვალიც არ ჰქონდა ახელილი, მაგრამ ეტყობა, შიმშილისაგან გული უწანწალებდა. ძუძუს ებდღვნა, უკანა თათები მიწაში ჩაარჭო და წელში თუ არ გაწყდებოდა, არ მეგონა, ისე უზომოდ დაჭიმა მთელი სხეული.

ძაღლი წამოვარდა, ის კი წურბელასავით ზედ არ ჩამოეცილდა! მაშინ კი აიწურა ჩვენი მურა, ტანი შეიბერტყა და მგლის ლეკვმა მიწაზე ტყაპანი მოადინა.

იმ მაიმუნმა ერთი ამბავი დაათია. ჯერ წკმუილი გააბა, მერე ძაღლს დაუწყო ძებნა. გადადგა ერთი-ორი ნაბიჯი და წაიქცა. ძლივს წამობანდალდა, აგურის ნატეხს წამოედო და ისევ წაიქცა.

ისევ მურას მივუყვანე. ძაღლმა დახუნა, მერე ჩუმად დაუღრინა და არ მიიკარა, ღობის ძირში მიეგდო.

ლეკვები კი მაშინვე წაესივნენ და თამაში დაუწყეს. კარგახანს აგორავეს და ათრიეს ბალახებში.

პატარას პატარასთან სადავო და გასაყოფი რა აქვს! ყველას გაუხარდა, რომ ახალი მეგობარი შეიძინეს.

მამაჩემმა მითხრა, შენ ახლა მურას თავი მიანებე, ისინი თვითონ მორიგდებიანო.

მართლაც, საღამოხანს ეზოში გავედი და რას ვხედავ! ეს ჩვენი ძაღლი ღობისძირში მიგდებულა და ხუთივე ლეკვი ძუძუზე მოჰკიდებია. დიდ წყვეტაში არიან, ლამის დედა-ძაღლი ცოცხლად გადაულაპონ.

მგლის ლეკვს მგელიკა დავარქვი და ლამაზი საყელური შევაბი.

წამოიზარდნენ თუ არა, მამაჩემმა სამი ლეკვი გააჩუქა, ჩემი მგელიკა და ყველაზე კარგი ხვადი, სახელად შარიკა, ოჯახში დაიტოვა.

ხანამ პატარები იყვნენ, მგელიკა და შარიკა ძმებივითა ჰგავდნენ ერთმანეთს, თუმცა დიდა ერთისა შინაური ძაღლი იყო, მეორისა კი — ტყიური მხეცი.

სამი თვისა რომ გახდნენ, მგელიკამ ფერი იცვალა: შარიკას ტანითაც გაუსწრო და ჯანიც მეტი მიეცა. თამაშის დროს ძაღლის ლეკვს ჩაგრავდა, ხანდახან ისეააწკმუტუნებდა, ძლივს გავაშველებდი.

დღითი-დღე ურჩი და გაუგონარი ხდებოდა. სახელს რომ დავუძახებდი, ხანდახან ზედაც არ შემომხედავდა.

რას არ ვეჩმევდი, რანაირად არ ვეფერებოდი, იქნებ მთლად მოშინაურდეს-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ერთხელ თავზე ხელი რომ გადავუსვი, ჩუმად კბილები დაკრიჭა, ეშვები დამანახვა და გამეცალა. მეორედ სულ არ მიმიკარა.

ერთ საღამოს კი ეზოდან გავიდა და აღარ დაბრუნდა. ვუსტვინე და ვეძახე, მაგრამ წავიდა და წავიდა. დაიკარგა ჩემი მგელიკა.

პირველ ხანებში შარიკაც დაღონებული წკმუტუნებდა; თვალებში მომჩერებოდა, თითქოს მეკითხებოდა, ჩემი ძმობილი რა იქნაო. მერე კი მგელიკა მეც დავივიწყე და შარიკაც მალე შეეჩვია მარტოობას.

გავიდა ორი წელიწადი.

ერთხელ მამამ ორთვალა შეაბა და ტყეში წამიყვანა თაფლის მოსატანად.

კორდონის მახლობლად, პატარა ნაკაფში, ათიოდე გოჭა გვედგა.

რა თქმა უნდა, შარიკაც აგვედევნა. მამა ჯერ გაუწყრა, არ წამოხვიდეო, მერე კი ხელი ჩაიქნია, მაინც არ მოგვცილდება, წამოვიდესო.

საყარაულო ფაცხასთან ცხენი გამოვხსენით და საბალახოდ გავუშვით, ჩვენ კი ტყის ბილიკს დავადექით. ცოტა რომ გავიარეთ, უცბად წინ ვეება მგელმა გადაგვირბინა და ბუჩქებში გაჰქრა.

— ძაღლი დაიჭი, შვილო, არ გაუშვა! — დამიძახა მამამ და თოფი გადმოიღო.

მოდი და დაიჭირე თუ ბიჭი ხარ, ტყიური ნადირის დანახვაზე გადარეული ნაგაზი! ერთი კი წავავლე ხელი საყელოში, რომ იქვე ბუჩქებს მიმანარცხა და გამექცა.

ყეფით, მეხით მგელს გამოენთო.

— ჰაიტ, შე გლახა! — მითხრა მამამ: — ჩქარა მაინც წამოდი, თორემ თუ ის მგელი შარიკას მოუბრუნდა, იქვე მოახრჩობს! ჩანგალი მაინც შემება ყელზე.

შარიკას ჯანიც ჰქონდა და გულიც მოსდევდა, მთელი სოფლის სამაგლეთი დაბრიყვებული ჰყავდა, მაგრამ მგელი მაინც მგელი იყო, უჩანგლო ნაგაზი მასთან ვერაფერს გახდებოდა. სწორედ ამიტომ შეშინდა მამაჩემი და შარიკას დაედევნა, თუ მგელი მობრუნდა, მივეშველებითო.

ყეფა კარგად გვესმოდა, — შარიკა სადღაც ახლო იყო, წინ მამაჩემი მირბოდა და გზას მიიკვლევდა.

ყეფა ერთბაშად შეწყდა. ყური მივუგდე, არსაიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

— მოგუდა ნამდვილად! — სთქვა მამაჩემმა.

შარიკა მოგუდაო!

მამას თოფი გამოვტაცე და... ძალიან ჩირგვებს აღარ მოვერიდე. გავიქეცი, რაც ძალი და ღონე მქონდა. ერთიათჯერ კისერი კინაღამ მოვიტეხე, მაგრამ ვერაფერმა შემაჩერა.

— შარიკა, შარიკა! — ვყვირი და მივრბივარ.

უკან მამაჩემი მომსდევს და მომძახის: — მოიცა, ბიჭო, წავიქეცი, მეტი აღარ შემიძლია!

ნაკაფიანში რომ შევიჭერი, წკმუტუნი გავიგონე. გავიხედე — ის ვეება მგელი და ჩემი შარიკა აგერ ბალახებში გორაობენ და ერთმანეთს ალერსიანად კბენენ, თამაშობენ. ხან ერთია ძირს, ხან მეორე.

მერე წამოხტნენ და ნაკაფში გაიქცნენ; თავი თავთან, კუდი კუდთან, როგორც ერთი დედის ლეკვებმა იციან.

ცოტა რომ გაირბინეს, ისევ ერთმანეთს შეახტნენ და მიწაზე გადაკოტრიალდნენ.

თოფი დავუშვი.

ეს ხომ ჩემი მგელიკაა! ჩემი დაკარგული მგელი...

ძუძუთა ძმები, ერთი ძუძუნაჭამი ლეკვები ერთმანეთს შეხვდნენ.

მოხუცმა სული მოიბრუნა, მერე თავი ჩააქნია და სთქვა: — აი როგორი გაუჩენია დამბადებელს ეს ქვეყანა, ჩემო კარგო! ფაშისტებს კი, ეტყობა, მხეცისოდენა ჭკუაც არა ჰქონიათ! აბა როგორ შეიძლება კაცმა ყველაფერს დააფურთხოს და ძმა ძმას წაჰკიდოს, პირისპირ დააყენოს და უთხრას, ერთმანეთს თოფი ესროლეთო! ეს ხომ მეორედ მოსვლაა! არამზადები!

ხელდახელ ვისაუზმეთ. სანდრო ლეგიონში გაიქცა, რომ დილის სააროს დასწრებოდა. მე კი ტახტზე მივწექი და თვალი მოვხუჭე. ამაღამ დიდი გზა უნდა გამევლო, ცოტა წაძინება არ მაწყენდა.

ის-იყო ჩავთვლიმე, წინა ოთახიდან ლაპარაკი მოისმა.

— ვინ არის? — გავძახე მასპინძელს.

კარი გაიღო და მოხუცი მებადური ჩასუქებულ კაცს შემოუძღვა: — ბატონი მამასახლისი სოფლის კრებაზე გვეძახის! მობრძანდით, ბატონო ლეონტი!

მამასახლისის ზურგსუკან ორი თოფიანი სალდათი დავლანდე. „წუნარად!" გავაფრთხილე ჩემი თავი, წამოვდექი, ქამარი შემოვირტყი...

ღვინისა იყო თუ გულის მანკისა, მამასახლისს თვალები უზომოდ დასიებოდა, გუგები აღარ უჩანდა. გამიკვირდა, როგორღა იყურება მეთქი, მაგრამ ოთახში შემოვიდა თუ არა, მაშინვე დამინახა და მასპინძელს გაუწყრა:

— ეგ რა წესია, ქიგა, სახლში სტუმარი გყოლია, შენ კი მისი სახელი და გვარი კარებზე არ გაგიკრავს! ხომ იცი, ახეთ რამეს ახალი ბატონები არ მოგვიწონებენ!

— ერთი ღამე გავათევინე, ბატონო ლეონტი, ადგება და თავის გზას ეწევა. ვაჭარი კაცია, აქ ძალით რომ დააბა, არ გაჩერდება. სოფელ-სოფელ დადის და ხან რას ყიდის, ხან რას ყიდულობს! ჩემი კარგი ნაცნობია, თორემ უცხო ადამიანს ამ დროს ოჯახში ვინ შეუშვებს!

ეტყობა, მოხუცი მებადური ცოტა უნდობლად უყურებდა ჩემი პირადობის მოწმობას, ამიტომ დავარდა ქადაგად; მისი გული რომ დამეწყნარებია, ჯიბეზე ხელი გავიკარი და საბუთი ამოვიღე.

მამასახლისმა წაიკითხა, ბეჭედზე გამოსახულ ერთთავიან არწივს თვალი შეავლო და ქაღალდი მაშინვე დამიბრუნა.

— ვარგა შენი თამბაქო? — შემეკითხა და ტახტზე ჩამოჯდა.

აბგას თავი მოვხსენი და ჩემს პირველ მუშტარს საქონელი ვაჩვენე.

თამბაქო დაყნოსა, ხელში შეატრიალა და ისევ დაყნოსა.

— დიდი არაფერი შვილია! ფული გინდა თუ ტარანზე გამიცვლი?

— ტარანი მერჩევნია.

მამასახლისი მოხუც მებადურს მიუბრუნდა:

— კრება რომ დამთავრდება, ეს ბიჭი ჩემთან მოიყვანე. ჩემისთანა ტარანი ტყუილად არსად ეძებო. გახედავ — სინათლე გადის! ახლა კი მაიდა, მოედანზე!

— მეც უნდა წამოვიდე?

— ყველა უნდა წამოვიდეს, ახეთია ბრძანება. მარტო რომ ვიყო, დაგტოვებდი, მაგრამ ამ სალდათებს ხედავ?

— რატომ გვიბარებენ, თუ იცი?

— ალბათ კიდევ გადასახადს შეგვაწერენ. სხვა სიტყვა როგორ ამოვა მათი პირიდან! — სთქვა მამასახლისმა.

დასასრული. იხ. ჟურნალი „დროშა" № 5.

# ტერორის ქვეყანა

„ჩვენ უცილობლად მიგვაჩნია შემდეგი ჭეშმარიტებანი: ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია, შემოქმედის მიერ მათ მინიჭებული აქვს ხელშეუვალი უფლებანი, მათ შორის — სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ მისწრაფება“, ეს საზეიმო სიტყვები ჩაწერილია ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, მათ პირველ კონსტიტუციურ აქტში.

სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერებისაკენ მისწრაფება! — რა მწარე ირონიად ჟღერს ეს სიტყვები დღევანდელ ამერიკაში!

ძნელია იპოვნო ისეთი ქვეყანა, სადაც არსებობდეს უფრო შეურიგებელი წინააღმდეგობანი კონსტიტუციაში აღნიშნულ ამ მოქალაქეობრივ უფლებებსა და სინამდვილეში არსებულ მდგომარეობას შორის.

რომ არაფერი ვთქვათ ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს უმუშევართა არმიებზე, გალატაკებულ ფერმერებზე, მთელ ქვეყანაში რომ დაეხეტებიან ბედნიერების საძებნელად, რომ არაფერი ვთქვათ პიტსბურგელ მეფოლადე ჯეიმს უივერზე, რომელმაც წლების მანძილზე სამუშაოს უშედეგოდ ძებნის შემდეგ სიცოცხლე მოისწრაფა, მარტო ამერიკელი ზანგის ცხოვრებაც საკმარისია, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ შეერთებულ შტატებში პოლიციელის ხელკეტით დაკანონებულ ადამიანთა უუფლებობასა და სისხლიან ტერორზე.

ოცი მილიონი შავკანიანი — ეს პირდაპირი მსხვერპლია გენოციდისა, რაც თანამედროვე „ცხოვრების ამერიკული წესის“ განუყრელ ატრიბუტად იქცა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 9 დეკემბერს მიღებული კონვენცია გენოციდს განსაზღვრავს არა მარტო როგორც რასობრივ ნიადაგზე ჩადენილ ყოველგვარ მკვლელობას, არამედ გარკვეული ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობის ყოველ განზრახვასაც.

ამერიკული ცხოვრების პრაქტიკა გვიჩვენებს ამ შემაძრწუნებელი დანაშაულის მთელ საშინელებას, რაც მიმართულია კაცობრიობის და, უწინარეს ყოვლის, თვით ამერიკელი ხალხის საარსებო უფლებების წინააღმდეგ. შეერთებულ შტატებში რასობრივ ნიადაგზე განხორციელებული გენოციდი სულ უფრო კატასტროფულ ხასიათს იღებს.

ზანგს უფლება არა აქვს სვას და ჭამოს თეთრკანიანის თანდასწრებით, აკრძალული აქვს ხელის ჩამორთმევით მიესალმოს თეთრკანიან ქალს, თეთრკანიანთან საუბრის დროს ზანგმა არასოდეს არ უნდა გამოთქვას მისი საწინააღმდეგო აზრი.

„ზანგი უკვე იმაშია დამნაშავე, რომ ის შავკანიანად დაიბადა“, — ეს ამერიკულად გადამღერებული ჰიტლერული დევიზი დიდი პოპულარობით სარგებლობს დღეს ამერიკის მესვეურთა შორის.

ზანგის ცხოვრება ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკული ცხოვრების ტრაგედიაა, და იგი მით უფრო შემაძრწუნებელია, რამდენადაც სისტემატურ ხასიათს ატარებს.

შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად ლინჩის წესით მრავალ ზანგს ჰკლავენ. ჩვეულებისამებრ, მკვლელებს, რომლებიც კუ-კლუქს-კლანსა, „ამერიკულ ლეგიონსა“ და სხვა ფაშისტურ ორგანიზაციებში არიან გაერთიანებულნი, ან ამართლებენ, ანდა უმნიშვნელო თანხით აჯარიმებენ.

ასე მაგალითად, ქ. ტამპაში (ფლორიდის შტატი) ზანგი ხოზე ალენი მოკლეს, როცა მან სასაუზმეში ერთი ჭიქა ლუდი მოითხოვა. სასაუზმის პატრონმა ვიქტორ პინელამ განაცხადა: „მე ალენი იმიტომ მოვკალი, რომ ამიერიდან ზანგებმა ჩემს სასაუზმეში შემოსვლა ვეღარ გაბედონ“. პინელა გაამართლეს.

მონტგომერის საგრაფოში (ჯორჯიის შტატი) ცოლისა და შვილების თვალწინ მოჰკლეს ომის ვეტერანი ზანგი ისაია ნიკსონი; არავითარი დანაშაული მას არ ჩაუდენია. მკვლელი მ. ჯონსონი სასამართლომ გაამართლა.

მსგავს მაგალითებს შეერთებულ შტატებში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით. უკანასკნელ წლებში აქ ლინჩის წესით დახოცეს ასამდე ზანგი; ამას მიუმატეთ, მკვლელობები სასამართლო ინსცენირების შემდეგ, ან მკვლელობები, რომლებზეც არავითარი აქტი არ დგება და რომელთა შესახებ მოკლულთა ოჯახის წევრებს გარდა არავინ არაფერი იცის.

წინათ ლინჩის წესით მკვლელობის „კლასიკური საშუალება“ გასანთლული თოკი იყო; ახლა იგი პოლიციელის ტყვიამ შეცვალა. ზანგთა მკვლელობა, რომელიც შეერთებულ შტატებში პოლიციურ პრაქტიკად არის გადაქცეული, ზუსტად ასახავს ამერიკის მთავრობის პოლიტიკას.

დისკრიმინაციის მთელი სისტემა, უდანაშაულო ზანგთა ჟლეტვის მომზადებას რომ წარმოადგენს, დამყარებულია „ზანგის თანდაყოლილი არასრულფასოვნების“ თეზისზე, რომელიც თავისი რეაქციულობით ჰიტლერელ ავაზაკთა ბოდვას მოგვაგონებს.

ნიღაბაფარებული და თეთრ ხალათებში გამოწყობილი ათასობით კუკლუქსკლანელი დათარეშობს დღეს შეერთებულ შტატებში. ისინი ხოცავენ შავკანიანებს, სცემენ, ძარცვავენ, წვავენ მათ სახლებს. ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები კი, არჩეულნი ე. წ. დემოკრატიული გზით, გულდამშვიდებულნი შეჰყურებენ ყოველივე ამას. უფრო მეტიც, ხელს უწყობენ თავაშვებულ მკვლელებს. რასისტების ხელით განგმირულ იქნა ამერიკელი ზანგების ლიდერი, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, ნობელის პრემიის ლაურეატი დოქტორი მარტინ ლუთერ კინგი. ამერიკელი ზანგები და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა შეაძრწუნა ამ მხეცურმა მკვლელობამ. ამერიკის ხელისუფალნი ცდილობენ ერთი პიროვნების დანაშაულად გამოაცხადონ დოქტორ კინგის მკვლელობა. მაგრამ არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ეს დანაშაულიც გენოციდის დაკანონებული თარეშის მხოლოდ ერთ აქტს წარმოადგენს.

ამერიკის ქალაქები ბრძოლის ველად არის გადაქცეული. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები და გვარდიელები ულმობლად უსწორდებიან ქუჩაში გამოსულ ათეულ ათასობით ზანგ მოქალაქეს, რომლებიც თავიანთ აღშფოთებას გამოთქვამენ.

ამერიკელ ხელისუფალთა მიერ განხორციელებული ეს რასობრივი ხოცვა-ჟლეტის ესკალაცია — ამერიკელთა კერძო საქმე არ არის. ეს არის საკითხი, რომელიც მთელ კაცობრიობას ეხება.

სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეთა წინააღმდეგ ახორციელებს გენოციდს, შეეცდება ეს დანაშაული კიდევ უფრო მწვავე ფორმით დაამკვიდროს სხვა ქვეყნებში. რასობრივ ტერორს ქვეყნის შიგნით მოსდევს ფერადკანიანთა გაჟლეტა მის საზღვრებს გარეთაც. ერთსაც და მეორესაც საფუძვლად უდევს ადამიანის სიცოცხლის აბუჩად აგდება. ნაპალმის ბომბების გამოყენება ვიეტნამში და ლინჩის წესით ცოცხლად დაწვა ამერიკაში ერთმანეთთან დაკავშირებულია არა მარტო იმით, რომ ორივე შემთხვევაში სიკვდილს ცეცხლი იწვევს, არამედ იმიტომაც, რომ პენტაგონში მოკალათებული ომისგამჩაღებელი და ლინჩის წესით მკვლელი თავიანთი ბუნებით მეტად [illegible]სებულნი არიან ერთმანეთთან.

ადამიანებს არ შეუძლიათ დაივიწყონ ჰიტლერის მაგალითი, რომელმაც ცხადყო, რომ ერთი ქვეყნის ფარგლებში განხორციელებული გენოციდი შეიძლება შემდეგში სხვა ქვეყნების მოსახლეობის მასობრივ ხოცვა-ჟლეტად გადაიზარდოს, რომ ასეთი დანაშაული უეჭველად გადაიქცევა ბევრად უფრო ფართო მასშტაბის დანაშაულად — ახალ იმპერიალისტურ ომად.

ამერიკის უბრალო ადამიანები, რაც დრო გადის, მით უფრო აშკარად გრძნობენ მათს ქვეყანაში არსებული გენოციდის დამღუპველ შედეგებს.

ამერიკის ქალაქების შავ გეტოებიდან და სამხრეთის პლანტაციებიდან სულ უფრო მძლავრად გაისმის დამონებულ ადამიანთა რისხვითა და ბოღმით აღსავსე ხმა. იგი ღაღადებს რასობრივ ნიადაგზე გაღვივებული ტერორის შესახებ, აუტანელი სიღატაკის, ავადმყოფობისა და ნაადრევი სიკვდილიანობის შესახებ, დამახინჯებული და გაუბედურებული ცხოვრების, უსამართლობის შესახებ.

შეერთებული შტატების უბრალო ადამიანებმა კარგად იციან, რა მოსდევს ამ უსამართლობას. მილიონობით თეთრკანიანი ამერიკელი — მუშები და საშუალო ფენის ადამიანები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც სამხრეთ შტატებში ცხოვრობენ და რომლებსაც ხშირად ზიზღით უწოდებენ „თეთრკანიან ლატაკებს“, თვითონაც ძლიერ იტანჯებიან ზანგების დისკრიმინაციის პოლიტიკით, რასაც მთავრობა ახორციელებს.

რასიზმი ხელსაყრელია შეერთებული შტატების მმართველი კლასებისათვის. იგი უზრუნველყოფს მონურ შრომას სამხრეთ პლანტაციებში, იაფ მუშახელს ჩრდილოეთის ქარხნებისათვის. მონათმფლობელური ზნე-ჩვეულებები უფლებას აძლევს პლანტაციების პატრონებს უმოწყალო ექსპლოატაცია გაუწიონ თეთრ „მოიჯარადრეებსაც“. ზანგების გვერდით შეიძლება ნახოთ ე. წ. „თეთრკანიანი მონები“.

აი რატომ არის, რომ ამერიკელი ზანგების ბრძოლა ადამიანური ცხოვრებისათვის, თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის ასეთი მხარდაჭერით და თანაგრძნობით სარგებლობს შეერთებული შტატების მილიონობით თეთრკანიან მშრომელთა შორის.

ეს ბრძოლა ძლიერდება და სულ უფრო ორგანიზებულ ხასიათს იღებს. ამ დიად ბრძოლაში ადამიანის სიცოცხლისა, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ამერიკელი ხალხი მარტო არ არის. მასთან არის მთელი პროგრესული კაცობრიობა, მსოფლიოს მილიონობით თავისუფლების მოყვარული ადამიანი, და ეს ბრძოლა არ შეიძლება მისი გამარჯვებით არ დაგვირგვინდეს.

ამირან კუსრაშვილი.



ფოტო
ა. საკოვისა

სპორტის ყოველ სახეობას — ფეხბურთია ეს თუ ჰოკეი, კრივი თუ ჭიდაობა, ჰყავს თავისი ფავორიტები, რომელთა მორიგი გამარჯვება გვახარებს, მაგრამ აღარ გვიკვირს. ასეთი ფავორიტები ჰყავს ბოლო წლების კალათბურთსაც: ქალთა შორის ქალაქ რიგის გუნდი, ვაჟთა შორის — ცსკა. უფრო ადრე (ძველ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ეს დრო!) ლიდერები ქართველი კალათბურთელები იყვნენ. ომისა და ომის შემდგომ წლებში (1944 წლიდან განახლდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში, რომელიც სამამულო ომის გამო შეწყვეტილი იყო) ბადალი არ ჰყავდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდს, რომელმაც 1944 და 1946 წლებში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა.

მოგვიანებით დაწინაურდა თბილისის დინამოს კოლექტივი, რომლის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა კალათბურთის ისტორიის არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი. ამ გუნდმა ორჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი და სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი: 1950, 1953, 1954 წლებში. კიდევ ერთ თვალსაჩინო და მნიშვნელოვან გამარჯვებას მან მიაღწია 1962 წელს, როცა ქართული კალათბურთის ფლაგმანმა, დაამარცხა რა ყველა მოწინააღმდეგე, მოიხვეჭა ევროპის ყველაზე ძლიერი საკლუბო გუნდის წოდება.

1962 წლით თარიღდება ქართველი კალათბურთელების ყველაზე ბოლო დიდი წარმატება. ერთი მეორის მიყოლებით ტოვებდნენ მოედანს ვეტერანები, ხოლო მათი შემცვლელი ახალგაზრდობა ჯერ არ იყო მზად დიდი და საპასუხისმგებლო გამოცდისათვის.

და აი, ბოლო ტრიუმფიდან ექვსი წლის შემდეგ დინამოელებმა კვლავ ისახელეს თავი — კვლავ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა ტიტული. მათ მოიგეს უაღრესად ძნელი, „მარათონული“ საკავშირო შეჯიბრება — ხუთი თვე, 44 მატჩი, (აქედან ნახევარი — სხვის მოედანზე) და ისიც იმგვარად დაგეგმილი, რომ ყოველ მოწინააღმდეგეს ოთხჯერ უნდა შეხვდე: ასეთ ტურნირში შემთხვევითობა გამორიცხულია, იმარჯვებს მხოლოდ ღირსეული.

გამარჯვება მოიპოვა კოლექტივმა, რომელშიც მხარდამხარ იბრძოდნენ ორი თაობის კალათბურთელები — ვეტერანები და დამწყებნი. გუნდს ხელმძღვანელობდა დინამოს კალათბურთის ვეტერანი ლევან ინწკირველი, რომელიც ამ ტურნირში პირველად მოგვევლინა მწვრთნელის როლში. დაე, მისი აღზრდილების ეს პირველი გამარჯვება იყოს წინამორბედი მომავალი ახალი წარმატებებისა.



# თბილისი მფრინავის კაბინიდან

ფოტო
ოთარ თურქიასი



სატელევიზიო ანძა.



დიღმის მასივი.



ისანი.



სამასი არაგველის ობელისკი.

გმირთა
მოედანი.





ჩელიუსკინელების ხიდი.



ნონა გაფრინდაშვილი და აკაკი შანიძე.

ნანა ალექსანდრია და აკაკი შანიძე.



ფოტო
გ. შეყილაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოტა რამ ჭადრაკის და ნარდის შესახებ

აკადემიკოსი **აკაკი შანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკის ისტორიკოსები ამბობენ, რომ ჭადრაკის თამაში პირველად ინდოეთში შემოიღეს და იქედან მთელს დედამიწაზე გავრცელდაო. ჩვენში იგი უთუოდ სპარსეთიდან არის შემოსული, რაც იქედან ჩანს, რომ, ჭადრაკის ტერმინებს რომ ვხმარობთ, ზოგი მათგანი სპარსულია.

პირველ ყოვლისა, ავიღოთ თვით სიტყვა **ჭადრაკი.** მას ისეთი იერი აქვს, რომ თავკიდური ჭ ბგერითა და აკ დაბოლოებით იგი იმ დროს არის შემოსული სპარსეთიდან, რომ არაბები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსული ფართო საისტორიო ასპარეზზე (მაშასადამე, მე-7 საუკუნემდე). **ჭადრაკი** უთუოდ სასანიანთ სპარსულიდან შემოსული ტერმინია, იმ ენიდან, რომელსაც ჩვეულებრივ ფალაური ეწოდება. საინტერესო ფაქტია, რომ სპარსელებმა ჩვენ გადმოგვცეს ინდური წარმოშობის ტერმინი და თვითონ არაბულიდან შეთვისებულ **შათრანჯ**ზე გადავიდნენ. ეს არ არის გასაკვირველი, რადგანაც არაბულმა ენამ უდიდესი გავლენა მოახდინა სპარსულ ენაზე და დიდძალი თავისი სიტყვა მოახვია თავს. არ არის შეუძლებელი, რომ ეს ტერმინი თვით არაბებს სპარსულიდან ჰქონდეთ ნასესხები და არა უშუალოდ ერთ-ერთი ინდური ენიდან და მერმე დაებრუნებინოს მათთვის სესხი უკვე არაბული ფორმით.

ძველადვეა ნასესხები ქართულში ჭადრაკის უმცირესი ფიგურის სახელი **პაიკი**, რომელიც ფალაურიდანვე უნდა იყოს შემოსული. ამჟამად მას სპარსულად **ფიადა** ჰქვია, რაც „ქვეითს" ნიშნავს (რუსულად მას **пешка** უდრის).

ჭადრაკი რომ ჩვენშიც მეტად გავრცელებული თამაში იყო, ამას მოწმობს ცნობები, გაბნეული სხვადასხვა წერილობითს ძეგლში. არ იქნება ურიგო, რომ რომელიმე მკვლევარმა შეკრიბოს ყველა ცნობა და ამ მშვენიერი გასართობის შესახებ სპეციალური გამოკვლევა დაწეროს.

ეს თამაში, ისე როგორც სხვა სახის თამაში, ყოველთვის და ყველგან ერთნაირი არ ყოფილა, არამედ იცვლებოდა ეპოქებისა და ქვეყნების მიხედვით. ჯემშიდ გიუნაშვილმა გამოარკვია, რომ ნარდს ერთ დროს სპარსეთში სამი კენჭით თამაშობდნენ და არა ორით,[1] როგორც ეხლაა მიღებული ირანშიც და ჩვენშიც. ნარდის გასაგორებელ კენჭებს სპარსულშიც და ქართულშიც არაბული სახელი ერქვა და ჰქვია ეხლაც; ეს არის **კამათელი**, რომელიც მიღებულია არაბული **ქაბათეინ**-ისაგან, რაც „ორ კენჭს" ნიშნავს.

ნარდის თამაშისას ხმარებული ტერმინებიც (**იაქე, დუ სე, ჩარ-ი, ფანჯ-ი, შაშ-ი**, თვით **ნარდ**-იც) — ყველა სპარსულია; ანდაზა რომ გვაქვს, „რა ქნას კარგმა **მონარდემა**, დროზე **შაში** თუ არ მოვა", აქაც ხომ სპარსული სიტყვა მოისმის. მაგრამ ხუთიანი და ექვსიანი თუ გაგორდა ერთად, **შაშ-უ-ბეშ**-ს. (ან **შაშიბეშ**-ს) ამბობენ, რომელშიც თურქული **ბეშ** („ხუთი") არის გარეული.

ჭადრაკის თამაშის ტერმინებს შორის წმინდა ქართულია: **მეფე, მხედარი, ეტლი.** ქართულია აგრეთვე **კუ**, რომელსაც, როგორც ჭადრაკის ტერმინს, სპარსულში **ფილ** შეესატყვისება, რაც „სპილოს" ნიშნავს. ქართულ „ვისრამიანში" ვკითხულობთ: „წავიდა იგი ჟამი და დღე, ოდეს ერთმან კუმან ორი შარუხი დასცესო". ა. გვახარიამ და მ. თოდუამ 1962 წელს გამოსცეს „ვისრამიანი" და ქართული თარგმანი შეუდარეს სპარსულ დედანს და აღნიშნეს, რომ ქართულ კუ-ს სპარსულში **ფილ** („სპილო") შეესატყვისება, **შარუხ**-ს კი — ისევ **შარუხ**-ი, ოღონდ **შაჰრუხ**-ის ფორმით. უკანასკნელის ნაცვლად დღეს სპარსულში მარტივად **რუხ**-ი იხმარება, ქართულში კი უცვლელად დარჩა **ეტლი.** მაშასადამე, ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ **კუ** ძველად სპარსეთში ძალიან ძლიერი ფიგურა ყოფილა, თუკი მას ორი **ეტლის** მორევნა შესძლებია.

ეს „შაჰრუხი" ჩვენში ძველად ადამიანის სახელადაც კი ყოფილა გამოყენებული კნინობით-ალერსობითი ფორმით (**შაჰრუხა**), რაც იქიდან ჩანს, რომ „თამარიანის" ავტორად **ჩახრუხასძეს** ვიცნობთ:

მოხევეს ძეთა, ჩახრუხასძეთა,
ექო თამარი, მეფე წყლიანი, —

ასეა ნათქვამი „თამარიანის" ერთ მერმინდელ მინაწერში. ეჭვი არ არის, რომ **ჩახრუხა** მიღებულია **შაჰრუხა**-საგან. ეგ ხომ აგრეა, მაგრამ ფიგურას ქართულში დღევანდლამდე შემორჩა თავისი სახელი „ეტლი".

მე არ ვიცი ამჟამად, თუ რატომ დაერქვა „კუ" ჭადრაკის ფიგურას, რომელსაც სპარსელები „სპილო"-ს ეძახიან (რუსული **СЛОН** იმასვე ნიშნავს). საჭიროა, ეს საკითხი შესწავლილ იქნეს სხვადასხვა ენაზე არსებულის ჭადრაკის ტერმინების შედარების გზით. ამას გარდა, სპეციალურად არის დასაჩხრეკი ქართული წყაროები, სადაც ჭადრაკის და სხვა სათამაშოების ტერმინებია ნახმარი. რუსთველის „ვეფხისტყაოსანში" გვხვდება „ნარდი":

მეფესა ესე ამბავი
უჩს ვითა მღერა ნარდისა-ო,

ნათქვამია იქ. **მღერა ნარდისა** — ნარდის თამაში. მაგრამ ამ პოემაში არ გვხვდება ჭადრაკის ტერმინები. სამაგიეროდ ორი ტერმინი (**ქიში** და **შამათი**) გვხვდება პოემის გაგრძელებაში, რომელიც სხვა ავტორებს ეკუთვნის. ერთგან იკითხება:

ღმერთმან მოსრნა მტერნი ჩვენნი,
ყოლ ვერ დაგვცემენ **შამათსა** (1662).

**შამათის დაცემა** ნიშნავს მეფის სიკვდილს, მოწინაღმდეგის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებას.

„ვეფხისტყაოსნის" ერთი გამგრძელებელია მე-17 საუკუნის მოღვაწე იოსებ ტფილელი, რომელიც ტარიელს ამას ათქმევინებს სიკვდილის წინ:

აღარ ვეჭობ, რამაზ რომე
ჩემს შვილს დასდვას რამე შიში,
ვერც ხვარაზმშამ ძეთ ჩემთ რამე
გამოჰპიროს **შამათ-ქიში.**

**„გამოჰპიროს შამათ-ქიში"** — ეს ნიშნავს: დაუპიროს, გაუბედოს შამათ-ქიში. **ქიში** პირველ ყოვლისა ნიშნავს „აქშა"-ს (ფრინველის დასაფრთხობლად რომ წამოიძახებენ). ჭადრაკში კი იგი აღნიშნავს, რომ მეფეს ემუქრებიან და უნდა გაეცალოს. რაც შეეხება შამათს, იგია სპარსულ-არაბული „შაჰ-მათ" (აქ ორივე ა გრძელია, თითქმის „შააჰ-მაათ"), რაც ამას ნიშნავს: „მეფე მოკვდა".

ტერმინი **შამათი** ჭადრაკის თამაშიდან ხალხშიც არის გადასული: **დაშამათება** ნიშნავს ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომ კაცმა ვერაფერი გააკეთოს. ეს ზმნა პირველად ილია ჭყონიას აქვს შეტანილი თავის „სიტყვის კონაში", რომელიც დაიბეჭდა 1910 წელს. იქ ასეთი საილუსტრაციო ფრაზებია მოყვანილი: „ისე დაგვაშამათა იმ კაცმა, რომ ვერაფერს ვახერხებთო", „იმის წყალობით ისე ვარ დაშამათებული ამ საქმეში, რომ საძრაობა არა მაქვსო".

უფრო საყურადღებოა, რომ „დაშამათება" საწყევარ სიტყვად იქცა ქართველ მთიელებში; ფშავსა და მთიულეთში მე ჩაწერილი მაქვს 1913 წელს: „დაგშამათოს" (ან: დაგშამანთოს) ღმერთმა"! მოხეურში **დაშამათების** ნაცვლად **დაშაბათება** გამიგონია (იმავე 1913 წ.). ეს საწყევარი სიტყვა ვაჟა-ფშაველასაც აქვს ნახმარი თავის „მოკვეთილში" (მოქმ. I, გამოსვლა II), სადაც ნათქვამია: „კულისებში ტირილის ხმა ისმის: ვაჰმე თქვენი ჯავრი! თქვე რჯულ-ძაღლებო, გაწყდეს თქვენი ხსენება, ღმერთმა ნურა კარგი გახილებინოსთ, დაგლახტოსთ და დაგშამათოსთ იმ გმირმა კოპალამ"!

აქ მოყვანილი ზმნა საწყისად **დაშამათვა**-ს გულისხმობს და არა **დაშამათება**-ს, როგორც ეს „საბჭოთა მწერლის" მიერ 1960 წელს გამოცემულს ვაჟა-ფშაველას ერთტომეულის ლექსიკონშია შეტანილი (გვ. 816-7). ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ დიდი შეცდომაა ახსნაში: „დაწყევლა ფშაველი ქალისა, წარმოდგება სიტყვა შანთისაგან". არ ჩანს, ვინ შეუდგინა ასეთი ლექსიკონი ვაჟას ერთტომეულს; ის კია აღნიშნული, რომ „შედგენილია ვაჟა-ფშაველას ტომებისადმი დართულ აკადემიკოს ა. შანიძის ლექსიკონის მიხედვითო" (გვ. 895). მაგრამ ა. შანიძის მიერ ვაჟას ტომებისადმი შედგენილ ლექსიკონში ეს სიტყვა არსად არ გვხვდება (მან მხოლოდ ლექსებსა და პოემებს შეუდგინა ლექსიკონი) და არც სხვაგან აუხსნია მას ამნაირად ეს სიტყვა; არც შეეძლო ასე აეხსნა, იმიტომ, რომ **შანთ**-ისაგან რომ ყოფილიყო ნაწარმოები, გვექნებოდა „დაშანთვა" და არა „დაშამათება". არა! ეს სიტყვა წარმომდგარია ჭადრაკის ტერმინისაგან, როგორც უკვე სწორად არის ახსნილი ი. ჭყონიას „სიტყვის კონაში", ოღონდ იგია არა სპარსული **შააჰ მად**, როგორც ნ. მარი ხსნიდა (იქვე)[1], არამედ **შააჰ მაათ**[2].

აღორძინების ხანის ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ჭადრაკის ტერმინები: მაგ., ნ. ციციშვილის „შვიდ მთიებში" („ბარამ-გურიანში") იკითხება:

**ეტლმან კუს** სძლია მბრუნავმან,
ჟამი არს აწ **შამათისად** (1766).

ს. თანიაშვილის გალექსილ „ამირან-დარეჯანიანში" ერთგან იკითხება:

არ ძალუც **მეფის შამათი**
უმეშვლოდ მარტო **მხედარსა** (636).

სხვაგან კი:

ვნადირობდით მხიარული,
ამოდ გვქონდა ნიჭი ნიშად,
იქ მოსრული ჩვენგან მხეცი
ასრე იდვა ვითა ქვიშად.
**შამათს** უქმდით იქ ნადირსა
ვით **ჭადრაკში მეფეს ქიშად** (1788).

„ქილილასა და დამანაში" იკითხება: „მტერი ვერც **შამათსა** გვიზამს, ვერც არას ზიანს იქსო" (297).

დავით რექტორის მიერ 1820 წელს გადაწერილს ლექსების ანთოლოგიაში (S — 1512) მოთავსებულია სამ-სტროფიანი ლექსი, სადაც ჭადრაკის ტერმინები ზმად არის შეტანილი, ე. ი. წარმოდგენილია არა ცალკე სიტყვებად, არამედ შესულია სხვა

---

[1] **ჯემშიდ გიუნაშვილი, „ჩაჰარ-მაყალეს" ერთი ადგილის გაგებისათვის; თბ. უნივ. შრომები, ტ. 118 (1967), გვ. 78-77.**

[1] **ი. ჭყონიას ლექსიკონი გამოვიდა ნ. მარის რედაქციით და მისივე წინასიტყვაობით (МЯЯ I) 1910 წელს პეტერბურგში.**

[2] **არაბული ასოების ნაცვლად სპარსული სიტყვების გადმოსაცემად ქართულს ვხმარობ: ხმოვნის სიგრძე აქ გაორკეცებით არის გადმოცემული.**

სიტყვასა ან სხვა სიტყვებში. თვალსაჩინოების მიზნით ეს ტერმინები ხელნაწერში წითურად არის დაწერილი, აქ კი მთავრული ასოებით არის გადმობეჭდილი:

ნიჟAД რAკI-რუკი მესმა, კართა ზედა
კენჭის ცემით,
МეФEრების თავი შენი, შემიბრალე ხმის
გაცემით,
აქ სულA ზI ერIდები კაცთა, ჰსტირი
გარდაცემით,
უკУნითი მოგცე თავი, რომ გამხეთქო
თუნდა ცემით.

მომხEДARIს კაცის თვალმა შემიწყალა,
დამრთო ნება;
EტЛI მქონდა მას დღეს კარგი, ალარ
მჰირდა ცეცხლთა დება;
აპA IკIვლებს ალარა, არ უარობს, არცა
მწყრება,
არ УხIლავს თვალთა ჩემთა მისებრივი
ბრწყინვალება.

სისხლის რУ კARგად დამწყვიტა, ალარ
მადინა თვალითა,
არ ქIУшAდ იყო ჩემზედა, იწოდა ჩემის
ბრალითა;
თამაშA МAТI მინდოდა წაჭიდებით და
ძალითა;
მე ვაქO სIამოვნითა, ვისგანაც ვიწვი
ალითა.

აქ ჩამოთვლილია: **ჭადრაკი, მეფე, ლაზიერი, კუ, მხედარი, ეტლი, პაიკი, რუხი, რუკა, ქიშ, შამათი, ქოსი.** ამათგან **რუხი** არა მგონია **როქი** იყოს, ე. ი. მეფისა და ეტლის გადასმა[1]; **რუკა**, ალბათ, თვით ჭადრაკის დაფაა, ხოლო **ქოსი**, სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს ჭადრაკის თამაშში (ჩვეულებრივად სამუსიკო საკრავია, რომელსაც რუსულად ბარაბანი ჰქვია).

ჭადრაკის ტერმინოლოგიაში ყურადღებას იპყრობს **ლაზიერი**, რომელიც მე არაბულ-სპარსული **ვაზირ**-ის გადმოქართულებული ფორმა მგონია. მაგრამ, თუ ეგრეა, როგორ მოხდა, რომ თავკიდური **ვ** შეიცვალა **ლ**-**დ? ხომ** არ მოდის ეს სიტყვა უშუალოდ არაბულიდან და ხომ არ გვაქვს აქ **ალ** ნაწევრით განსაზღვრული ფორმა, ე. ი. **(ა)ლ-ვაზიირ?** რუსულად რომ **ферзь** ჰქვია, იგი სხვა სპარსული სახელისაგან მოდის. ეს არის **ფარზიინ,** რომელიც მნიშვნელობით იგივეა, რაც **ვაზირი,** ანუ **ლაზიერი,** და რომელიც ანატოლიურ თურქულში **ფერზ**-ად გამოითქმის.

ეხლა ორიოდე სიტყვა პირადად ჩემ შესახებაც.

ჭადრაკის თამაში პირველად ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პანსიონში ვისწავლე (1905-6 წლებში), სადაც ჭადრაკი ნება-დართული გასართობი იყო და პანსიონერები თავისუფალ დროს თავს ვიქცევდით. აქ მითამაშნია პლატონ წულუკიძესთან, რომელიც კლასის დამრიგებელი და პანსიონის ზედამხედველთაგანი იყო, მითამაშნია კლასის ამხანაგ ნიკო მახვილაძესთან, რომელიც შემდგომ განთქმული ექიმი და პროფესორი გახდა, და სხვებთან.

1909 წლის ზაფხული გავატარე ბიძაჩემის ცოლეურთას, ხორხში, რომელიც მთიულებით დასახლებული სოფელია ხორხის წყლის ხეობაში (ეს წყალი მთიულეთის არაგვს ერთვის ქინვალს ცოტა ზემოთ). ბიძაჩემს ბესარიონ შანიძეს (ბესოს) ამ სოფლის ხუცურაულთ ქალი ნინო ჰყავდა ცოლად. იმავე სოფლის დიდებაანთ ქალი თამარი ვაჟა-ფშაველას მეორე ცოლი იყო. ბიძაჩემი ბესო და ვაჟა-ფშაველა დიდი მეგობრები იყვნენ; სხვათა შორის, ბიძაჩემი შვილებს ანათვლინებდა ვაჟას. ამ ბესოს სავაჭრო მაღაზია ჰქონდა ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირას, თვალივში, ჟინვალიდან 9-10 კილომეტრის მანძილზე, სადაც ჟინვალიდან ფშავ-ხევსურეთში მიმავალ გზას უერთდება თიანეთიდან არაგვის ხეობაში გადასასვლელი გზა.

გურულ შანიძეს რა უნდოდა ფშავშიო? შეიძლება გაიკვირვოს მკითხველმა. ამას დიდი ისტორია აქვს და მოკლედ მოგახსენებთ.

ძველად სკოლები მონასტრებთან იყო მხოლოდ. მამაჩემიცა და ბიძაჩემებიც სწავლობდნენ ჩვენი სოფლიდან 6-7 კილომეტრით დაშორებულს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, რომელიც ჩვეულებრივ უდაბნოს სახელით იყო ცნობილი. იგი მდებარეობდა საჯავახო-ნიგოითის ქედის სამხრეთ კალთაზე და გადაჰყურებდა გურიას. ამ მონასტერში გაგზავნეს სასწავლებლად ბიძაჩემი ბესოც, რომელიც ვერ შეჰგუებოდა სამონასტრო რეჟიმს, ვინმე მეტად სახტიკ ევგენ ბერს რაღაც შემთხვევის გამო მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა მიეყენებინა, რის გამოც ბიძაჩემს — „ბატონყმობა კაი ხანია გადავარდაო", ეპასუხნა — და ხელი შეებრუნებინა ბერისთვის. ამის შემდეგ მას მონასტერში, რა თქმა უნდა, აღარ დაედგომებოდა და შინ დაბრუნებულა. პაპაჩემს ოქროპირს (რომელსაც გლახუნასაც ეძახდნენ) ეს ამბავი საშინლად სწყენია (როგორ თუ ბერს გაუბედე ცემაო!) და შვილი სახლიდან გაუგდია, მაგრამ მთლად ვერ მოუძულებია. ერთი თუმნიანი ჰქონია („ახალციხეში შეძენილიო". გამიგონია). ის გადაუგდია და მიუძახნია: „მომშორდი! არ განხოს მეტად ჩემმა საბზერმა თვალებმაო"!

წასულა ეს ბესო, უნახავს ვილაცეები, რომლებიც თბილისს მოდიოდნენ, გამოჰყოლია მათ და თბილისს მოსულა, სადაც ერთ სომეხ ვაჭართან ნოქრად დამდგარა. შემდეგ მას ჩარჩად გზავნიდნენ სოფლებში და ამ დროს მოსწონებია ხორხელი ქალი და ცოლად შეურთავს. შემდეგ მას კარგად გამართული სავაჭრო ჰქონდა თვალივში და დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და ნდობა მოპოვებული ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობაში.

დავუბრუნდეთ ჭადრაკის ამბებს. ხორხში ყოფნისას ჩემს ბიძაშვილს იასონს (რომელიც ჩემზე ორი წლით უფროსი იყო) ვასწავლე ჭადრაკის თამაში. კარტონზე დავხატე ჭადრაკის უჯრედები და ზედ ხისგან უბრალოდ გამოთლილი ფიგურები გავაწყვეთ. თავს ვიქცევდით.

სტუდენტობის დროს ჭადრაკი იშვიათად უნივერსიტეტის სასადილოში მითამაშნია, ნასადილევს. რევოლუციის შემდეგ რომ თბილისს დავსახლდი და მერმე უნივერსიტეტის დაარსებაც მოხერხდა, კვლავ მომაგონდა ჭადრაკის ამბები. აქ მითამაშნია, მაგალითად, ანდრია რაზმაძესთან, ალექსანდრე ჯანელიძესთან, გიორგი ნიკოლაძესთან და სხვებთან.

1947 წლის ზაფხული ჯავაში გავატარე, სადაც სასკოლო გრამატიკის გაფართოებისა და სავარჯიშოების დამატების საკითხებზე ვმუშაობდი. სავარჯიშოების შედგენაში მეხმარებოდნენ ივანე გიგინეიშვილი და ლეო კვაჭაძე. როცა გრამატიკისაგან მოვიცლიდით, თავს ჭადრაკით ვირთობდით.

ბოლო ხანებში ვთამაშობ ძველი ქართული ენის კათედრის წევრებთან — ივანე იმნაიშვილთან და, განსაკუთრებით ხშირად, ლეო კიკნაძესთან. გივი შეყილაძეს ვუმადლი, რომ სახელგანთქმულ ჩემპიონ ქალებს შემაბა ჭადრაკში: ნონა გაფრინდაშვილს და ნანა ალექსანდრიას. თუ ნონასთან ყაიმს მივაღწიე, ალბათ იმიტომ, რომ ის მთელი თავის ძალით არ თამაშობდა. ნანასთან რომ ვთამაშობდი, მცდარი ნაბიჯი გადავდგი, შეცდომა იმ წამსვე შევნიშნე და გნებდები-მეთქი ვუთხარ, მაგრამ მან არ ქნა: წასაგები პარტია არა გაქვსო, ის მცდარი ხელი დამიბრუნა და შემდეგ კი თამაში გათანაბრდა.

რაც შეეხება ცნობას, რომელიც მოყვანილია თ. გიორგაძის წიგნში („ჭადრაკს გამიჯნურებულნი", 1967), თითქო მე მასთან თამაში ყაიმით დამემთავრებინოს, არ შეეფერება სიმართლეს. კარგად მახსოვს, რომ გამოცდილმა მოჭადრაკემ, რომელიც თეორიასაც კარგად იცნობს, მომიგო. ალბათ, მან არ ისურვა, საჯაროდ გამოეტანა ჩემი დამარცხება.

თ. გიორგაძეს სხვა არასწორი ცნობებიც გაჰპარვია ჩემი ჭადრაკის თამაშის შესახებ ჯერ „დროშაში" (1966, № 2) და მერმე ზემოთ დასახელებულ წიგნში. ხორხში მასწავლებლად არასოდეს არ ვყოფილვარ და არც შემეძლო მოწაფეებისათვის ჭადრაკის თამაში მესწავლებინა; არც სტუდენტობის დროს მივლია პეტერბურგის საჭადრაკო კლუბში. ამას გარდა, შეუძლებელია, მე მეთქვას მისთვის, რომ ანისის ქალაქის ზღუდის ერთ კარს „რატომღაც" საჭადრაკო ერქვას. არა! მე ანისში ვიყავ 1914 წელს, აგვისტოში, როცა ნ. მარი იქ გათხრებს აწარმოებდა (მან, სხვათა შორის, მშვენივრად გამოსცა იქაური ქართული წარწერა ეპიფანე კათალიკოზისა, 1218 წლით დათარიღებული). მე მაშინ ზღუდეც ვნახე და ის ჭადრაკის კარიც, რომელსაც ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ კარის თავზე ჭადრაკის დაფაა გამოყვანილი ფერადი ქვებით. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ჭადრაკის თამაში სომხეთშიც ძალიან გავრცელებული ყოფილა ძველად.

ჭადრაკის ხალისი, ახალგაზრდობაში შეძენილი, სიბერემდის შემომრჩა. ნარდსაც ვთამაშობ, მაგრამ სად ნარდი და სად ჭადრაკი! ნარდის თამაშში მოგება იმაზეა დამოკიდებული, კარგად გაგიგორდება კამათლები, თუ არა. რა თქმა უნდა, ცოდნა იქაც არის საჭირო, მაგრამ ნარდში ბევრი რამ არის დამოკიდებული შემთხვევითობაზე. ჭადრაკი კი სულ სხვაა. აქ ყველაფერი ცოდნაზეა დამოკიდებული. იცი, მოიგებ, ან არ წააგებ მაინც და ყაიმს მიაღწევ; ჭადრაკი გასართობია, მაგრამ გონების მწვრთნელი. იგი ხელს უწყობს გონების განვითარებას, წინასწარ განჭვრეტას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ ფიგურის გადასმას.

ჭადრაკში წაგებას ბევრი ძალიან მტკივნეულად განიცდის, მართალი მოგახსენოთ, მეც მირჩევნია მოვიგო, მაგრამ თუ წავაგე, ბევრს არას ვინაღვლი, გულთან ახლოს არ მიმაქვს.

თეორიის შესწავლისათვის არასოდეს ხელი არ მომიკიდნია, თუმცა Э. С. Шифферс-ის Самоучитель шахматной игры. (მე-4 გამოც.) 1920 წელს მაქვს შეძენილი. თვალყურიც მიდევნებია ჭადრაკის მატჩებისა და ტურნირებისათვის, მაგ., კაპაბლანკა-ალიოხინის მატჩისათვის; ზოგი პარტიაც გამირჩევია, მაგ., ანდერსენის „უკვდავი" პარტია და სხვა. მაგრამ ჩემი ჭადრაკის ტრფიალი უბრალო მოყვარულობის იქით არ წასულა, რადგანაც სამეცნიერო კვლევა-ძიება და პედაგოგიური მუშაობა მეტის საშუალებას არ მაძლევდა.

1 **სპარსულში რუხ-ი „ეტლს" ნიშნავს.**



# ვერიკო ანჯაფარიძე

ვინაც თეატრში უყვარს რომანტიკული საძყარის ხილვა და ქართული არტისტიზმი — არ შეიძლება არ უყვარდეს ვერიკო ანჯაფარიძე. ვერიკომ შექმნა თავისი სტილი, თავისი მანერა განსახიერებისა. მას ჩვენ ანჯაფარიძისეულს ვუწოდებთ.

ანჯაფარიძეს აქვს ვირტუოზული აქტიორული ტექნიკა, მან იცის თავისი გმირის საოცარი დამორჩილება და მისი სულიერი სილამაზის საზეიმოდ გამონათება.

ანჯაფარიძე ახალი ქართული საბჭოთა თეატრის სათავესთან დგას, იქ იწყება მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია, იქიდან მოსდევს განუმეორებელი არტისტიზმი. ამაოდ არ დამშვრალან ახალი თეატრის მებალავრეები, მათ შექმნეს ქართული აქტიორული სკოლა!

* * *

ამ ცოტა ხნის წინათ ვერიკო ანჯაფარიძეს ვუთხარი: „ქალბატონო ვერიკო! როდის უნდა ვიზეიმოთ თქვენი სამოცდაათი წლისთავი? — „არასოდეს!“ მიპასუხა მან.

და მართლაც, იუბილე, რომელიც ახლახანს გაიმართა, ანჯაფარიძის შემოქმედებითი ცხოვრების 50 წლისთავს მიეძღვნა. სხვა თარიღი არ აღუნიშნავს აფიშებს, არც პროგრამებს, არც არავის!

ანჯაფარიძემ არც აქ უღალატა თავის სტილს, ბრძოლა გამოუცხადა წლებსაც.

ბრძოლა იყო მუდამ მისი სტიქია, იგი გახელებული იბრძოდა ბოროტებას და იცავდა თავის გმირთა კეთილშობილურ იდეალებს. მისი გმირები მუდამ პოეტურნი და მშვენიერნი არიან, მათი ტრაგიკული ტანჯვა თუ ლირიკული სევდა აღსავსეა დიდი ადამიანური განცდებით. მისი გმირები არასოდეს არ ჩაკარგულან ყოფითი წვრილმანებში, არ დაუკარგავთ პოეტური მომხიბვლელობა.

სიდიადის, პოეტური ამაღლებულობის გრძნობა არასოდეს არ შორდებათ ანჯაფარიძის გმირებს. თითქოს მის გმირთა სწორედ ამ მებრძოლმა ხასიათმა შემოუნახა დღემდე ანჯაფარიძის თვალებს საოცარი ელვარება. ალბათ ამის გამოა იგი ასე მოუღლელიც! განა ამის ნათელი მაგალითი არ იყო ანჯაფარიძის მედეა? განა ბევრი არ ფიქრობდა იმაზე, თუ რამდენად შეესატყვისებოდა მსახიობის ასაკი მედეას ახალგაზრდულ ტემპერამენტს? მაგრამ გამოჩნდა იგი სცენაზე და ჩვენი ფიქრი და გრძნობა მედეას ბედის ირგვლივ დაატრიალა.

ანჯაფარიძის მედეა თითქოს სიმბოლური სახეა იმჟამინდელი კოლხეთისა. იგი ისევე ლამაზია და დიდებული, როგორც კოლხიდა. ამ მშვენიერებაშია მისი ტრაგედიაც. მოსტაცეს მას სილამაზე, გაძარცვეს მისი სიმდიდრე და მერე შეგინებული და დამცირებული მიატოვეს. შებღალული და გათელილი თავმოყვარეობის დაცვის ინსტინქტმა მძლავრად იფეთქა მედეას სულში და მერე ზღვარდაუდებელ შურისძიებაში დაცხრა. განა ასე დიდ მასშტაბურ სიმბოლურ სახეში არ წარმოგვიდგენია ანჯაფარიძის გმირი, როცა იგი უმძაფრესი გულისტკივილით იგონებს მიტოვებულ სამშობლოს, დაკარგულ ახალგაზრდობას, და ყოველივე იმას, რაც მისი ახალგაზრდობის ბედნიერ წლებთან იყო დაკავშირებული; აი, თითქოს წამიერად მსახიობის თვალწინ გადაიშალა დიდებული კოლხეთი და მშობლიური მელოდიაც ჩაესმა. უყურებთ მას და გრძნობთ, თუ როგორ ღრმად შემოაწვა სამშობლოს სევდა მედეას გულს, როგორ გაიღვიძა მთელს მის არსებაში შურისძიების გრძნობამ. ეს „ძუ ლომის“ გააფთრება ანჯაფარიძემ ისე გადაწყვიტა, რომ აქ მკაფიოდ გამოჩნდა გმირის ადამიანური ღირსების დაცვის სურვილიც და სინანულიც საყვარელი სამშობლოს მიტოვების გამო. მხატვრული სახის ამ ტენდენციას განსაკუთრებული სითბოთი ხატავს მსახიობი და ჩვენც თანავუგრძნობთ მედეას ტრაგედიას. ჩვენ გვჭერა და გვწამს, თუ რა მძიმეა სამშობლოს მოწყვეტილი, უცხო მხარეში გადახვეწილი ქალის ბედი.

მხატვრული სახის ძალა და კეთილშობილება, იდეური სიმახვილე და თანადროულობა, სულიერი შეუვალობა და მაღალი ადამიანური ღირსების გრძნობა, მსახიობმა საოცარი მომხიბვლელობით გამოხატა იმ სცენაში, სადაც იგი ამბობს — ნუთუ მედეა მისცემს ნებას, რათა ელინთა მოდგმამ დასცინოს დიდებულ კოლხთა შთამომავალს! ამ სიტყვებში ანჯაფარიძემ მთელი სისრულით გვაგრძნობინა თავისი გმირის პროტესტანტული ძალა და უსამართლობის წინააღმდეგ შემართებული კოლხელი ქალის დიდი სულიერი აღზევება.

...მთავრდება სპექტაკლი და გვაგონდება მედეას ძიძის სიტყვები, წარმოთქმული სპექტაკლის დასაწყისში: „დღეს კი შებღალეს მასში ყოველივე“.

ამ სიტყვებმა თითქოს მაგიური ძალა შეიძინეს და ჩვენ მოწმენი გავხდით, თუ როგორ გადაუხადა სამაგიერო ელადის შვილებს კოლხმა ქალმა მისი ღირსების შებღალვისათვის...

ეს იყო საბედისწერო შურისძიება და კიდევ რაღაც მასზე მეტი...

თავისი გმირის, მედეას მსგავსად, თითქოს ვ. ანჯაფარიძემაც იცის ჯადოსნური წამალი სცენაზე მარადი ახალგაზრდობისა. მისი თვალები, მისი ღიმილი, მისი ტემპერამენტი და მოუსვენარი ცხოვრება ახალგაზრდული სულით არის აღსავსე.

ხომ ღრმა მოხუცია ბებია ეუხენა („ხეები კვდებიან ზეზეურად“), მაგრამ შეხედეთ რამდენი ახალგაზრდული გამონათება აქვს მას!

იქნებ არც სჭირდება ძლივს მოფართხალე ბებიას ახალგაზრდული სიმხნევე? იქნებ სჯობია მისი სულიც ჟამთა სვლისაგან ისევე მოღლილი და მოქანცული იყოს, როგორც მისი სხეული? ასეც შეიძლება, მაგრამ სხვისთვის, სხვა მსახიობისთვის. ანჯაფარიძის აქტიორული ბუნებისათვის კი ყველაზე ახლობელია სტანისლავსკის ბრძნული სიტყვები: „როცა მოხუცს თამაშობ, ეძიე სად არის იგი ახალგაზრდა.“

ასეთია ანჯაფარიძის ეუხენაც. ოდესღაც ალბათ იგი კეკლუცი ქალი იყო, ალბათ სიმკვირცხლითა და გონებამახვილობით გამოირჩეოდა ახალგაზრდობის ჟამს, ჰქონდა იუმორის გრძნობა, იცოდა ლხინი...

წავიდნენ ახალგაზრდობის შფოთიანი წლები, მაგრამ ეუხენამ მაინც შეინარჩუნა სულის სიჯანსაღე. იუმორის გრძნობამ თითქოს დარდიც შეუმსუბუქა.

სადარდებელი კი ცოტა როდი აქვს. იგი დიდი ხანია გასცქერის შორეულ გზებს, დიდი ხანია ელის თავის შვილიშვილს მაურისიოს. იცის, რომ დაუბრუნდება იგი. ეს დღეც დგება. მაურისიო ბრუნდება გაბოროტებული, ტლანქი, ისეთი როგორსაც ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა ეუხენა. იმსხვრევა ილუზიები, იღუპება ეუხენას ყველაზე წმინდა იმედები. დგება საბედისწერო წუთები.

ამ წუთებში იბადება ანჯაფარიძის დიდი ხელოვნებაც. სცენაზე წამიერად ჩამოვარდება სიჩუმე, გამაოგნებელი სიჩუმე, რომელსაც ანჯაფარიძის გმირი ჰქმნის. მერე იგი თვითონ არღვევს მას და ჩვენ გვესმის ეუხენას მთრთოლვარე ხმა. ამ ხმაში არის ვედრებაც, იმედიც, რაღაც ლოცვის სითბოცა და უსასოობაც. იგი ელის იქნებ როგორმე შეიცვალოს შვილიშვილი, მაგრამ მაურისიო ბებიასაგან მხოლოდ ფულს მოითხოვს, უკანასკნელად სძარცვავს მას.

მოხუცი-ქალი უკანასკნელად დაიგმინებს და იქვე გახევებული ქანდაკებასავით ქვავდება. ასე ზეზეურად კვდება იგი.

კვდება ამაყი და მშვენიერი, როგორც ასწლოვანი ვაზი, მისი სახლის კედლებს რომ შემჴოლია!

* * *

დიდი გზა განვლო ანჯაფარიძემ, ეს დაძაბული შემოქმედებითა და ცხოვრებით აღსავსე გზაა, საკმარისია წამიერი დაფიქრება და თქვენს წინ კინემატოგრაფიული სისწრაფით გაიელვებენ ანჯაფარიძის მიერ შექმნილი სახეები — ივდითი, კლეოპატრა, ჯავარა, ლუიზა, ოფელია, მარგარიტა, ცაბუ, ოთარაანთ ქვრივი, მარიამ სტიუარტი და სხვა მრავალი.

ერთმა ადამიანმა მოიქცია თავის სულში მთელი ეს სამყარო. მსახიობმა მათ ნაწილ-ნაწილ მისცა მთელი სიცოცხლე. რამდენი წვა, ფერისცვალება, ენერგია და ვნებათაღელვა შეალია თავის გმირებს!

„სცენა კი მუდმივი წვაა და ენერგიის დაუსრულებელი ხარჯვა“, — მითხრა საუბარში ვერიკომ.

ამაშიც არის დიდი არტისტიზმი! ანჯაფარიძემ იცის თავისი გმირის ტანჯულ ცხოვრებასთან ლამაზად გამოთხოვება. იგი არასოდეს არ ჰკარგავს სილამაზის იდეალს და ყველგან ეძებს მის გამოვლინებას. მართლაც, საოცარია მისი გმირის „სიკვდილის სილამაზე“.

როცა ვერიკოს ივდითი კვდება, „თვით უკანასკნელ წუთებშიც მისი გრძნობები და გონება ფარვანასავით თავს დასტრიალებენ საყვარელ ადამიანს. როგორც სასიკვდილოდ დაჭრილი ფრინველი, რომლის ფრთების რხევა თანდათან მოდუნებული და მძიმე ხდება, ისე ნელ-ნელა ეშვება დაბლა მომაკვდავი ივდითი, რომელიც საბოლოოდ საყვარელი ადამიანის ხელებზე დალევს სულს. როდესაც უყურებ ამ დროს ვერიკოს, იგი ჩინურ ვაზიდან გადმოსული მინიატურა გგონია. იგი კვდება უბრალოდ, ძალდაუტანებლად. მისი სიცოცხლე ისე ქრება, თითქოს ეს იყოს პირველი თოვლის ფიფქი, მსუბუქი ქარით განაფანტი“. (უ. ჩხეიძე).

როგორ არ ჰგავს თოვლის ფიფქის ეს სინაზე ივდითის მრისხანე შეძახილს — „სტყუი რაბინო!“ თითქოს ძნელია ერთმანეთს შეუთავსოთ ეს ორი განცდა.

საოცრად შვენის ანჯაფარიძეს ქალური სინაზე და შემართება ერთდროულად. მან ბრწყინვალე ფორმა მოუძებნა თავის სათქმელს. მას მხოლოდ ასე, მისებურად შეუძლია გადაგვიშალოს უცნობი სამყარო.

* * *

წელთა მანძილზე ბევრი ფარდა დაეშვა და გაიხსნა, გრძელი გზა გაიარეს ვერიკო ანჯაფარიძის გმირებმა.

დაე, დიდხანს გაგრძელდეს ეს გზა!

ვასილ კიკნაძე

რასულ გამზატოვი

# ჩემი დაღესტანი

ახლა დაღესტანში ახალგაზრდები აღარ იცვამენ ჩვენებურ ნაციონალურ ტანსაცმელს. ისინი დადიან შარვლებით, პიჯაკებით, ტენისურებით, ჰალსტუხით დამშვენებული პერანგებით — ისე როგორც მოსკოვში, თბილისში, ტაშკენტში, დუშანბეში, მინსკში.

ნაციონალურ ტანსაცმელს ახლა იცვამენ მხოლოდ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობები. ადამიანს ძველებური ტანსაცმლით შეიძლება შეხვდეთ ქორწილში; ზოგჯერ კი, თუ ვინმე მოინდომებს ჩაიცვას დაღესტნურად, ითხოვს ხოლმე ტანსაცმელს მეგობრებისაგან, ნაცნობებისაგან, ანდა ქირით გამოაქვს. საკუთარი უკვე აღარ აქვს. ერთი სიტყვით, ნაციონალური ტანსაცმელი ქრება, რომ არ ვთქვათ — უკვე გაქრა.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგიერთ პოეტს ნაციონალური ფორმა ლექსებშიც ეკარგება და ისინი ამით ამაყობენ კიდეც.

მეც დავდივარ ევროპული კოსტუმით, არც მე მაცვია მამისეული ჩერქეზული ჩოხა, მაგრამ ჩემი ლექსების უსახურ კოსტუმში გამოწყობას არ ვაპირებ. მე მინდა, რომ ჩემი ლექსები ატარებდნენ ჩვენებურ — დაღესტნურ ნაციონალურ ფორმას.

მე რა ვარ! მე წილად მხვდა ვიცოცხლო რამდენიმე ათეული წელი. ეს ათეული წლები დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ყველა ადამიანი დადის შარვლით, ყელიანი ფეხსაცმელებით და პიჯაკებით. ლექსებს თავიანთი ცხოვრება აქვთ. მათ თავიანთი საკუთარი ვადები გააჩნიათ დაბადებისა და სიკვდილის. მე არაფერს ვამბობ ჩემს ლექსებზე, შეიძლება მათ ჩემზე მეტი ვერც იცოცხლონ.

მე ვნახე მოსკოვში ერთი ბერმუხა. ამბობენ, რომ იგი დარგა ივანე მრისხანემ. მაშასადამე, ვიდრე იგი იზრდებოდა, ადამიანები დადიოდნენ ჯერ ბოიარების ტანსაცმლით, შემდეგ კამზოლებით და შეპუდრული პარიკებით, შემდეგ ცილინდრებით და შავი ფრაკებით, შემდეგ ბუდიონოვკებითა და ტყავის ქურთუკებით, შემდეგ უბრალო პიჯაკებით და განიერი შარვლებით, შემდეგ ვიწრო შარვლებით. ხოლო ბერმუხა თითქოს ეუბნებოდა ადამიანებს: ირბინეთ მანდ ქვევით, იცვალეთ თქვენი ტანსაცმელი, თუ მეტი საქმე არ გაქვთ. მე ჩემი დანიშნულება მაქვს: დავიჭირო მზის სხივები და გადავაქციო მაგარ ჟღრიალა მერქნად, აგრეთვე რკოდ, საიდანაც გაიზრდება ასეთივე ფესვმაგარი მუხა.

მთაში ამბობენ, რომ კაცს კაცად ტანსაცმელი აქცევს, მხედარს კი მამაცად — კარგი ცხენიო. ეს ანდაზა ლამაზად ჟღერს, მაგრამ მე იგი არ მიმაჩნია სამართლიანად; ზოგჯერ ფოლადის აბჯრის ქვეშაც შეიძლება იმალებოდეს მხდალი გული.

**ვინაიდან,** არა ერთხელ გავმხდარვარ იძულებული მხრები ამეჩეჩა, როცა ჩემს მიერ მხოლოდ სილამაზისათვის არჩეული საზამთრო შიგნით თეთრი და უგემური გამოსულა.

**ვინაიდან,** ერთხელ ერთმა უნსუქულელმა ნაბადში გამოხვეული თავისი შეყვარებული გაიტაცა, ხოლო როცა ნაბადი გახსნა, იქ ტურფა ასულის ნაცვლად, შეყვარებულის მოხუცებული დიდედა დახვდა.

**ვინაიდან,** აბუთალიბმა მიამბო, როგორ მიიწვიეს იგი ერთხელ შორეულ აულში ქორწილში ზურნის დასაკრავად. ქორწილი სანაქებო გამოვიდა! სამი დღე აულის წინ გაშლილ მდელოზე შეუსვენებლად კაკანებდა ზურნა, გუგუნებდა დოლი, კვნესოდა ვიოლინო, ჰანგებად ილვრებოდა გარმონი, წკრიალებდნენ სიმღერები. როგორც დაღესტანში ამბობენ, იყო „დამ-დამიცა“ და „ჭამ-ჭამიც“, ესე იგი, იყო მოსასმენელიც და იყო შესაჭმელიც. მთელი აული დაესწრო ქორწილს და ყველამ, მოხუცმაც და ბალღმაც, თითოჯერ მაინც იცეკვეს.

ქორწილის მესამე დღეს მაცნემ, თამადის დავალებით, ხმამაღლა განაცხადა, რომ წრეში საცეკვაოდ ახლა ნეფე-დედოფალი გამოვლენო. სიძეს ყველა ხედავდა, პატარძალი კი სამი დღის მანძილზე უხმოდ იჯდა სახეზე ფატაჩამოფარებული. სამი დღის მანძილზე აბუთალიბი ყურადღებით უთვალთვალებდა მის კოხტა და ლამაზ ტანსაცმელს. თავისი ბრწყინვალებით პატარძლის ტანსაცმელი მოგაგონებდათ, ასე ვთქვათ, კავკასიური პოეზიის ანთოლოგიის ლამაზ ყდას.

როცა პატარძალი წამოდგა და წრეში გავიდა, აბუთალიბი, ცოტა არ იყოს, შეაკრთო მისმა აღნაგობამ. პატარძალი, თავისი მოცულობით შეიძლებოდა შეგვედარებინათ, ვთქვათ, ყირგიზული ეპოსისათვის — „მანას“, რომელიც გამოსცა „გოსლიტიზდატმა“. პატარძალი მოემზადა სახიდან საბურველის მოსაშორებლად. ყველა გაინაბა. აბუთალიბმა სუნთქვა შეაჩერა. და აი პატარძალი სახიდან საბურველს იშორებს — დადგა წამი, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ სამი დღე...

პატარძალი ერთი თვალით ხუნძახში იყურებოდა, მეორეთი კი ბოთლიხში; ალთა-ბალთა გაქცეულ თვალებს შუა კი მოჩანდა უზარმაზარი ცხვირი.

სევდა შემოაწვა გულზე აბუთალიბს. მას აღარ შეეძლო, არც ზურნაზე დაკვრა, არც ჭამა, ადგა და ქორწილი მიატოვა.

მე ვფიქრობ, აბუთალიბმა ცოტა არ იყოს, გადააჭარბა ამ ამბის მოყოლის დროს.

და მაინც, კარგ გაფორმებას არ შეუძლია გადაარჩინოს ცუდი წიგნი. რათა ნამდვილად შევაფასოთ იგი, საჭიროა წიგნსაც მოვაშოროთ ჩადრი.

**ვინაიდან,** იყო წელი, როცა სათანადო სიმაღლეზე აიყვანეს და „ყველაზე მწვავედ“ დააყენეს მთიელი ქალის მდგომარეობის და მასთან მამაკაცის დამოკიდებულების საკითხი.

იმ წელს ქმარი ვერ ბედავდა ცოლისათვის სიტყვა შეებრუნებინა, ჩვეულებრივი ოჯახური წაკინკლავებისათვის ქმრებს რაიკომში იძახებდნენ და საყვედურს აძლევდნენ; ხოლო იმისათვის, რომ რაიმე მითქმა-მოთქმა არ ყოფილიყო, პირველად თითო საყვედური რაიკომის აპარატის მუშაკებს ჩამოურიგეს. იმ წელს ზედიზედ იწვევდნენ მთიელი ქალების ყრილობებს, რომლებზეც იმდენი სიტყვები წარმოითქვა, რამდენიც არ წარმოთქმულა ყველა სხვა დანარჩენ ყრილობებზე ერთად.

იმ ხანებში საკვირაო ბაზარზე გამოჩნდა ერთი უზარმაზარი ქალი, რომელიც ვაჭრობდა სხვადასხვა აკრძალული საქონლით. მილიციელს ეშინოდა მისთვის თითის მიკარება, რომ ამით არ შეელახა მთიელი ქალის დამოუკიდებლობა და თანასწორუფლებიანობა. მიუხედავად ამისა, მან მესამე კვირას მაინც გაბედა და მოკრძალებით გააფრთხილა მოვაჭრე ქალი, მეხუთე კვირას კი, რაც იქნება იქნებაო, ადგა და ქორვაჭარ ქალის დაკავება და მილიციაში მიყვანა გადაწყვიტა.

ვიდრე მილიციელს ვაჭარი ქუჩაში მიჰყავდა, მისკენ ყველანი გაოცებით იშვერდნენ თითს და უკვირდათ, როგორ გაბედა მან დაეკავებინა დამოუკიდებელი და განთავისუფლებული მთიელი ქალი.

იქ, ხალხით სავსე ბაზარში ვაჭრის ათვალიერებ-ჩათვალიერება ძნელი იყო, ახლა კი მილიციელის ყურადღება მიიქცია ზოგიერთმა დეტალმა, მაგალითად, კაბის ქვეშიდან გამოჩენილმა უზარმაზარმა ჩექმებმა.

„ააა, აქ ძაღლის თავი სხვაგან არის დამარხული“, გაიფიქრა მილიციელმა და ვაჭარ ქალს სახიდან ჩამოგლიჯა საბურველი. მილიციელს შეანათა ბრგე ვაჟკაცის სახემ გადმოკაკლული თვალებით და ულვაშებით, რომელიც ფრიალოზე გაზრდილ კვრინჩხს მოგაგონებდათ.

ზოგიერთი მხატვრები, რომლებსაც არც ტალანტი აქვთ, არც მოთმინება და არც სიამაყე, თავიანთი საქონელი, რომ გაასაღონ, ასევე იკაზმებიან სხვისი სამოსელით, ცდილობენ ფორმის ბრწყინვალებით დამალონ აზრის სიძაბუნე; მაგრამ თუ კუჭი ცარიელია, ფაფახი გინდა ამ გვერდზე დაიხურე, გინდა იმ გვერდზე, მაინც ვერაფერს გიშველის.

**ასევე,** როგორი ლამაზიც არ უნდა იყოს ხისაგან გამოთლილი ხანჯალი, მით ვერ დაკლავ წიწილსაც კი.

**რა თქმა უნდა,** ქარქაშიც საჭიროა, უიმისოდ ხანჯალი დაჟანგდება. და კარგია, როცა ქარქაში ლამაზია.

**უბის წიგნაკიდან.** ლიტერატურის ინსტიტუტში, გამოცდაზე ერთ ავარიელს ჰკითხეს: რა განსხვავებაა რეალიზმსა და რომანტიზმს შორის? წიგნები ამ საკითხზე ავარიელს, როგორც ჩანდა, არ წაეკითხა, პასუხის გაცემა კი საჭირო იყო. იგი ჩაფიქრდა და ასე უპასუხა პროფესორს:

— რეალიზმი — ესაა როცა არწივს ვეძახით არწივს, ხოლო რომანტიზმი — როცა არწივს ვეძახით მამლაყინწას.

პროფესორს გაეცინა და ჩემს თანამემამულეს კარგი ნიშანი დაუწერა.

რაც შემეხება მე, თავიდანვე ვცდილობ, დავუძახო ცხენს — ცხენი, სახედარს — სახედარი, მამალს — მამალი, ვაჟკაცს კი ვაჟკაცი.

თარგმნა ოთარ დემეტრაშვილმა.

კარლო კალაძე



# ვაზი და თუთა

თუ ნახოთ ტოტებგადაშლილი თუთა
და ვაზი ტოტით ტოტზე ასული —
ქვეშ ეზო-ეზო გაავლეთ რუ და
მესერი ჭიშკარგადარაზული!
იქვე მეზობლად, იმ ჭიშკრის მარცხნივ,
მეც როცა ვინმეს ვესაუბრები —
შემიმჩნევია, მესერის გასწვრივ
როგორ სწვდებიან მზეს ალუბლები.
მზეში დგას დღისით ყოველთვის თუთაც,
ღამით სავსეა ცის ვარსკვლავებით,
თუთა კი არა — ბუდაა, ბუდა,
ძირს რომ დააფრენს ჩრდილს მხარ-მკლავებით!
გრძნობს, ალბათ, ბრგე და ჭარმაგი თუთა,
რომ ეტმასნება ვიღაც ასული,
კაბა-შრიალა და შატა-ბუტა,
ვაზივით ტოტით ტოტზე ასული.
ხე არას ამბობს ცად აწვერილი,
თუმცა არა აქვს ხეს მოსვენება:
ატკბობს მკლავებზე გადაწვენილი
მხოლოდ ეშხი და მხოლოდ მშვენება!
ჩანს, ალუბლებიც ამ წუთს უცდიან,
აქვე დღისა და ღამის მთევლები, —
თორემ ვაზს თვითონ რად გაუწვდია
იქით ჩუმჩუმი ლტოლვით მტევნები?!
ან სულს რომელი რტო არ განაბავს,
შრიალს ფოთლებიც ფოთლებს უმალვენ, —
როგორც შევავლე თვალი ამ ამბავს —
რაც მოხდა, უხმოდ მივხვდი უმალვე.
აითვალწუნა ბედი შავთვალამ,
ხელკორძიანი დაჰგმო მკლავი და
ხეს რომ ეხვევა, არად ჩასთვალა,
არც ახსოვს ცაში როგორ ავიდა!
სიკვდილი ვაჟკაცს რამ არ ანატროს —
სჯის თვით სიმართლე გულშემზარავი, —
ჭეელიც იყო, მაგრამ არასდროს
არ ჰყვარებია ასე არავინ.
არ ბერდებოდა ალბათ ამიტომ,
ამიტომ ედგა სიყვარულს ბურჯად,
აქ ზეზეურად გახმა და ვითომ
არც გაუგია, დგას მაინც ურჩად...
მაშ, ერთხელ კიდევ გავავლოთ რუ და
მესერი ჭიშკარგადარაზული, —
სადღაა მაღალ-მაღალი თუთა
და ვაზი ტოტით ტოტზე ასული?!
სადღაა ცაში რტო-ალტაცებულ
მტევანთა კვლავაც ტკბილი მშვენება,
გულმკერდით უცებ დაბლა დაცემულ
ბერთუთას უკვე რა ეშველება?
ურჩი რამ არის... და ვაჟკაცივით
მუდამ ავფიქრებ უკარებელი,
თუ დაუჯერებ, ამბობს: ქარწვიმით
დაეცა დაბლა როგორც ბებერი.
ურჩი რამ არის, ქვეყნად ვინც ასე
რჩება ბოლომდე მხნე და კეთილი...
სწუხს მხოლოდ, სწუხს რომ დედამიწაზე
აგდია ვაზი წელმოწყვეტილი.

# შორი ხომალდი, თოლია, ზღვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოლია, ზღვათა სარკეში
ფრთებს რომ ისწორებს, თოლია —
დილით, აქ, შორი ხომალდის
იალქანს შემოჰყოლია!
თოლია ახლად ფრთებაშლილ
ტალღების თანატოლია
და მაინც ქავლის ქაღარა
თმას დასთამაშებს, თოლია! —
ისე, ვით მოასპარეზე
თავისი თეთრი აფრითა —
ჩემს პირველ სტრიქონს, შემართულს,
უეცრად შემოაფრინდა!

თოლიავ, ზღვის ამ სიჩუმეს
ირთოლვა რომ ახლავს, თოლიავ,
უთუოდ შენი უეცარ
დაფრენით ანათრთოლია...
მაგრამ იქ, სადაც შორეულ
ხმელეთის ვიწრო ზოლია —
მიტოვებული ცა უცდის
შენს დაბრუნებას, თოლიავ!
დააცხრა ტალღას ქაღარას
შენი სულისთქმა მძაფრი და
ჩემს პირველ სტრიქონს, შემართულს,
უეცრად შემოაფრინდა, —
ცას კი შავ-ლეგა ღრუბელი
ჯავრივით ჩამოსწოლია, —
— ან ამ ზღვას უნდა ეტრფოდე,
ან იმ ცას, ჩემო თოლიავ!



ზაქარია შერაზადიშვილი

# თმოგვის კაკბები

თმოგვის უშფოთველ სანახებს მოსძალებია ბალახი,
შიგ დაცურავენ კაკბები — ტყვიას ნურავინ დაახლის.

კაკბობისათვის იმ კაკბებს ნუ გამოუტანს განაჩენს,
არ დაურღვიოს მშვიდობა, კაკაბი კაკაბს გააჩენს.

კაკაბი კაკაბს გამოჩეკს სიყვარულსა და ალერსში,
მიუგოგდება მეტოლეს, ნისლი ჩაწვება თვალებში.

კაკაბი კაკაბს იპოვნის ფრთების გაშლით და ფრიალით,
სიცოცხლეს გაუხანგრძლივებთ ერთიმეორის ტრფიალი.

მოსძალებია ბალახი თმოგვის დიდებულ სანახებს,
კაკაბი კაკაბს მოუხმობს, კაკაბი კაკაბს გასძახებს.

# დღეგრძელობა

დღეგრძელობა ყველა ფურცელს, ყველა თაბახს ლექსის ზვრიანს,
ულექსოდ და უღიმღამოდ ნისლი ახლავს დღეებს მზიანს,
როგორც სახლ-კარს, მიტოვებულს, ვუბრუნდები პოეზიას.

აბა, ცაო, უსასრულო, აბა, მსუყე ნიადაგო,
პწკარი პწკარზე მივაჭუფთო, მკვიდრად დავალიანდაგო,
სულიც, ხორციც პოეზიის უშრეტ ცეცხლზე მივადაგო.

ჰოი, ლექსო, ახლებურო, ხელში რაღაც მერბილები,
სული ითხოვს გადაგქელოს, დაგირღვიოს ჭებირები,
ვგავარ მთავარ წყალდიდობას, წარღვნისათვის ვეპირები.

სული ითხოვს ხელახალი დავაწესო ზღუდეები,
დავუყენო პოეზიის კარიბჭეს და ზღურბლს დევები,
მართ არწივთა ჩამომავლებს — არწივების ბუდეები!

უკვდავება ყველა თაბახს, ყველა წიგნაკს, ტომებს ზვრიანს,
ულექსოდ და უშფოთველად მწამს ვერაფერს ვპოვებ მზიანს,
როგორც სახლ-კარს, მიტოვებულს დავუბრუნდი პოეზიას.

# მეორე ლექსი ჩინარს

როგორც ჩინარი,
ლტოლვის მჩინარი,
ცათა შელმართებს მივდევ ლიტაოდ
და გონმიხდილი,
        მხოლოდ გრიგალი,
კვდება წყურვილით:
        ჩემთან იდაოს.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# შემთხვევა პოლკის გადაბარების დროს

## ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ჭავჭავაძის ოჯახში, როგორც ცნობილია, ხშირად სტუმრად იყვნენ რუსეთის არმიის ოფიცრები, ალექსანდრესა და მისი ვაჟის დავითის თანამებრძოლნი; განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ამ ოჯახთან ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცრებს. აღნიშნული პოლკი 1820-1825 წლებში კახეთში იდგა, წინანდალთან ახლოს და, რადგანაც ალ. ჭავჭავაძეც ამ პოლკში მსახურობდა, ოფიცერთა დიდი ნაწილი ალექსანდრეს ოჯახში თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ვრცელ და დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე ბიოგრაფიაში ყურადღებას იპყრობს ერთი ამბავი, რაც განსაკუთრებით ნათლად ავლენს მის დიდბუნოვანებას, ჭეშმარიტად რაინდულ სულგრძელობას; ჩვენ ვლაპარაკობთ იმ სოლიდარობაზე, რაც ქართველმა პოეტმა გამოიჩინა რუსი გენერლის ნ. ნ. რაევსკის მიმართ, როცა ეს უკანასკნელი, 1830 წელს, კოფილ დეკაბრისტებთან ლმობიერი დამოკიდებულებისათვის, ნიჟეგოროდის პოლკის მეთაურობიდან გადააყენეს.

ჩვენი წერილის მიზანია შედარებით უფრო სწორად გააშუქოს ეს ფაქტი, რადგანაც იმ ვრცელ ბიოგრაფიულ ნარკვევში, რომელიც დართული აქვს ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა 1940 წელს გამოცემულ კრებულს, იგი არაზუსტადაა ახსნილი. აღნიშნულ ნარკვევში ვკითხულობთ:

„1822 წლის 18 თებერვალს ნიჟეგოროდის პოლკის უფროსის კლიმოვსკის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ, მისი ადგილი, ა. პ. ერმოლოვის ბრძანებით, დაიჭირა ალექსანდრე ჭავჭავაძემ და პოლკს მეთაურობდა 1822 წლის მარტამდე. ამ დროს მოხდა ფრიად დამახასიათებელი ფაქტი, რომლითაც ალ. ჭავჭავაძის პატიოსნებას და პოლიტიკას სულ სხვაგვარი იერი ეძლევა. როდესაც თბილისში ბრძანება მოვიდა დეკაბრისტ ნ. რაევსკის დაპატიმრებისა და მისი სალდათად ჩამოქვეითების შესახებ, ამის შესრულება ალექსანდრე ჭავჭავაძეს დაევალა. მაგრამ ჭავჭავაძემ ავადმყოფობა მოიმიზეზა და ეს უმართებულო განკარგულება სისრულეში არ მოიყვანა“ (იხ. „ალ. ჭავჭავაძე, თხზულებები, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით“, 1940 წ. თბილისი, გვ. XXVI).

რაში მდგომარეობს აქ უზუსტობა? უპირველეს ყოვლისა, ცნობილი დეკაბრისტი და პოეტი ვლადიმერ ფედოსეის-ძე რაევსკი მსახურობდა კიშინიოვის სამხედრო ოლქში, სადაც პ. პესტელთან, ვ. დავიდოვთან, მ. ორლოვთან და სხვებთან ერთად, დეკაბრისტების საიდუმლო ჯგუფში შედიოდა. ამ ჯგუფის ცენტრი კი კიშინიოვში იყო. 1822 წელს იგი კიშინიოვშივე დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს, რაც შემდეგ გადასახლებით შეეცვალა. მას შემდეგ ვ. რაევსკი პატიმრობაში იყო და 1828 წელს გადასახლებულ იქნა ირკუტსკის ოლქის სოფ. ოლონკაში, სადაც დარჩა გარდაცვალებამდე. გარდაიცვალა 1872 წელს. ცხადია, ხსენებული რაევსკის დაპატიმრების ბრძანება თბილისში არ მოვიდოდა, მით უმეტეს, მისი აღსრულება არ დაევალებოდა ალ. ჭავჭავაძეს, რომელიც ნიჟეგოროდის პოლკში მსახურობდა და წინანდალში ცხოვრობდა. ამრიგად, დეკაბრისტ ვ. რაევსკის დაპატიმრებასთან ალ. ჭავჭავაძეს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია და არც შეეძლო ჰქონოდა.

მაგრამ იყო სხვა შემთხვევა, როცა ალ. ჭავჭავაძეს საკუთარი სამსახურებრივი კარიერის საფრთხეში ჩაყენება მოუხდა გენერალ-მაიორ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რაევსკისადმი გაწეული სოლიდარობისათვის. ეს ამბავი ასე მომხდარა: პოლკოვნიკი ნ. ნ. რაევსკი, 1812 წლის სამამულო ომის გმირის, კავალერიის გენერლის ნ. რაევსკის შვილი, 1828 წელს ხარკოვში დრაგუნთა პოლკს მეთაურობდა. იგი იცნობდა რამდენიმე დეკაბრისტს და უმნიშვნელო ურთიერთობა ჰქონდა მათთან. ამ პერიოდში იგი რამდენიმე კვირით დაუპატიმრებიათ, მაგრამ ჯარისკაცად არ ჩამოუქვეითებიათ და, მით უმეტეს, ამ ამბავთან ალ. ჭავჭავაძეს არაფერი საერთო არ ჰქონია. გამოძიების შემდეგ ნ. ნ. რაევსკი კვლავ სამხედრო სამსახურში დაბრუნებულა, ხოლო 1826 წლის სექტემბერში კი იგი ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაურად დაუნიშნავთ. (იხ. ვ. პოტო, „ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ისტორია“, ტომი 3., გვ. 81).

ნ. ნ. რაევსკი აღნიშნულ პოლკს მეთაურობდა რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომების დროს, 1827-1830 წლების მანძილზე. 1830 წლის ნოემბერში, უკვე გენერალ-მაიორი, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რაევსკი სოფელ ბეიბურთში პოლკს თავის მოადგილეს, პოლკოვნიკ ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილს უტოვებს და მიდის შვებულებაში. ამ დროს მას თან გაუყოლებია 40-მდე მხლებელი და მათ შორის კავკასიის არმიაში გადმოსახლებული დეკაბრისტებიც აღმოჩენილან. ეს ამბავი ვიღაცას პირდაპირ იმპერატორისათვის უცნობებია. ნიკოლოზ პირველის ბრძანებით ნ. ნ. რაევსკისათვის სასტიკი საყვედური გამოუცხადებიათ და 7 დღე-ღამით საშინაო პატიმრობა მიუსჯიათ, ამ სასჯელის მოხდის შემდეგ რუსეთში გადაუყვანიათ და მე-5 ულანთა დივიზიის კავალერიის ბრიგადის მეთაურად დაუნიშნავთ.

როგორც ვხედავთ, არც ამჯერად ჰქონია ადგილი ნ. რაევსკის ჯარისკაცად ჩამოქვეითებას. მით უმეტეს გენერალ ნ. ნ. რაევსკის არ შეიძლება ეწოდოს „დეკაბრისტი რაევსკი“.

როდესაც დამდგარა ნ. რაევსკის მიერ ნიჟეგოროდის პოლკის ახალი მეთაურისათვის ი. მ. ანდრონიკაშვილისათვის გადაბარების დრო, მთავარმართებელს, ფელდმარშალ პასკევიჩს უბრძანებია გადაბარება სასტიკ კონტროლქვეშ მოეხდინათ და მასში მონაწილეობა ალ. ჭავჭავაძისათვის დაუვალებიათ. ამის შესახებ ვ. პოტო წერს:

„პასკევიჩმა, თხოულობდა რა მკაცრად მოჰქცეოდნენ რაევსკის პოლკის გადაბარების დროს, უბრძანა თავად ჭავჭავაძეს ყოფილიყო შუამავალი მას და თავად ანდრონიკაშვილს შორის. მან თავი აარიდა ამ დავალებას და დაწერა პატაკი თავის ავადმყოფობის შესახებ“ (ვ. პოტო, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ისტორია, ტ. 8, გვ. 148).

პასკევიჩი აღშფოთებულა იმით, რომ ალ. ჭავჭავაძემ მისი ბრძანების შესრულებას თავი აარიდა და განრისხებულს ალ. ჭავჭავაძისათვის მიუწერია:

„მე მინდა მოგცეთ თქვენ შენიშვნა იმის გამო, რომ უხალისოდ ეკიდებით თქვენი მოვალეობის შესრულებას და საჭიროდ მიმაჩნია ვთხოვო ხელმწიფე-იმპერატორს ჩამოგაშოროთ საქმეს, როგორც უსარგებლო მოხელე“. (იქვე, გვ. 148).

ამით განაწყენებულ ალ. ჭავჭავაძეს პასკევიჩისათვის სამსახურიდან გადაყენების თხოვნა მიუცია და ამ უკანასკნელსაც ჭავჭავაძის პატაკი თავისი დასტურით დაუყოვნებლივ იმპერატორთან გაუგზავნია. პეტერბურგში ალ. ჭავჭავაძის გადაყენებას არ დათანხმებულან და პასკევიჩს სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისაგან ასეთი პასუხი მიუღია:

„ხელმწიფე-იმპერატორმა არ ინება ჩამოაშოროს სამსახურს ესოდენ წარჩინებული გენერალი, ხოლო თუ მას სურს განსაზღვრული დროის მანძილზე თავისუფალი იყოს საქმისაგან თავისი ჯანმრთელობის აღსადგენად, ან შინაური საქმეების მოსაწესრიგებლად, ასეთ შემთხვევაში მისი უდიდებულესობა თანახმაა გაუშვას იგი შვებულებაში იმ ვადით, რამდენიც მას ესაჭიროება“ (იქვე, გვ. 148).

ალ. ჭავჭავაძეს ამით უსარგებლია და უვადო შვებულებაში გასულა. ყველაფერი ეს მოხდა 1830 წლის დამლევს.

ამრიგად, მტკიცება იმისა, თითქოს 1822 წელს ალ. ჭავჭავაძეს დაევალა დეკაბრისტ ნ. რაევსკის დაპატიმრება და ჯარისკაცად ჩამოქვეითება, რასაკვირველია, მცდარია, რადგანაც დეკაბრისტ რაევსკის დაპატიმრებასთან ალ. ჭავჭავაძეს არავითარი კავშირი არ ჰქონია, ხოლო გენერალ-მაიორი ნ. ნ. რაევსკი, რომელსაც ალ. ჭავჭავაძემ 1830 წელს ზემოთხსენებული შეღავათი გაუწია, დეკაბრისტი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ ეჭვი ჰქონდათ დეკაბრისტებთან კეთილგანწყობილური ურთიერთობა აქვსო; ნ. ნ. რაევსკი შემდგომშიც დარჩა ისეთ მაღალ სამხედრო თანამდებობებზე, როგორიც იყო კავალერიის ბრიგადის მეთაურობა და უფრო გვიან კი შავი ზღვის მთელი სანაპირო დაცვითი ხაზის უფროსობა. ამ თანამდებობებზე კი „დეკაბრისტ ნ. რაევსკის“, ცხადია, არავინ დატოვებდა.

გიორგი ავალიანი

# ქართული მელოდიები

## სიცოცხლე ჩემი - რწმენაა ჩემი

სიცოცხლე ჩემი — რწმენაა ჩემი,
იგია ჩემი ნავთსაყუდარი,
და როგორც ზღვაში გასული გემი
მიდის ბრძოლით და არა მუდარით.

რა შეაჩერებს! მძვინვარე სულში
ახლა ის არის უკვდავი ძალა...
იგი სინდისთან დაბადებულა
და არასოდეს დადიან ცალად.

მათ შეუძლიათ სძლიონ ქარიშხალს,
უდაბნოს ხვატში გაშალონ ჩერო,
და წამოსული მსახვრალი ხელით
თვითონ სიკვდილიც გზად შეაჩერონ!

სიცოცხლე ჩემი — რწმენაა ჩემი,
სხვა განძი არ მაქვს არავითარი,
და სანამ იგი ჩემს სულში ცოცხლობს,
ამ ქვეყანაზე მე ვარ მდიდარი!

ᲘᲝᲜᲐ ᲕᲐᲙᲔᲚᲘ



## ახალი მთვარე

ეს რა მთვარე ამოვიდა,
ნამგალა და გაბადრული,
ისე დევს ცის კაბადონზე,
ვით სუფრაზე შოთი პურის.

პატარა და ლამაზია,
ოქროს ფერად მოჩანს გული,
თითქოს ცაზე ფიროსმანის
ხელით არის მოხატული.

ჩემი ყრმობის განთიადზე
ისიც იყო გათანგული,
მისი ეშხით მწიფდებოდა
ჩუმად გულში სიყვარული...

და მას ვთხოვდით — ტრფობის მადლი,
რომ მოეცა ერთი ფთილა,
იქ კი, თურმე, სიყვარულის
ნატამალიც არ ყოფილა!



## მზე

ო, როგორ ტრიალებს ამ ქვეყნის ბორბალი,
ზოგს ფეხი ეშლება, ზოგიც დგას ზეზე,
და როგორც მინდორში დაყრილი ხორბალი,
ჩვენც ისე ვშრებით და ვთბებით მზეზე.

მიწას უხარია, დე გულიც ხარობდეს,
იფრქვევა სხივები ყველაფრის მძლეველი,
თუ მადლი არის — იმდენი მაინც გვქონდეს, —
ვფანტოთ და კვლავ იყოს გამოულეველი!

ᲓᲘᲚᲐᲠ ᲘᲕᲐᲠᲓᲐᲕᲐ



## უსათაურო

გამოხდა ჟამი მკისა და თიბვის,
მზე დაეფინა დასავლის კიდეს, —
ველი გაშლილა, როგორც ქათიბი
და იფენს მკერდზე იისფერ რიდეს.
ვხედავ მთათა ზურგს ჩუმს და გოლიათს
და ჩვენი სიყრმე ასე მგონია,
ომის ქარაფებს მწუხარედ მისდევს.

ჩვენ მძიმე დღეთა გვქვია ბავშვები,
თუმცა დღეს სხვა ბედს ვეთამაშებით.
მდინარეები ხრავენ კალაპოტს,
მინდვრებს კი ტორავს ცხენების რემა...
და ვიცი ახლა მალე დამათრობს
მღელვარე ზღვათა ტალღების მსხვრევა.

და ვფიქრობ ნისლში ჩაკირულია
დიდი სახლები, სევდა, წამება,
მაგრამ გახსოვდეს, თუკი გწყურია,
იმედი შესვი და... გეამება,
რადგან ბევრია ამ ქვეყანაზე,
ვისზედაც მხოლოდ ფიქრიც განაზებს,
წრფელი გრძნობით და წრფელი დარდებით...
და მერე ზოგი შეგიყვარდება
და... მერე ზოგს შეუყვარდები.

* * *

ასეთი ვნებით,
ან ასე ხარბად,
ზღვა, რომ აწყდება მაღალ ნაპირებს,
მზე დედამიწას ეხვევა ალბათ,
ანდა აპირებს.
გვანან ტალღები მწვანე ხეივნებს
და... წინ უწყვიათ ღელვის ნოტები
ო, ამგვარ ჟინით დამარხევინე
ხეო სიცოცხლის — შენი ტოტები.

ᲘᲚᲘᲐ ᲐᲠᲝᲡᲘᲐ

## სიმღერამ შეკრა ველები

ვუძღვნი მელენტი, ავქსენტი და მარო ჩაჩხიანებს. ეს მომღერალთა ოჯახია, სადაც სიმღერა თაობიდან თაობას გადაეცემა.

თითქოს დაკარგულს ველოდით,
გვიკვირდა, — რა მოგვდიოდა,
ხომ არ ვტიროდით, ვმღეროდით,
ცრემლი რად ჩამოგვდიოდა?
სიმღერამ შესძრა ველები,
იადონები გალობდნენ,
ღუღუნიც მესმა მტრედების,
ჰანგები რომ გრიგალობდნენ, —
გული რომ სადღაც წაიღო,
რა მექნა, ავყევ მოძახილს,
ეს ხომ ნამდვილი წვა იყო
იადონების ოჯახის.
...თითქოს დაკარგულს ვუხმობდით,
აბა, იქ რა მოგვდიოდა,
ხომ არ ვგოდებდით უხმოთა,
ცრემლი რად ჩამოგვდიოდა?
გულმკერდს იხსნიდა სოფელი,
სოფელი — ჩვენი მშობელი,
იმჟამად შეუცნობელი,
ამჟამად ვრცელი სოფელი, —
საშვილიშვილოდ კიდევაც
მარადის კეთილმყოფელი, —
სოფელი, სადაც ბავშვებმა
ფეხი მოვიდგით წვალებით,
გვაახლოვებდა მსგავსება,
შემდეგ სხვა გზებით წავედით;
და, როცა ისევ მოვგროვდით,
დავაგუგუნეთ სიმღერა, —
სიმღერა, მერე როგორი,
და სივრცე იყო იმხელა,
რომ მთელ ქვეყანას ვუხმობდით,
აბა, იქ რა მოგვდიოდა,
ხომ არ ვგოდებდით უხმოდა,
ცრემლი რად ჩამოგვდიოდა?!





ზღვაზე. ფოტო გ. ჯინჭარაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ივანე როსტომაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი ჩაჩავა

„ერთმა კაცმა ფეიქარს წვრილი ძაფი შეუკვეთა, ფეიქარმა დაურთო ძაფი, მაგრამ კაცმა უთხრა: „ეს ძაფი წვრილი არ არის, მე ძალიან წვრილი ძაფი მინდაო. ფეიქარმა უპასუხა: „თუ ეს წვრილი არ არის, აი სხვა, ეს ძალიან წვრილიაო“, — უჩვენა ცარიელ ადგილზე, კაცმა უთხრა: ვერა ვხედავო!

ფეიქარმა უპასუხა: — იმიტომ ვერ ხედავ, რომ ძალიან წვრილია, თვითონ მეც ვერა ვხედავო“.

ეს მშვენიერი იგავი ეკუთვნის ერთ მივიწყებულ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, — ივანე როსტომაშვილს; მაგრამ ის დავიწყების ღირსი როდი იყო; იმ დაუშრეტელი და დაუცხრომელი საქმიანობის გამო, რომელსაც ივანე ეწეოდა, ილია ჭავჭავაძემ მას „ჩვენი ფუტკარი“ შეარქვა. მართლაც, რაოდენ საქმეს მოაბა თავი ამ ჩუმმა და თავმდაბალმა კაცმა. ჯერ იყო და თავის ფეხით მთელი ჯავახეთი მოიარა, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ფოტოები გადაიღო, შემდეგ პრესის ფურცლებზეც გამოვიდა და აღნიშნა, რომ ეს ძეგლები დანგრევის პირას იყვნენ და სასწრაფოდ მიხედვა იყო საჭირო; მის ნაშრომს, რომელიც ამ ძეგლების აღწერილობას შეიცავდა, მაღალი შეფასება მისცეს გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსებმა — ექვთიმე თაყაიშვილმა და მოსე ჯანაშვილმა. იმავე დროს, ივანე როსტომაშვილი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას, სწერდა ძირითადად აღზრდის საკითხებზე, ბეჭდავდა წიგნებს, მანვე დააარსა ჟურნალი „მოგზაური“, შემდეგ, ყოველდღიური გაზეთი „სინათლე“, იყო ჟურნალ „სკოლისა და ოჯახის“ რედაქტორი და გამომცემელი.

ივანე როსტომაშვილი ავტორია 35-მდე წიგნისა, მათ შორის არის მშვენიერი საბავშვო ზღაპრები, აღსავსე ხალხური სიბრძნით და სულიერი კეთილშობილებით; იაკობ გოგებაშვილმა ივანე როსტომაშვილი გამოჩენილ და შესანიშნავ ქართველ პედაგოგთა შორის მოიხსენია და მისი „მებადურის შვილი“ დედაენაში შეიტანა. ეს იყო ივანეს ღვაწლის უმაღლესი შეფასება.

თუ რაოდენ მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო ივანე როსტომაშვილის სამწერლო-პუბლიცისტური მოღვაწეობა, ამის ნათელსაყოფად საკმარისია მისი ნაშრომების მარტოოდენ სათაურები ამოვიწეროთ: „რისგან სნეულდებიან და იხოცებიან ჩვენი ბავშვები“ (1882 წ.), „ხეხილის გამრავლება და მოვლა“ (1903 წ.), „გონიერი მოვლა-მოშენება შინაური ფრინველებისა“ (1903 წ.), „რა არის დოსტაქრობა ანუ როგორ არჩენენ ადამიანებს დანით“, (1903 წ.), „სულით ავადმყოფი მოსწავლენი“ (1903 წ.), „დიდი ნათელი ძველი ქვეყნისა, სოკრატი და მისი ფილოსოფია ცხოვრების შესახებ“ (1904 წ.), „ბუდა და მისი ცხოვრება“ (1905 წ.), „პურის თესვა-მოყვანა“ (1910 წ.), „ზნეობრივი აღზრდის საფუძვლები“ (1914 წ.) და სხვ.

მაგრამ ივანე როსტომაშვილის მოღვაწეობის სურათი სრული არ იქნება, თუ არ გავიხსენებთ, რომ მან პირველმა დაიწყო შედგენა „ქართული ენციკლოპედიისა“ და რამდენიმე ნაწილი გამოსცა კიდეც. მაგრამ სად შეეძლო ერთ კაცს გასწვდენოდა ასეთ უზარმაზარ საქმეს! ივანეს ამ დიდ ოცნებას მხოლოდ ჩვენს დროში ეღირსა განხორციელება, როცა ფართო მასშტაბით მიმდინარეობს მუშაობა „ქართული ენციკლოპედიის“ გამოსაცემად.

ივ. როსტომაშვილის ღვაწლი და ნაამაგარი დღესაც წითელ ზოლივით გასდევს ქართულ პედაგოგიურ აზრს. 1898 წელს მან გამოსცა „ქართული ანბანი“, დაწერა საკუთარი გამოცდილების საფუძველზე „პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“ (1920 წ.); მასვე ეკუთვნის არითმეტიკისა და ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოები.

ივანე როსტომაშვილმა მასწავლებლობა და მწერლობა 1874 წელს დაიწყო; იგი ერთდროულად გამოდის პედაგოგიურ და სამწერლო ასპარეზზე: ის ჯერ საინგილოში, სოფ. კახში იყო მასწავლებლად. ოთხი წელი დაჰყო ივანემ აქ და ძირფესვიანად გარდაქმნა სკოლის მუშაობა. სკოლის გარეთ დარჩენილ მოზრდილთათვის საკვირაო საღამოს კურსები შემოიღო, სადაც უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას. ამ შესანიშნავმა ადამიანმა სულ მალე ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა; მაგრამ მეფის მოხელენი უკმაყოფილონი იყვნენ მისი საქმიანობით, 1878 წელს იგი აქაურობას მოაშორეს. ივანეს ახლა ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში ვხედავთ, მაგრამ აქაც არ მოასვენეს; მთავრობის მიერ შენიშნულ მოღვაწეებთან ახლო ურთიერთობისათვის იგი ერთხანს დაპატიმრებული იყო. ილია ჭავჭავაძისა და დიმიტრი ყიფიანის ჩარევა გახდა საჭირო, რომ ივანე ციხიდან გამოეშვათ. 1880 წელს იგი დანიშნეს თელავის საქალაქო სასწავლებელში მასწავლებლად. აქ ჩამოსვლის პირველსავე წელს იგი აარსებს წიგნთსაცავსა და სამკითხველოს, ხოლო სულ მალე მისივე თაოსნობით იქმნება „დეპო“ — საზოგადოებრივი სავაჭრო; მისივე ხელშეწყობით თელავსა და კურდღელაურში მუშაობას იწყებენ საკვირაო სკოლები, სადაც ღარიბ გლეხთა შვილები წერა-კითხვას სწავლობდნენ.

ივანე როსტომაშვილს დიდი ოჯახი ჰქონდა, რვა შვილი ჰყავდა. აღსანიშნავია, რომ სახელოვანი რეჟისორი სანდრო ახმეტელი, სიძე იყო ივანესი; სრულიად ახალგაზრდა სანდრო ივანემ შვილივით მიიღო და დიდად შეუწყო ხელი მის აღზრდა-განათლებას. ივანეს მეუღლეს — ლიზა ჩოლოყაშვილს იცნობდნენ როგორც უაღრესად განათლებულს, ფაქიზი ბუნების და მშვენიერი გარეგნობის მქონე ქალს; ილია ჭავჭავაძის თხოვნით ლიზას „ივერიისათვის“ ორასამდე ხალხური ანდაზა-თქმულება მიუწოდებია. ივანეს ოჯახი იყო ღირსეული მასპინძელი მარჯორი უორდროპისა, რომელმაც ორჯერ იმოგზაურა საქართველოში და ორჯერვე, თელავში ჩასვლისას მისი მასპინძელი და მეგზური ივანე როსტომაშვილი იყო; მარჯორიმ მონათლა როსტომაშვილების უმცროსი გოგონა ელენე. საქართველოდან წასვლის შემდეგ მარჯორი ხშირად წერდა წერილებს ივანე როსტომაშვილს; როგორც მათი საუბრების, ისე შემდგომ მათი წერილების მთავარი თემა „ვეფხისტყაოსანი“ იყო.

ივანე როსტომაშვილი დიდი აღტაცებით შეხვდა თვითმპყრობელობის დამხობას. ამიერიდან იგი ახალი ენერგიით იწყებს მუშაობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ივანე როსტომაშვილი გარდაიცვალა 1924 წელს. გაზეთმა „იზვესტიამ“ იმავე წლის 2 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა ნეკროლოგი, სადაც აღნიშნული იყო ამ ადამიანის დიდი დამსახურებანი ქართული კულტურის წინაშე.

# კვალი ჩემას იცვლის

ცხაკაიადან სოხუმში გაგზავნილი გამომძიებელი სულ მალე დაბრუნდა. მზევინარის კვალის ძებნა ამაო გამოდგა. ქალიშვილი დიდი ხანია აღარ იყო ცოცხალი, სასჯელმოხდილი მზევინარი უკვე დიდი ხნის წინ დაბრუნებულიყო, ახლო ნათესავები მოენახულებინა, არც ბავშვობის დროინდელი მეგობრები დაევიწყებოდა, მერე, ერთ საღამოს ჩაკეტილიყო თავის ოთახში და საწამლავი დაელია.

## ნამდვილი ამბავი

ასე რომ, მარიამის მკვლელობის დროს მზევინარი კარგა ხნის გამოტირებული ყოფილა.

სხვა გზა აღარ იყო, დამნაშავის ვინაობა უნდა დაედგინათ იმ ნაკვალევის მიხედვით, რომელიც მილიციის მუშაკებმა მკვლელობის აღმოჩენის დროს ფირზე აღბეჭდეს, მიწის სინჯიც აიღეს, რომელზედაც კირის მოთეთრო ლაქი იყო, და ამის გარდა, ღობეზე, გადატეხილ სარზე შავი რეზინის ჩექმის ნახევი იპოვნეს.

ყველაფერი ეს ექსპერტიზამ გულდადებით შეისწავლა.

კვლევა-ძიება ახლა ამ გზით წარიმართა. დაიწყო დამქანცველი მუშაობის დღეები; უპირველესად დაადგინეს, ვინ აშენებდა იმ ხანებში ქვითკირის სახლს, ვინ იყვნენ ახალმოსახლენი. ამას გარდა, თვალყურს ადევნებდნენ ბაზრებს, ძარცვა-გლეჯი-

დასასრული. იხ. ჟურნალი „დროშა“ № 5.

სადმი მიდრეკილების მქონე პირებს, რომელთაც ადრე დანაშაული ჩაედინათ.

ერთი რამ აშკარა იყო: მკვლელს ეცვა შავი ჩექმები, მაგრამ ვინ მოსთვლის რამდენი კაცი ატარებს რაიონში ასეთ ფეხსაცმელს! ბოლო ორ წელს აქაურმა მაღაზიებმა ათი ათასზე მეტი წყვილი ასეთი ჩექმა გაყიდეს.

დღე დღეს მისდევდა და საქმე ადგილიდან არ იძვროდა.

• • •

ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო მითქმა-მოთქმა მარიამის მკვლელობის გამო, როცა უხილავმა ბოროტმოქმედებმა ახალი დანაშაული ჩაიდინეს. მოჰკლეს შუა ხნის ქალი ელენე ეჯიბია, მოჰკლეს მისსავე ბინაზე.

მილიციისა და პროკურატურის მუშაკებმა უმალ მიაქციეს ყურადღება იმ ამბავს, რომ პირში წინდაჩაჩრილ მოკლულს ხელები თოკით ჰქონდა შეკრული. ისე, რომ მარიამისა და ელენეს მკვლელობა ორი წვეთი წყალივით ჰგავდა ერთი-მეორეს.

ძიების მუშაკებმა კარგად იციან: ყველა ბოროტმოქმედს საკუთარი ხელწერა და მეთოდი აქვს. ეს კი ხშირად შველის გამომძიებელს, რომელიც გულდასმით სწავლობს უცნობ ხელწერას, რომ საჭიროების შემთხვევაში იგი ბნელით მოცული საქმის გასახსნელად გამოიყენოს.

მილიციის მუშაკები უხმოდ ათვალიერებდნენ ოთახს. მაგიდაზე ხელის თითების ანაბეჭდი დაეტოვებინათ მკვლელებს; იგი უმალ ფირზე გადაიტანეს. იატაკს სველი რეზინის ჩექმების ნაკვალევი აჩნდა.

— შეხედეთ, ისევ თეთრი ლაქებია! — წამოიძახა მილიციის უფროსმა.

წესისამებრ, იატაკი ამოჭრეს და ექსპერტიზას გადაუგზავნეს.

ერთ თვეში ორი მკვლელობა, ორი უმძიმესი დანაშაული.

ყოველდღე რეკავდნენ რესპუბლიკის მილიციის სამმართველოდან, მოითხოვდნენ საქმის დაჩქარებას.

მარიამისა და ელენეს სახლში დატოვებული ჩექმის ნაკვალევი, კირის ფხვნილი იქაც და აქაც — ყველაფერი ეს საგულისხმო სამხილი იყო; გამოძიებამაც ახალი ვერსია შეიმუშავა — გადაწყდა საკირის თანამშრომელთა პიროვნებების შესწავლა.

სულ მალე გამოირკვა, რომ საკირის თანამშრომელთაგან ოთხი კაცი — ღუღუნ დარსალია, ვლადიმერ სულუხია, ანდრო ბელქანია და ხიტი ჭითავა წინათ ქურდობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი.

ოთხივეს, როგორც საკირის ყველა მუშას, შავი რეზინის ჩექმა ეცვა; მხოლოდ ერთს ჰყავდა ცოლშვილი, დანარჩენები ხან ოჯახში, ხანაც საერთო საცხოვრებელში იძინებდნენ. მილიციის მუშაკებისათვის ცნობილი გახდა, რომ საკირესთან ახლოს ცხოვრობდა მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, მეტსახელად, ფუგა, რომელთანაც ეჭვმიტანილნი ხშირად იკრიბებოდნენ და ქეიფობდნენ.

მაგრამ გადაჭრით რაიმეს თქმა ჯერ შეუძლებელი იყო. არსად ჩანდა უტყუარი მხილება, ფაქტებით დადასტურებული და დამოწმებული.

სწორედ იმ ხანებში ხორშში მოხდა ასეთი შემთხვევა: საღამოს, როცა სოფელი დასაძინებლად ემზადებოდა, მოქალაქე ნატალია კ-ს სახლის კარზე უცნობმა ახალგაზრდებმა დააკაკუნეს. დიასახლისმა ურდული ასწია, კარი გამოაღო და სახესთან მიტანილ რევოლვერს მოჰკრა თვალი.

— ხმა არ ამოიღო! — ჩაილაპარაკა ერთმა, ყველანი ოთახში შევიდნენ.

სამნი იყვნენ. მათს გამოჩენაზე მაგიდასთან მსხდომი ქალები დაიბნენ.

— დაწექით!

ქალები იატაკზე გაწვნენ. იატაკზე გართხმულებს შემოსულებმა ლეიბები და საბნები გადააფარეს და სახლის ძარცვას შეუდგნენ. ერთმა მძარცველმა კარადა გამოაღო და თვალი გაუბრწყინდა, კარადაში ახალთახალი შავი რეზინის ჩექმები ეწყო.

— დახეთ, ზუსტად ჩემი ნომერია, — თქვა და ჩექმა ხელში შეატრიალა. — დამხატავს პირდაპირ!

— იჩქარე, რა დროს ეგ არის!

— მოგცლია შენც... რა მეჩქარება, სასიძოდ უნდა გამოვეწყო, — მძარცველი სკამზე დაეშვა და ფეხზე გაიხადა, — ეს კი შენი ფეშქაში იყოს, ბებო, — იატაკზე გატრუნულ ქალებს თავისი ძველი ჩექმა ესროლა და დაუმატა, — ჩაიში გამოგადგებათ, სურდო არ შეგეყრებათ!

ძვირად დაუჯდა ეს ხუმრობა მძარცველს. ნატალიას ოჯახში დატოვებული მისი ძველი ჩექმა მილიციაში რომ მიიტანეს, იქ ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ მარიამ ფულარიას ეზოს ღობეზე ჩამოკიდებული რეზინის ნახევი ამ ჩექმის ნაწილი იყო.

გამოძიებას უკვე ჰქონდა საინტერესო, ფრიად დამაჯერებელი დეტალები, რომლებიც სამ დანაშაულს — მარიამის და ელენეს მკვლელობებს და ხორშში მომხდარ ძარცვას აერთიანებდნენ.

გაძარცულმა ქალებმა ბოროტმოქმედთა გარეგნობაც აუწერეს მილიციას. დაყოვნება არ შეიძლებოდა. ხიტი ჭითავა, ანდრო ბელქანია, ვლადიმერ სულუხია და ღუღუნ დარსალია დააპატიმრეს. გაჩხრიკეს ფუგას ბინა, იპოვეს ჩემოდნები, სავსე ქალისა და მამაკაცის სხვადასხვა ზომის ფეხსაცმელებით, კაბებით, კოსტუმებით, ვერცხლის დანა-ჩანგლებით.

ყველაფერი უკვე ნათელი იყო. სასამართლომ მკვლელთა ბანდის სამ მოთავეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა.

• • •

თითქოს აქ უნდა დამთავრებულიყო ეს ამბავიც, მაგრამ ერთი რამ არ შემიძლია არ დავუმატო.

საქმე ისაა, რომ მე ბავშვობის წლებიდან ვიცნობდი ხიტისაც, ანდროსაც, ვლადიმერსაც და ღუღუნისაც. ამ ოცდახუთი წლის წინათ ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით. მე სამი კლასით მათზე წინ ვიყავი. საშუალო დავამთავრე და სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავირიცხე, მერე რედაქციაში დავიწყე მუშაობა, ბოლოს რესპუბლიკის მილიციის სამმართველოში გადამიყვანეს.

და აი აქ, საქმეების თვალიერების დროს უცებ წავაწყდი ნაცნობ სახელებს.

გამახსენდა ჩვენი სკოლა. ასობით ბავშვი სწავლობდა იქ. ყოველ მათგანს თავისებური ხასიათი ჰქონდა: ზოგი ჯიუტი იყო, ზოგიც თავმოყვარე ან თავმომწონე, მაგრამ ხიტი და მისი მეგობრები ყველასაგან განსხვავდებოდნენ. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ დღედაღამ იმის ფიქრში იყვნენ ვინმე გაემწარებინათ, აეტირებინათ, ვისაც მოერეოდნენ, მეცადინეობისას ხელი შეეშალათ, ან სხვაფრივ ეწყენინებინათ.

— ხიტი! — დაუძახებდა ღუღუნი ამხანაგს.

— რა იყო?

— თემურის ახალი პალტო აცვია!

— სასიამოვნოა, დაგვირტყამს დამლაგებლის მადლობა, ისე უნდა გავასუფთაოთ იატაკი, რომ სულ სარკესავით პრიალებდეს.

გაკვეთილების დამთავრებისთანავე დერეფანში ისმოდა მოსწავლის გულამოსკვნილი ტირილი. სხვები აწყნარებდნენ, პალტოს უწმენდდნენ, რომელსაც შავი ლაქები და ნაფეხურები აჩნდა.

— ნახე ნუგზარის რვეული!

— სუფთა ნაწერია, არა?

— ხუთიანს ვუწერ, — იტყოდა რომელიმე მათგანი, საჩვენებელ თითს მელანში ჩააწებდა, წინ გადაიხრებოდა და რვეულის სუფთად ნაწერ ფურცელზე შავ ხაზს გაავლებდა.

ტიროდა ნუგზარი, წყრებოდა მასწავლებელი, მაგრამ გამოჩნდებოდა ვინმე კეთილისმყოფელი და ყოველივე ამას უბრალო ბავშვურ ცელქობად სთვლიდა.

დიდი დასვენების დროს ოთხივე აივანზე გადმოდგებოდა და როგორც კი ეზოში მობურთავე თანატოლებს თვალს მოჰკრავდნენ, დაბლა ჩაირბენდნენ, ბურთს დაიჭერდნენ და მეზობელ ეზოში გადააგდებდნენ, სადაც სახლის პატრონს ავი ძაღლი ჰყავდა გაშვებული.

ბევრჯერ, ბევრჯერ აუტირებიათ ხიტის და მის ამხანაგებს გოგონებიც, რომლებსაც სარკის ნამტვრევებით ახალ კაბებს უჭრიდნენ, მელნით თუ რაიმე საღებავით უსვრიდნენ.

ასეთები მახსოვს მე ისინი ბავშვობაში.

ვერავინ შესძლო დაეყენებინა ისინი სიკეთის გზაზე.

და აი, კვლავ ვფურცლავ საგამომძიებლო საქმეს...

ბავშვობაშივე რომ ყველაფერი შერჩათ, გათამამდნენ, გათავხედდნენ, უკვე ჭაბუკები იყვნენ, როცა საპატიმროში მოხვდნენ. ამანაც არ იმოქმედა მათზე, მოიხადეს სასჯელი, და ისევ უსაქმოდ ყიალი დაიწყეს. იცვამდნენ უკანასკნელი მოდის მიხედვით, ცხოვრობდნენ ხელგაშლილად, ფული კი სად უნდა ეშოვნათ, როცა შრომა ჭირის დღესავით ეზარებოდათ.

სხვებისათვის თვალის ასახვევად ერთხანს საკირეშიც დაიწყეს მუშაობა, ღამღამობით კი საქეიფოდ ხვდებოდნენ ერთმანეთს, თანაც ახალი მკვლელობების გეგმებს ადგენდნენ.

ხელქვეითებიც ჰყავდათ, მათ ფინიებს ეძახდნენ, მათ ავალებდნენ მოეძებნათ და შეეთვალიერებინათ ამა თუ იმ მცხოვრების ბინა, რომელსაც ღამით თავს უნდა დასხმოდნენ.

ადგენდნენ მათთვის რაღაც სულელურ შიფრებს, სადაც „თერთმეტი“ ნიშნავდა „თეკლათს“ დასაწყისი ასოების მიხედვით... და ა. შ.

გასაგებია საით მიჰყავს ადამიანი ამ გზას.

დაამთავრეს ისე, როგორც დაიწყეს.

მთელ ამ ამბავს ვრცელ კომენტარს არ გავუკეთებ, შეგახსენებთ მარტო ერთ ძველ აღმოსავლურ არაკს. მოლამ შვილი წყალზე გაგზავნა, თანაც ერთი-ორი ალიყური უთავაზა. „რას ერჩიო“, ჰკითხეს. „კოკა არ გატეხოსო“, „ჯერ ხომ არ გაუტეხიაო“; „რომ გატეხს, მაშინ რაღა ეშველება!“

**გრიგოლ გვაძაბია**

ევროპის თასი ოდესღაც ლუჟნიკებში ინახებოდა; თუმცა ეს არც თუ ისე დიდი ხნის, რვა წლის წინათ იყო; მაგრამ საფეხბურთო ცხოვრება ისეთი სისწრაფით მიიწევს წინ, მოვლენათა კალეიდოსკოპი ისე მრავალფეროვანი და ცვალებადია, რომ ჩვენი თაობისათვის, უფრო უმცროსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ევროპის პირველი თასი გადაიქცა, ანდა ყოველ შემთხვევაში, მალე გადაიქცევა ძველი დროის თქმულებად.

რვა წელი — როგორ უმნიშვნელოდ მცირე დროა ისტორიისათვის, და რამდენად ბევრია ჩვენი დროის მსოფლიო ფეხბურთისათვის. კვარცხლბეკიდან დაბლა ჩამოყრილი არიან ბრაზილიური კერპები, ხოლო მათი ადგილი უჭირავთ ინგლისელებს — ფეხბურთის დამფუძნებლებს. ახლა მსოფლიო თაყვანს სცემს საქმიან, ცოტა არ იყოს, პროზაულ ფეხბურთს, რომელსაც, რასაკვირველია, შემორჩა ადრინდელი რომანტიკული ნიშნები, მაგრამ ამ ნიშნებს უკვე ჩრდილი მიფარავთ; წინა პლანზე კი წამოწეულია განსაცვიფრებელი ენერგია, შრომისუნარიანობა, თავგანწირვა და უდიდესი საბრძოლო სულისკვეთება. დაე მოხუცებმა და კონსერვატორებმა მუხლი მოიყარონ ფეხბურთის ძველ ხატებთან, ფეხბურთი არ გაუარესებულა, მან შეინარჩუნა ყველაფერი, რაც მასში მომხიბვლელი იყო, თუმცა ის გახდა სხვანაირად ახალი, მაგრამ მასში ძველებურად ღვივის დაუშრეტელი ძალების ახალგაზრდული ცეცხლი.

მაისის პირველ ნახევარში საბჭოთა ნაკრები შეხვდა უნგრელებს ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში. თითქოს ვიღაცამ შეულოცაო ამ ორ გუნდს. კენჭისყრამ რამდენჯერმე თითქოს განგებ შეახვედრა ეს გუნდები ისეთ საფეხურზე, როცა ფინალამდე ჯერ კიდევ შორს იყო და როცა თვითეულ მათგანს სერიოზული წარმატების სრული იმედი ჰქონდა. ახლაც ასე მოხდა. შესაძლებელია მართალი არიან ჩვენი უნგრელი მეგობრები, რომლებიც თვლიან, რომ ეს გუნდები ერთმანეთს ფინალში უნდა შეხვედროდნენ. მოხდა ისე, რომ ადრინდელ შეხვედრებში ბედი საბჭოთა ფეხბურთელების მხარეზე იყო. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ საბჭოთა ნაკრები უფრო ძლიერი იყო. ეს თანაბარი კლასის გუნდებია და, ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ წლევანდელი შეხვედრების შედეგი ძველი შედეგებით არ განისაზღვრება.

ამ შეხვედრებამდე ორივე მეტოქემ ჩაატარა ტურნე სამხრეთ ამერიკაში, ზამთრის არდადეგების დროს, ორივემ გაუშვა ნაკრების წევრები ნაციონალური ჩემპიონატის პირველ ტურებში მონაწილეობის მისაღებად და, ბოლოს, ორივე, თვითეული თავის ყაიდაზე, ემზადებოდა გადამწყვეტი მატჩებისათვის ბუდაპეშტსა და მოსკოვში.

ამავე დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ უნგრელებს გამოუჩნდათ ახალი მწვრთნელი კაროი შოოში. ის შვიდი წლის განმავლობაში წვრთნიდა გდრ-ის ნაკრებს და მისი ხელმძღვანელობით გუნდმა საკმაოდ კარგ ევროპულ დონეს მიაღწია. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან მატჩში იგი ძალზე ძლიერ და სახიფათო მეტოქეს წარმოადგენდა. კაროი შოოში კარგად იცნობს საბჭოთა ფეხბურთს, მის მეთოდიკას, წვრთნის სისტემას; ამიტომ იგულისხმებოდა, რომ ის გამონახავდა საბჭოთა ფეხბურთელებთან თამაშის სწორ საშუალებებს.

ამრიგად, ახალი მწვრთნელის პიროვნება ჯერ ისევ თამაშამდე გვაფიქრებდა მომავალ მატჩებზე. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ გამოცდილებით, ოსტატობით, ტაქტიკური მოსაზრებით და ტექნიკით ახლანდელი უნგრელი ფეხბურთელები სჯობიან შოოშის ადრინდელ მოწაფეებს; საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ალბერტი, აღიარებული ევროპის გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელად, ფარკაში, ბენე, ვარგა, მესეი, რომ გავიგოთ თუ რამდენ რთული ამოცანა იდგა ჩვენი ნაკრების წინაშე. საქმე ის იყო, შესძლებდა თუ არა შოოში ფეხბურთის დიდი ტალანტების ნაკრებისათვის მიეცა ახალი და ჩვენთვის უცნობი კოლექტიური სახე, გამონახავდა თუ არა იგი ახალ საფეხბურთო რეცეპტებს? ადრე ჩვენ მოგვიხდა შოოშთან საუბარი, მაშინ მან ამ კითხვაზე გვიპასუხა, რომ შესძლებდა. ეს იყო ერთადერთი ცოტად თუ ბევრად ზუსტი პასუხი ჩვენს კითხვებზე. დანარჩენ კითხვებს მან თავი აარიდა, იმ მოტივით, რომ ჯერ არ შესდგომია მუშაობას და არ იცის მოთამაშეთა მდგომარეობა.

ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მატჩები ევროპის საზაფხულო სეზონის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო.

გადავხედოთ განვლილ გზას, რომელმაც ეს კოლექტივები მეოთხედფინალამდე მიიყვანა. საბჭოთა ნაკრებმა ჯგუფურ ტურნირში დააგროვა 10 ქულა, უნგრელებმა — 9, მაგრამ უნგრელების გზა უფრო იოლი და საიმედო იყო. მართალია, თავიანთი პირველი შესარჩევი მატჩი (ჰოლანდიელებთან) ფრედ (2:2) დაამთავრეს და ამ სენსაციურმა შედეგმა კინაღამ ეჭვის ქვეშ დააყენა მათი მომავალი გამარჯვება, მაგრამ შემდგომში ისინი უფრო მარჯვედ და დარწმუნებით თამაშობდნენ; ამიტომ ორჯერ მოუგეს დანიელებს (6:0, 2:0), რევანში აიღეს ჰოლანდიელებთან (2:1) და გაიმარჯვეს გდრ-ის ნაკრებთან პირველ მატჩში (3:1); ბოლო თამაშისათვის გდრ-ის გუნდთან (მოწინააღმდეგის მოედანზე) უნგრელებს უკვე ყველაფერი განაღდებული ჰქონდათ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მათ წააგეს მატჩი (0:1) გუნდთან, რომელიც ამჯერად ჭეშმარიტად ბრწყინვალე თამაშით გამოირჩეოდა და 7 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა ჯგუფში.

საბჭოთა გუნდმა თავის მოედანზე შედარებით იოლად დაამარცხა მეტოქეები (ავსტრია, ფინეთი, საბერძნეთი) — 4:3, 2:0, 4:0, მოიგო მეორე მატჩი ფინელებთან (5:2), მაგრამ დამარცხდა ვენაში, ავსტრიელებთან (0:1); ამ წაგებამ (არც ისე მოულოდნელმა, იმიტომ, რომ ავსტრიელებთან ჩვენ ნაკლებ ხანუგეშო ბალანსი გვქონდა და თანაც მათთან პირველმა შეხვედრამ მოსკოვში გვიჩვენა, რომ ავსტრიელები საკმაოდ სერიოზული მეტოქეები არიან), ჩვენი გუნდის გამარჯვებამ მოულოდნელად ეჭვის ქვეშ დააყენა. ავსტრიელებს და ბერძნებს დარჩენილი ჰქონდათ თამაშები და თეორიული შანსიც გააჩნდათ გაესწროთ წინ ჩვენი გუნდისათვის, მაგრამ საბჭოთა ნაკრებმა შესძლო ბერძნების დამარცხება მათსავე მოედანზე (1:0) და ამან ყველაფერი გადაწყვიტა.

პირველი ნახევარფინალური მატჩი ჩვენმა ფეხბურთელებმა წააგეს ბუდაპეშტში (0:2), მაგრამ მეორე თამაში ბრწყინვალედ მოიგეს (3:0) და ნახევარფინალში გავიდნენ.

თუ თვალს გადავავლებთ მოვლენათა მსვლელობას სხვა ჯგუფებში, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ერთ საინტერესო გარემოებას: თუმცა ტურნირების შედეგები საბოლოო ანგარიშით შეესაბამება პროგნოზებსა და საერთო წარმოდგენებს, დამკვიდრებულთ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, მაინც შესამჩნევია ცვლილებანი ძალთა თანაფარდობისა ევროპის ასპარეზზე. შემთხვევითია ეს, თუ მოასწავებს ახალი ვარსკვლავების გამოჩენას ევროპის ჰორიზონტზე, ძნელი სათქმელია მარტო ევროპის ჩემპიონატის მიხედვით, მაგრამ ასეთი ტენდენციები არის და ამიტომ ყოველი ევროპელი მეტოქის შეფასების დროს მოვალენი ვართ საჭირო სიფრთხილე გამოვიჩინოთ. ახლა ყველამ ისწავლა თამაში, ყველამ აითვისა ლონდონის ჩემპიონატის გაკვეთილები, ყოველი გამარჯვების მოპოვებას დიდი შრომა სჭირდება, ხოლო დამარცხებანი, რომლებსაც ჩვენი ადრინდელი წარმოდგენების გამო სენსაციურად ვთვლით, არცთუ ისე შემთხვევითია, როგორც გვეჩვენება. აი მაგალითი: უნგრელების ფრე ჰოლანდიელებთან ყველას სენსაციად ეჩვენებოდა, მაგრამ მას მოჰყვა ჰოლანდიელების გამარჯვება საბჭოთა ნაკრებზე. მართალია, ჩვენი სპორტსმენების ეს დამარცხება შეიძლება ავხსნათ თამაშისადმი უპასუხისმგებლო მიდგომით და მეტოქის აშკარა შეუფასებლობით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: დღეს ევროპაში სუსტი მეტოქეები ცოტანილა არიან. დანიის გუნდმა, რომელიც სუსტ გუნდად ითვლებოდა, შესძლო ჰოლანდიელების დამარცხება და მიაღწია ფრეს გდრ-ის გუნდთან.

როგორც ცნობილია, კენჭისყრამ მეოთხედფინალისათვის ერთმანეთს შეახვედრა ესპანეთი და ინგლისი, იტალია და ბულგარეთი, იუგოსლავია და

# ოთხი გზა ჩემპიონის ტიტულისაკენ

საფრანგეთი. ნაცნობი სახელებია, ყური მიჩვეული გვაქვს მათთვის, აქ ერთი შეხედვით უჩვეულო არაფერია, მაგრამ ცოტა დრამატული პერიპეტიების გადატანა როდი მოუხდათ ამ გუნდებს, ვიდრე უეფა მათს, როგორც მეოთხედფინალისტების, რეგისტრაციას მოახდენდა.

დავიწყოთ ესპანეთით. ერთ მშვენიერ დღეს ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ღვინით მოვაჭრე ერთ-ერთი ესპანური ფირმისაგან მიიღო რამდენიმე კასრი მშვენიერი ანდალუზიური ღვინო, რათა იგი გადაეცათ ირლანდიის ფეხბურთის ხელმძღვანელებისა და ნაკრები გუნდისათვის. ფირმა ეშმაკურად მოიქცა, თავის საქონლის რეკლამისათვის მიაღწია უფრო მეტს, ვიდრე ეს შეეძლო გაეკეთებინა ასეულ ათასობით პეზეტს, სარეკლამო განცხადებებზე რომ დაიხარჯებოდა. საჩუქრად გაგზავნილი ღვინო გამოხატავდა ესპანელი გულშემატკივრების უსაზღვრო მადლიერების გრძნობას ირლანდიელი ფეხბურთელების მიმართ, რომლებმაც გააკეთეს ის, რასაც არავინ ფიქრობდა და არც შეიძლებოდა ეფიქრა. ირლანდიელებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები მისსავე მოედანზე (2:1) და ამით ესპანელებს საშუალება მისცეს გამოსულიყვნენ პირველ ადგილზე ჯგუფში, რასაც არც მათგან მოელოდა ვინმე, რადგან ესპანეთის ნაკრები, ევროპის თასის მეორე მფლობელი, ახლანდელი ტურნირის დროს უკვე კრიზისს განიცდიდა; ხოლო ჩეხოსლოვაკელებისათვის ფრეც კი საკმარისი იყო, რომ პირველ ადგილზე გასულიყვნენ.

რა თქმა უნდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მსოფლიო ჩემპიონი, ინგლისის ნაკრები მეოთხედფინალისტი გახდებოდა. მით უფრო, რომ მწვრთნელი ალფ რამსეი დაბეჯითებით ცდილობს შეინარჩუნოს გუნდის ის შემადგენლობა, რომელმაც ფინალური მატჩი მოიგო. რამსეის მდგომარეობა არ იყო სახარბიელო, შოტლანდიელებთან ბოლო მატჩის წინ მის გუნდს ჰქონდა 8 ქულა, შოტლანდიელებს — 7, ხოლო თამაში უნდა შემდგარიყო გლაზგოს სტადიონზე, რომელსაც ფრიად საგულისხმო სახელი „ჰემპდენის ღრიალი“ ჰქვია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთის ჯგუფმა, შემდგარმა ოთხი ქვეყნიდან (ინგლისი, შოტლანდია, ჩრდილო ირლანდია, უელსი), ერთ შეჯიბრებაში გააერთიანა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი და ე. წ. ინტერნაციონალური ტურნირი დიდი ბრიტანეთის ქვეყნებისა, რომელიც გასული საუკუნის დამლევიდან ტარდება. ეს შეჯიბრება, თავისი ტრადიციებითა და ძველი ანგარიშებით, მუდამ საშინელ აჟიოტაჟს იწვევს. შოტლანდიელებისათვის ინგლისელები მსოფლიო ჩემპიონები კი არ არიან, არამედ ძველი მეტოქეები, რომლებიც მათ არაერთხელ დაუმარცხებიათ და რომლებიც თავიანთ თავზე უფრო ძლიერად არასოდეს ჩაუთვლიათ. ხოლო ჰემპდენის სტადიონზე შეკრებილ 140 ათას მაყურებელს შეუძლია ისეთი ღრიანცელი ატეხოს, რომელსაც ყველა მეტოქე როდი გაუძლებს. პირველი მატჩი ლონდონში, უემბლის სტადიონზე მოიგეს შოტლანდიელებმა (3:2) და ეს აძლიერებდა შოტლანდიელი ფეხბურთელებისა და მათი 140 ათასი გულშემატკივრის ენთუზიაზმს. მსოფლიო ჩემპიონებმა მეორე თამაშში სასურველ ფრეს (1:1) მიაღწიეს და ისინი ბედნიერები იყვნენ. თორემ წარმოიდგინეთ რა სირცხვილი იქნებოდა, მსოფლიო ჩემპიონი ევროპის პირველობის მეოთხედფინალისტი რომ ვერ გამხდარიყო; მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის რეპუტაცია გადარჩა და ლონდონის ტავერნებში იმ საღამოს მდინარესავით მოედინებოდა ინგლისური ლუდი.

ნამდვილმა სენსაციამ იფეთქა ყველაზე პატარა, სამი გუნდისაგან შემდგარ ჯგუფში (გფრ, იუგოსლავია და ალბანეთი). მართლაცდა, ვის შეეპარებოდა ეჭვი, რომ გფრ-ს გუნდი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, თავისი სიძლიერით მეორე გუნდი დედამიწაზე, რომელსაც დღემდე სადავოდ მიაჩნია ინგლისელებთან თავისი დამარცხების კანონზომიერება, ვერ გაიმარჯვებდა და მეოთხედფინალში ვერ გავიდოდა. ალბანელებს არაფრად აგდებდნენ, ხოლო იუგოსლაველები ბოლო ხანებში ფორმაში არ იყვნენ.

იუგოსლაველებმა და დასავლეთ გერმანელმა ფეხბურთელებმა ქულები გაიყვეს. იუგოსლაველებმა ალბანელებს მოუგეს (4:0 და 2:0), ხოლო დასავლეთ გერმანელებმა პირველ თამაშში თავიანთ მინდორზე გაიმარჯვეს ანგარიშით 6:0, ხოლო მეორე თამაშში... აი სწორედ აქ მოხდა ყველაფერი. იუგოსლაველებს ჰქონდათ 6 ქულა და ბურთების შეფარდება — 8:3, გერმანელებს — 4 ქულა და 9:2. გამარჯვებას, რა ანგარიშითაც უნდა ყოფილიყო, გფრ-ის გუნდი გაჰყავდა პირველ ადგილზე. მაგრამ გერმანელებმა ვერ შესძლეს ერთი ბურთის გატანაც (0:0) და დარჩნენ მეორე ადგილზე. იუგოსლავურ გაზეთში ჩვენ ვნახეთ საინტერესო კარიკატურა: იუგოსლაველი მწვრთნელი ეუბნება გერმანელ კოლეგას: „ოქვენც და ჩვენც ალბანელებს ექვს-ექვსი ბურთი გავუტანეთ. მაგრამ თქვენ, ალბათ, ერთ მატჩში კი არ უნდა გაგეკეთებინათ ეს, არამედ ორში“.

მოხდა ისე, რომ გფრ-ის ნაკრები კი არა, იუგოსლავიის ნაკრები შეხვდა მეოთხედფინალში ფრანგებს, რომლებსაც, პირდაპირ უნდა ითქვას, აგრეთვე ბედმა გაუღიმა. თავიანთ მთავარ მეტოქესთან, ბელგიასთან, ორ მატჩში მათ მოიპოვეს ერთი ქულა (1:2, და 1:1), მაგრამ ფრანგები იხსნეს პოლონელებმა, რომლებმაც ორჯერ დაამარცხეს ბელგიელები (3:1 და 4:2), მაგრამ წააგეს ფრანგებთან (1:2 და 1:4) და გააკეთეს ფრე... ლუქსემბურგთან.

ბედის მოულოდნელი დარტყმა, რომელიც იგემა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა, ხვდა მესამე პრიზიორსაც — პორტუგალიის ნაკრებს, სახელგანთქმული ეისებიოს გუნდს. მაგრამ ეს შემთხვევით არ მომხდარა. ცნობილია, რომ საზოგადოებრივ აზრს მუდამ ახასიათებს ერთგვარი კონსერვატულობა. თუმცა ბულგარელებმა მეორედ მიაღწიეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიას, და, ამასთან, შესამჩნევად აამაღლეს თამაშის კლასი, დასავლეთ ევროპული სპორტული პრესა მათ მაინც აუტსაიდერებად თვლის; ჯგუფურ ტურნირში (პორტუგალია, შვეცია, ბულგარეთი, ნორვეგია) ვარაუდობდნენ, რომ პორტუგალიელებს ყველაზე მეტი შანსები ჰქონდათ, ხოლო შვედებს ერთგვარ უპირატესობას აძლევდნენ ბულგარელებთან შედარებით.

მართლაც, შვედებს პორტუგალიელებთან ცუდად არ უთამაშნიათ (3 ქულა 4-დან), მაგრამ ასეთსავე შედეგს მიაღწიეს ბულგარელებმაც იმავე პორტუგალიელებთან თამაშის დროს; სამაგიეროდ, ბულგარელებმა სუფთად მოუგეს შვედებს (2:0, 3:0). ამასთან, შვედებმა ნორვეგიელებთან დაკარგეს 2 ქულა, ბულგარელებმა კი მხოლოდ ერთი. როცა ბულგარეთის ნაკრები ჩავიდა ლისაბონში, მას ჰქონდა 9 ქულა პორტუგალიის 5 ქულის პირისპირ; თუნდაც წაეგო, მას ველარავინ დაეწეოდა. ბულგარელების გამარჯვება საკმაოდ დამაჯერებელია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შესარჩევ თამაშებში მონაწილე 31 გუნდიდან მხოლოდ სამს არ უგემია დამარცხება — უნგრეთის, ბულგარეთის და იტალიის გუნდებს.

მოხდა ისე, რომ მხოლოდ ერთ ჯგუფში (იტალია, რუმინეთი, შვეიცარია, კვიპროსი) გამარჯვებულს არ განუცდია სერიოზული სიძნელეები. იტალიის ნაკრებმა მოიგო ყველა მატჩი, დაკარგა მხოლოდ ერთი ქულა (2:2 შვეიცარიასთან). საინტერესოა, რომ შესარჩევი ტურნირების ყველა რეკორდი ამ ჯგუფში იქნა დამყარებული; იტალიელებმა დააგროვეს ქულების მაქსიმალური რაოდენობა (11), ხოლო რუმინელებმა მიაღწიეს მოგების და წაგების სარეკორდო ანგარიშებს (7:2 კვიპროსთან და 1:7 შვეიცარიასთან).

ამრიგად, დადგა დრო მეოთხედფინალებისა.

ესპანეთი-ინგლისი. ინგლისის ნაკრების შეფასება შოტლანდიასთან მატჩის მიხედვით, არ იქნებოდა სწორი. ტყუილად კი არ თქვა რამსეიმ, რომ „ჩვენთვის უფრო ადვილია ევროპის რომელიც გნებავთ გუნდთან თამაში, ვიდრე შოტლანდიელებთან მათსავე მინდორზეო“. ესპანელებთან პირველივე მეოთხედფინალურმა თამაშმა დაადასტურა რამსეის ეს სიტყვები. თავიანთ მოედანზე ინგლისელებმა მოუგეს ესპანელებს — 1:0.

იტალია-ბულგარეთი. აი, წყვილი, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ მათ ერთმანეთის არ ეშინოდათ. ბულგარელი ფეხბურთელები მეტოქეებს ოდნავ ჩამორჩებიან ტექნიკის მხრივ, მაგრამ სჯობიან მორალური სიმტკიცით და, თუ გნებავთ, სისწრაფითა და შრომისუნარიანობითაც; შესძლებდნენ თუ არა ბულგარელები დაეძლიათ განთქმული იტალიური „კატენაჩიო“, მათი გულმოდგინედ შემუშავებული და შეთამაშებული დაცვის სისტემა, გაუძლებდნენ თუ არა მათ სწრაფ თავდამსხმელებს — აი რას უნდა განესაზღვრა შედეგი. პირველ თამაშში ბულგარელებმა შესძლეს თავიანთი ამოცანის შესრულება, გაიმარჯვეს (3:2), მაგრამ მეორე თამაში წააგეს (0:2); ამრიგად, ნახევარფინალში იტალიელები გავიდნენ.

საფრანგეთი-იუგოსლავია. მეტოქეები ძალიან კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. ხშირადაც შეხვედრიან, ამჟამად კი ორივე გუნდი არცთუ ისე კარგ ფორმაში იყო; ფრანგებმა მაინც ვერ შექმნეს ნაკრების მყარი ანსამბლი, ხოლო იუგოსლაველებმა დაკარგეს ბევრი კარგი მოთამაშე, რომლებიც საზღვარგარეთის კლუბებში გადავიდნენ. იუგოსლავიაში არცთუ ისე დიდი ხნის წინ შემოღებულმა პროფესიონალიზმმა უარყოფითი გავლენა იქონია ნაკრებზე. და მაინც იუგოსლაველებს რაღაც უპირატესობას ანიჭებდნენ. ეს ვარაუდი გამართლდა კიდეც; იუგოსლაველებმა გასვლითი თამაში ფრედ დაამთავრეს (1:1), ხოლო თავიანთ მოედანზე ბრწყინვალე წარმატება მოიპოვეს (5:1).

ამრიგად, ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებიან საბჭოთა კავშირი-იტალია და ინგლისი-იუგოსლავია.

გ. აკოპოვი, ალ. ვიტი





# მაცივარი

როგორც იქნა ვიყიდე. სახლში მივიტანე და ჩავრთე. შევდგი შიგ ლუდი და ჩამოვჯექი. რა სჯობს გაგანია სიცხეში ცივ ლუდს?

სულ არ მენანებოდა ორ თვენახევრის ხელფასი.

გავიდა ერთი საათი. ლუდს გაცივებისა არაფერი ეტყობოდა. მაცივარი არ ჩაირთო. საჩქაროდ გავსინჯე ელექტროგაყვანილობა, ყველაფერი რიგზეა. მაცივარი არ მუშაობს.

ვეცი ტელეფონს:

— ალო, დღეს მე მაცივარი ვიყიდე და...

— მისამართი? — გამაწყვეტინა ხრინწიანმა ხმამ.

ვუთხარი.

— ელოდე!

ველოდე ზუსტად ერთი თვე. არავინ მოვიდა და მაცივრის შეხედვაზე გულის ფრიალი მეწყებოდა.

ბოლოს მირჩიეს გამეყიდა. „ქალაქცნობის" დაფაზე განცხადება გავაკარი.

ვზივარ საღამოობით და ველოდები მყიდველს. თან ბინაში დენი მაქვს გამორთული ზოგიერთი მოსაზრების გამო.

ბოლოს, ვიღაც წვერგაუპარსავი კაცი მესტუმრა:

— ინჟგია ხართ? მე მაცივარის...

— აა, მობრძანდით, მობრძანდით! — მივეგებე მე და კარტოფილის სანთელით გავუნათე გზა.

— დასწყევლოს ეშმაკმა, ასეა, როცა გჭირდება, სწორედ მაშინ გამორთავენ დენს! — დავიდე თელასის ცოდვა და სამზარეულოში შევედით.

— ნახეთ, ბატონო! — დავიწყე მე და მეზობლის მაცივარში ჩაცივებულ ხვანჭკარას საცობი ამოვაძრე. — ცივია და როგორი!

სტუმარმა ჭიქა აიღო, სულმოუთქმელად დაცალა, მერე ხელი ბოთლს შეახო და იკითხა:

— რამდენი ხანია, რაც დენი ისემე?

— დილით გამორთეს და ნახეთ როგორ შეინახა! მაცივარი კი არა კანფეტია, შოკოლადი! ძალიან, რომ არ მიჭირდეს...

სტუმარმა კეფა მოიფხანა: ჩაის ჭიქა ხვანჭკარით შეავსო, დალია, მერე მე მომიბრუნდა:

— ესე იგი სრულ წესრიგშია?

— რასაკვირველია!

სტუმარმა კიდევ დაისხა, თან მანიშნა დასაყოლებელიო. ყველი და პური გამოვულე.

— მდაა... — თქვა მან და ჩანთა გახსნა, უამრავ ხელსაწყოთა შორის „პრიმას" კოლოფი ამოიღო, გააბოლა, ჩაფიქრდა. ბოლოს მკითხა:

— რამდენი, ისემე?

— სამას ნახევარი ღირს, მე ორასად დაგითმობთ, — ვუპასუხე და სახეზე ალმური მომედო.

სტუმარმა რაღაც იანგარიშა და დამთანხმდა.

მაცივარი გავყიდე. გავყიდე და სახლიდანაც გადავსახლდი. ორი თვე ჩემს დასთან ვცხოვრობდი, თან სინდისი მქეჯნიდა, კაცი მოვატყუე-მეთქი.

გავიდა დრო. სამსახურიდან დაბრუნებულს, ქუჩაში მაცივრის მყიდველი შემეხეჩა. გვერდის ავლა დავაპირე, მაგრამ მან ხელი ჩამავლო და შემომაბრუნა:

— გამარჯობა. როგორ ხარ?

— გმადლობთ... — ამოვილუღლუღე მე.

— ძაან მაცივარი კი მომყიდე, აი! შევატყვე, რომ წნევამ ამიწია.

— გადასარევად მუშაობს, ოღონდ პატარა ისემე ჰქონდა, მეშვიდე კლასელი ბიჭი მყავს, იმან შეამჩნია და გააკეთა. გამოსასვლელი სადენი იყო გაწყვეტილი, ეტყობა, გადატანისას გაწყდა... რა კარგი კაცი ყოფილხარ, აგიშენდა ოჯახი, ძალიან მადლობელი ვარ, ძმაო, ძალიან! — თქვა მან, ბეჭებზე ხელი დამკრა და წავიდა.

გაოგნებულმა თავი ვერ შევიკავე და იქვე ხეს მივეყუდე.

**ბიჭი კონტრიძე.**



მარეკ ვასილევსკი

# საჩივრის წიგნი

საღამო იყო, როდესაც მამაცთა ქუჩაზე, მაღაზიაში ნიღაბჩამოცმული ორი კაცი შევიდა. ერთმა მათგანმა გრძელი დანა გააშიშვლა და კართან დადგა. მეორემ ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო, მივიდა მოლარესთან და ნავაჭრი მოსთხოვა.

— ფული უკვე ჩავაბარე, — წაიბუტბუტა შემკრთალმა ახალგაზრდა მოლარე ქალმა, რომელსაც ელჟუნიას ეძახდნენ.

— მაშ ეგ რა არის? — დაუყვირა ნიღბოსანმა უცნობმა და დასტა-დასტად შეკრულ ბანკნოტებსა და მონეტების გროვაზე მიუთითა, რომლებიც სალაროს ღია ყუთში ელაგა, — ჩაყარე აქ, შე მაიმუნო, — მიუშვირა პატარა ტომარა.

— თქვენ უზრდელი ხართ, — მიუგო ელჟუნიამ. — სად გაიზარდეთ ნეტა?

— ვლადეკ, — წამოიძახა აქამდე ჩუმად მყოფმა, დანით შეიარაღებულმა ტიპმა, — შეურაცხყოფა მოგაყენა, არ აპატიო!

— ცხადია არ ვაპატიებ! — გაეპასუხა ვლადეკი და ქალს მიმართა:— მომეცით საჩივრის წიგნი!

— რაო? — აღშფოთდა მაღაზიის გამგე, ხანში შესული ქალი, — თქვენთვის არავის ცუდი არაფერი არ უთქვამს და იმწამსვე საჩივრის წიგნს თხოულობთ. ელჟუნიამ მხოლოდ თავისი აზრი გამოთქვა. ამის უფლება აქვს.

— ახლავე საჩივრის წიგნი! — დაიღრიალა დანიანმა და გამგესთან მიიჭრა.

— არავითარ შემთხვევაში, — თქვა უცებ აქამდე ჩუმად მყოფმა გამყიდველმა ქალმა, — საჩივრის წიგნს ვერ მიიღებთ. სალარო ინებეთ, ეგ თქვენი საქმეა. საჩივრის წიგნს კი ვერ მოგცემთ.

— არა, ჩვენ სწორედ საჩივრის წიგნი გვინდა! — დაიღრიალა მეორე ტიპმა და რევოლვერი ჩახმახზე შეაყენა.

— ვერ მიიღებთ! — მოუჭრა მოლარემ.

ამ დროს მაღაზიაში სამი მამაკაცი შემოვიდა.

— სალამი ქალიშვილებს, — თქვა ერთმა მათგანმა.

— გაგიმარჯოთ, ამხანაგო რაივაჭრობის მმართველო, — მიესალმა გამგე. ბანდიტები ფეხაკრეფით გაიპარნენ.

— საქმე როგორ მიდის? — ჰკითხა მმართველმა.

— უწინდებურად, ყოველგვარი საჩივრების გარეშე, — ამაყად უპასუხა გამგემ.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

გარეკანის პირველ გვერდზე: მეგობრები. ფოტოეტიუდი ოთარ თურქიასი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი,
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/V-68 წ. გამოც. № 32. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 43.700. შეკვ. № 1926. უე 02188

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოტოეტიუდები
ა. საავოვისა

ქარიანი დღე



— დანები გასალესი, მაკრატლები...

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალავერდი

ფოტო თარხან არჩვაძისა.

სიღნაღის ახალი სასტუმრო.

